

სტენი  
1852

N3 2023

მიშო გაბუნია – ლექსები

გიორგი სოსიაშვილი –  
„ქვის ღიმილი“ (მოთხოვობა)

თამარ გელიტაშვილი –  
ბექა ახალაიას ლექსზე

ზურაბ სონლულაშვილის  
თარგმანები

მიშო გაბუნია





№ 3 // 2023

ლიცენზიანული – სამოვალო გარენა  
ქუთაისი

მთავარი რედაქტორი  
ამირან გომართელი

პასუხისმგებელი რედაქტორი  
თამარ გელიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
მარინე სიყმაშვილი

დიზაინი  
ირაკლი უშვერიძე

---

ქუთაისი  
სამოვალო გარენა  
სამართლოს კულტურის, სპორტისა  
და ახალგაზრდის  
სამინისტროს ხელშეწყობით



საქართველოს  
კულტურის, სპორტისა  
და ახალგაზრდის  
სამინისტრო

# სარჩევი

პოვინი		ვაითხელობთ ხლასისას	
მიშო გაბუნია (დებიუტი)	3	მანანა ყიფიანი	54
ეთერ სადაღაშვილი	8	„რომე დამხსნა შექირვება“	
პოვინი		ახალი თარგმანები	
გიორგი სოსიაშვილი	15	ჰიუ გარნერი	64
ქვის ღიმილი		მამა	
საბა ქვათაძე	34	ინგლისურიდან თარგმნა ზურაბ სონდულაშვილმა	
ნოველები		საკი	73
პოვინი-ესეისტინა		მისის პეკლტაიდის ვეფხვი	
თამარ გელიტაშვილი	46	ინგლისურიდან თარგმნა ზურაბ სონდულაშვილმა	
პენსიონერთა სევდა			

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;  
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;  
უურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვ-  
ლისთანავე განთავსდება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბ-  
ლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“ – <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2>

## ცებიური

## ძიშო გაბუნია



კარგა ხანია ჩაიარა უკვე კალანდამ,  
შენ – სადგურიდან სადგურამდე მბორგავ მეტროში,  
ოცნებობ, დარჩე მარტოდმარტო სავსე კალამთან,  
უბრალო მგზავრი, რომ გაქციოს სულთა მედროშედ.  
მტვრიან ბაქანზე წაუკითხავს მიათრევ წიგნებს,  
გამოიმეტებ გლახაკისთვის მორჩენილ ხურდას,  
რამენაირად რომ ჩაახშო ჩურჩული ყურთან,  
ფიქრობ, ამჯერად ანგელოზმა იმარჯვოს იქნებ?  
დგახარ ფხიზელი, საუკუნო ძილის ბინდ-ბუნდში  
და საღ გონებას სიგიურზე ვიდრე გაცვლიდე,  
სანამ ნათელ დღეს გადაფარავს ღამე პირქუში,  
წერ პოეზიას, ყველა სიტყვის ყველა მარცვლიდან  
ანყობ სტრიქონებს, ურითმავ და, რასაც გაგონებს,  
სტროფებად აქცევ, რუტინაა, დამეთანხმები,  
დაცარიელდა მატარებლის ყველა ვაგონი,  
შენ კი კვლავ მგზავრობ, ახლა უკვე მუზის თანხლებით  
აქ, სადგურიდან სადგურამდე მბორგავ მეტროში  
და ელოდები ღამეს პირქუშს, ნელს, ნაკალანდარს,  
მგზავრის ფიქრები ეხლართება ფიქრებს მედროშის,  
ვიდრე ყურსუკან მოჩურჩულე ეშმას დალანდავ...

წვიმაა, წვიმა, მადმუაზელ,  
წავშლილვარ სამყაროს კადრიდან.  
ორთქლია ყინვის თუ გალუაზის.  
აქეთ ხომ, რაც მახსოვს, ბარდნიდა.  
გახსოვდეთ, დრო იყო, გრაფინია.  
დრო იყო, ღვინოში აკლავდნენ,  
სასმლისგან დაცლილი გრაფინია,

სიმთვრალემ გამათბოს სახლამდე.  
 ბუნებას სული რომ შევაძერეთ,  
 მორთული იით და ენძელით,  
 ჩვენ, ვისაც შეგვეძლო ყველაფერი,  
 მაგრამ ვერაფერი შევძელით...  
 ქარია, ქარი ამოვარდა.  
 წუილი გიქციათ მარაზმად,  
 მიცდით აკივლებულ სამოვართან,  
 ჩაის კი არა და არ ასამთ.  
 იქა წყევლაა, აქა – კრულვა,  
 სიბრაზის რამდენი მომენტი?  
 მე კიდევ, წვიმაში დავკარგულვარ,  
 და აი, რატომ არ მოვედი.  
 გახსოვდეთ, დრო იყო, ღვინით ვკლავდი,  
 სულს შემოზამთრულ სიცივეს,  
 ახლა კი, ვერაფრით გავუმკლავდი,  
 იცინეთ, ხმამაღლა იცინეთ.  
 მდგარო აკივლებულ სამოვართან,  
 რომ გავქრი სამყაროს კადრიდან,  
 ვკვდებოდი, ქარი რომ ამოვარდა  
 და გარეთ ულმერთოდ ბარდნიდა...



უზიარებლად გაგისტუმრებს სახლში მოძღვარი.  
 დღეს სხვა დამეა, კალამს სისხლი უნდა ადინო,  
 რადგან ნაკლები დაგრჩენია სულში ცოცხალი,  
 ვიდრე ქალაქში სარაინდო-საპალადინო.  
 ვიდრე ამქვეყნად საათოსე-სადონკიხოტე.  
 და სახლიდანაც, ალარ გახსოვს, რატომ წახვედი.  
 ზიხარ და ელი ურეცეპტო ძილის „პრიხოდებს“,  
 სანამ ბნელ ქუჩას გაანათებს მთვარე თავხედი.  
 ადრე დამესაც რაღაც ხიბლი ჰქონდა, ახლა კი,  
 ყრუ მეტოვე ძილისპირულს ვიდრე უმღერებს,  
 დაუვლის მტვრიან ტროტუარებს ვინმე გლახაკი  
 და დაუყვება გადავსებულ ნაგვის ბუნეკერებს.  
 შენ კი, ყველაფრის შემხედვარეს და ყოვლის გამგებს,  
 სულ გეკარგება მოსვენება და საპატიო  
 მიზეზთა გამო, უსირცხვილოდ გააცდენ ამ დღეს,  
 რათა სანაცვლოდ, ორჯერ მეტი ღამე ათიო.  
 წარმართულ ფიქრთა სიბინძურეს ჩამოგბანს თქეში.  
 და არაფერი გენატრება წარსულ დროსავით,  
 დგახარ ამაოდ მონანიე ცოდვილთა წრეში  
 ჩამქრალ სანთელთა კელაპტართან ხარ ღვთისმოსავი.  
 და მაინც ასე, დაგტოვებენ უზიარებლად,  
 ხის მერქანივით დაკოურილი მოძღვრის ხელები,  
 რადგან ჩვევად გაქვს ღამ-ღამბით სასმლის არევა,

რუტინა ბოლის ჩასუნთქვის და ამოხველების.  
გიცნობს გლახაკი, მეტოვე, გცნობენ ყველანი  
და მათი ცოდვით გინდა კალამს სისხლი ადინო,  
თუმცა კალამშიც ნაკლებია უკვე მელანი,  
ვიდრე ამქვეყნად სარაინდო-საპალადინო...



ჩვენ ისევ ისე, როგორც უნინ, ძვირფასო დენზელ,  
არყის ბოთლებში უნდა ჩავკლათ წელსაც სიცივე,  
კვლავ ვმალავთ კარტებს სახელოში და ღერი-ღერზე  
თამბაქოს დაწვით უსიამო ფიქრებს ვიცილებთ.  
ვსხედვართ სახლებში, მომთაბარე ცხოვრების ნაცვლად.  
ვცნობთ შორიდანვე ამ ქალაქის ყველა აფერისტს,  
ჩვენც წესად გვექცა, სასმისების ფსკერამდე დაცლა  
და გასაყოფიც აღარ დაგვრჩა აღარაფერი.  
წლებია უკვე, საყვარლებსაც არავინ ვიჩენთ,  
ალბათ, გვიშველა, ჩემო დენზელ, შენმა ლოცვებმა.  
მხოლოდ, ხანდახან დარდი გვიტევს „თავგასულ ბიჭებს“  
და ღერი-ღერზე, გიჟებივით ვიწყებთ მოწევას...



ნეტა იცოდე, მეგობარო, როგორ მაოცებს,  
სიცოცხლით შენი უცაბედი, მკვეთრი გადაღლა,  
არ მომიტანო ყვავილები სასაფლაოზე,  
მე ახლა შორს ვარ, დროისა და სივრცის გადაღმა  
თავაწეული ვზივარ ნავში ბებერ ქარონთან,  
უკან ვიტოვებ ყველა გზას და ყველა ლიანდაგს,  
დამიმახსოვრე, ვინც სიცოცხლეს ასე ჩქარობდა  
და, რაღაც ბედად, მაინც ყველგან დააგვიანდა.  
რამდენი ლექსი წამიკითხავს, რამდენი ვწერე,  
მეწვოდა სული, ჭრილობებით ნაავადარი,  
ისე ვიცხოვრე, მეგობარო, ასი წლის მერე  
მარტობაშიც ვერ მიპოვონ ქვეყნად ბადალი!  
დინება დროთა, ათასწილად უფრო ბასრია,  
ვიდრე ყოფილა, ვიდრე უნინ, ვიდრე ოდესმე  
როცა მოვკედები, ძმაო ჩემო, ლაფში გამსვრიან  
და განა რამე, სასატირე და საგროტესკე  
უბრალოდ გესმის, დამარხულიც მოვყვები სიცილს,  
გარდაცვლილს მაინც ველარავინ მიყოფს იავარს,  
შენ მაინც ხედავ, ძმაო ჩემო, შენ მაინც იცი,  
უარყოფილი, შელახული პოეზია ვარ!  
მიაყურადე, მოუსმინე ათასგვარ ტყუილს  
ჩაიღიმე და ნურასოდეს იტყვი სიმართლეს!  
ან რა აზრი აქვს? ვერასძალით ვერ გამაგონებ...

## ნიკოლოზ გრიშაშვილის სიბილ ვეინს

შენ წახვალ, მართლაც, ყველასია ეს წასვლის სენი.  
 მარდად, ამაყად, მე რომ გეტყვი, მაშინ კი არა,  
 როცა გადაწყვეტ. დამიტოვებ მუზების ზენიტს,  
 დაცლილ სახლ-კარს და რამდენიმე ბავშვურ იარას.  
 შენ წახვალ, მართლაც, რა აზრი აქვს, ჩემგან თუ სხვასთან?  
 ასე უსიტყვოდ, უბოდიშოდ და უკოცნელად.  
 მერე იქცევი მოგონებად, რაღაც ხანს გასტან  
 და დაიწყება სულ თავიდან, სმა და ოცნება.  
 შენ წახვალ, ასე უსირცხვილოდ, უცებ, თუმცალა  
 მაინც დატოვებ კვალად ქარებს და მუდმივ წადილს.  
 შენ წახვალ, მაგრამ ცარიელი მაინც ნუ წახვალ,  
 ამ გალექსილი უკვდავებით აღსავსე წადი...



დავიცლი / გავილევ / არაქათს.  
 სტრიქონი / ვერლიბრი / რითმები.  
 ძვირფასო / არც მკვდარი / არა ვარ.  
 ძვირფასო / არც ცოცხლად / ვითვლები.  
 ვიშობე / ხნიერი / ქარიდან.  
 ქარებმა / ბავშვობა / წამართვეს.  
 ვიშობე / შეწევნად / ყარიბთა.  
 და წავალ / მოვკვდები / ამადვე.  
 სხვა დროა / ძველის ვარ / ყაიდის.  
 სხვა დროა / არ მიღებს / არაფრით.  
 დამდნარი / დამპალი / რაინდი.  
 წერილებს / ნაგავში / გადავყრი.  
 მთები მაქვს / დანგრეულ / პროფილად.  
 აზრები / ჩახერგილ / ფიქრებად.  
 ჩემამდეც / მრავალნი / ყოფილან.  
 ჩემ მერეც / მრავალი / იქნება.  
 სხეულში / ვერაფრით / ვეტევი.  
 ნამდვილი / დავკარგე / მე სახე.  
 ჩემივე / წითელი / წვეთებით.  
 ჩემივე / სიკვდილის / შესახებ  
 დაგიწერ...

## ალცოიმერი

ყოველ სალამოს,  
 მზის უკანასკნელ  
 სხივებს მოჰყვება ჩემს ქუჩაზე მოხუცი კაცი.  
 ჩემი სახლის წინ, თუთის ხესთან გამიჩერდება  
 და გამომკითხავს დაწვრილებით  
 სად ვცხოვრობ, ვინ ვარ

და (რა თქმა უნდა) მყავს თუ არა, ამ ხნის კაცს ცოლი...  
 უსაზღვრო კრძალვით გამომართმევს ერთ ლერ მარლბოროს  
 და პოეტივით იწყებს თხრობას საყვარელ ქალზე,  
 რომელსაც, თურმე, თაფლისფერი თვალები ჰქონდა...  
 უკვე ათასჯერ მოვისმინე,  
 როგორ გაიცნეს ერთმანეთი,  
 როგორ უყვარდა.  
 მეც ყოველ ჯერზე,  
 ისევ და ისევ,  
 ვისმენ უსაზღვრო აღტკინებით მოყოლილ ამბავს,  
 ისევ იმავე, ინტერესით აღსავსე სახით,  
 როგორითაც გუშინ ვისმენდი  
 და ვიცი, ხვალაც ჩამოივლის  
 და ვიცი, ზეგაც ჩამოივლის,  
 ვიცი, მაზეგაც ჩამოივლის –  
 მე კი ვერ მიცნობს,  
 მაგრამ სიგარეტს ისევ მომთხოვს, ჩამოვალ ნაძლევს  
 და კვლავ ის ქალი ეყვარება – თაფლისფერთვალა.  
 ჩვენ დავცილდებით მეგობრებად ერთმანეთს, რათა  
 ხვალ ისევ იყოს  
 სასამოვნო ფრიად, მისთვის ჩემი გაცნობა.  
 რა ენალვლება, აბა იმ კაცს? – კვლავ დამივიწყებს.  
 მე კი ვძრუნდები სახლში მარტო, დამძიმებული.  
 და დიდხანს ვფიქრობ.  
 დამახსოვრებად  
 ღირს კი რამე ამ ქვეყანაზე,  
 საყვარელ ქალის თაფლისფერი თვალების გარდა?..

## ●

ხელის გულებზე გიკოცნიდი გათოშილ ბზარებს,  
 და მათ სიღრმეში ამოკითხულ ნამყოს და მყოფადს,  
 რომლის სიმძაფრეც არავისთვის არ მიამბნია  
 და ბაგის სუსტი ტოკვითაც კი ვერავის ვამცნე.  
 მას შემდეგ ვდგავარ, უთქმელობით დამძიმებული,  
 თვალის ჩინივით ვუფროთხილდები, სანდოდ ვინახავ  
 შენი ხელების ნაპრალებზე აღბეჭდილ ამბებს.  
 ამბებს, რომლებსაც საუკუნის გვალვისგან დამსკდარ  
 ტუჩებზე ენის გადავლებით გადავიკითხავ...



## ეთერ სადალაშვილი

### აკრილიკის ლექსი

მოხუცო, გახსოვს?  
 შენი მყუდრო სახლის ღობესთან  
 შენი პატარა, კოპნია და ფაქიზი სახლის,  
 თეთრად შეფეთქილ ხის ღობესთან  
 მუდამ ხედავდი  
 მხრებგაშლილ ყმანვილს  
 ლალი მზერით,  
 ნაბლისფერ ქოჩირით...  
 გაზაფხულის მზე ცეცხლს უნთებდა მოლიმარ თვალებს,  
 ხორბლისფერ ლოყებს მოსდებოდა  
 ფერი სიცოცხლის,  
 მოდიოდა და იმ მთებივით გაშლილი მხრებით  
 მთელი სამყაროს სიყვარული  
 ლალად მოჰქონდა.  
 გახსოვს, მოხუცო?  
 შენი კოხტა სახლუკას გვერდით,  
 აპრილის ბოლოს აფეთქებულ იასამნებთან,  
 როგორ იდგა და გილიმოდა  
 მოკრძალებისგან  
 უცხო სათხოვრით,  
 ნაბლისფერი დახრილი თავით.  
 ძია კაცოო, იასამანს მომიჭრი  
 ერთ ტოტს?!  
 გთხოვდა, დიდ ტორებს უხერხულად  
 წელთან მაღავდა,  
 აფეთქებული იასამნის ტყესთან იდგა და  
 მოკრძალებულად, ერთი ტოტის მოჭრას ითხოვდა.  
 ბევრი გინახავს ჩამვლელი და ამვლელი გზაზე,  
 ღობის მიღმიდან თავხედურად სწვდებოდნენ ტოტებს,  
 იასამნების დაგლეჯილი ფოთლები ხშირად  
 გულს გიჩქარებდა, ეს კი ნახე:

ძია კაცოო, ერთი ტოტი მაჩუქო იქნებ,  
ითხოვს. რა მშვიდად ელოდება  
მასპინძლის პასუხს,  
გახსოვს, კითხვა რომ შეუბრუნე?  
— ვისთვის გინდაო, ჰეკითხე და მისწვდი  
იასამნის აშხვართულ ტოტებს.  
— ცოლისთვის მინდა, მელოდება სახლში ორსული,  
იასამნები ულამაზებს მუდამ აპრილებს,  
გითხრა ლიმილით,  
მხრებგაშლილმა, ლალმა ყმაწვილმა,  
ჰა და ჰა, მაშინ იქნებოდა ალბათ ოცისა...  
შენ კი, მოხუცო, მოიტანე მაკრატელი და  
მზისფერ ეზოდან გაბუთქული,  
სურნელოვანი,  
აპრილისფერი პრანჭიკელა  
უზარმაზარი თაიგული გამოაბრძანე.  
— პირველი ხარო, ცოლისთვის რომ ყვავილი მთხოვე, —  
ასე გითქვამს და  
თბილი სიტყვებით ცხოვრების გზაც დაგილოცნია.

თვალებზე ლიბრი გადაგვივრია, მხრებში მოხრილხარ,  
ისე მოხრილხარ, ვხვდები, ტვირთმა  
ძლიერ დაგლალა.  
ჯოხს დაყრდნობილი, ალაყაფის ზიხარ კართან და  
აპრილის მზის ქვეშ  
გაზაფხულის სურნელით თვრები.  
მოხუცო, როგორ დაგნოლია წლები სხეულზე  
კოპნია სახლსაც შელახვია ჩვეული ხიბლი,  
საღებავაყრილ ფანჯრის რაფებს  
ლობის სითეთრეს  
ფერი გასვლია, შენი თმების სითეთრე ჯობნის.  
ცრემლჩამდგარ თვალებს მყურდო ქუჩის მგზავრებს აყოლებ,  
ალარ დადიან ძველებურად ფეხით მგზავრები,  
ქუჩაც შეცვლილა, ქვაფენილზე ბალახი მძლავრობს  
და შენც წარსულის მოგონებებს მიეძალები.  
სახლიც პატრონის ასაკივით დაძარღვულა და  
მრავალძარღვებსაც უფეთქია მიწის ბელტებში,  
დაბერებულა ეზო-კარი, მხოლოდ ღობესთან  
უფრო მაღალი გაფოთქილა იასამანი.  
სურნელი, ალბათ, ქუჩის იქით მიაქვთ ქარებს და  
სამყაროს, ალბათ, ეს სურნელი  
თუ ასულდგმულებს.

გახსოვს, მოხუცო, აპრილებში, იასამნობას,  
ფართოდ გაშლილი მხრებითა და ლალი ლიმილით  
რომ მოდიოდა და ცოლისთვის  
აპრილის მაცნე

იასამნების თაიგული სახლში მიჰქონდა?  
 ის ბიჭი მოკვდა, დაეხუჭა სამარადისოდ,  
 გაზაფხულივით მოციმციმე,  
 ლალი თვალები,  
 დღეს მე მოვედი, მისი ცოლი  
 და გთხოვ, მოხუცო,  
 სასაფლაოზე ყვავილები რომ გამატანო...  
 ისევ ისეთი, გაბუთქული, გრძელი ტოტები.  
 როცა მოჰქონდა, მახსოვს, კარზე ზარს რომ რეკავდა,  
 იმ აყვავებულ იასამნებს ვხედავდი მთლად და  
 იასამნები თავის ფეხით შემოდიოდა  
 ჩვენს პანაზინა, სიყვარულით სავსე ბუდეში,  
 სადაც სურნელი ისეც იდგა გაზაფხულების,  
 ჩვენ ამ სურნელით მთვრალები და რეტდასხმულები  
 ვსიყვარულობდით.  
 არ გვაშინებდა არაფერი მაშინ არც არა,  
 არც უპურობა, არც უშაქრო ჩაის დილები,  
 არ მაშინებდა, რადგან ლამით  
 მთვარის ნათელში,  
 სიცოცხლესავით  
 ფართო, გაშლილ მკერდზე მეძინა.

ჰოდა, მოხუცო, გამატანე იასამნები,  
 სასაფლაოზე გავუშალო მკერდზე  
 ფაქიზად  
 და გაზაფხული მივულოცო  
 იმ მხიარულ ბიჭს,  
 ვისაც უყვარდა გაზაფხული  
 ჩემზე ძალიან.

●  
 ნანგრევებში წევს  
 შენი ბავშვობა,  
 შენი ქალწულობა,  
 შენი ქალობა და  
 შენი დედობა,  
 დედაკაცო?  
 ყმუის ნანგრევები...  
 გმინავს ნანგრევები...  
 ოხრავს ნანგრევები...  
 ველარ გეკარება  
 ვერა კაცი.  
 თითებდაგლეჯილი,  
 ცდილობ გადაყარო  
 ბეტონი გულებიდან...  
 იმ გულიდან,

შენთვის რომ ფეთქავდა  
 ჯერ კიდევ ამ დილამდე.  
 მისი მხრები დათეთქვა ბეტონმა?  
 მისი მხრები – შენი სასთუმალი.  
 ფერიპან...  
 შე ბედდამნვარო,  
 ძუძუებდამნვარო,  
 მანდ გიწვანან  
 შენი ვაჟეკაცები?  
 ცრემლების ძეგლი  
 დაგიდგება...  
 ეკალი არ დაგიდგება  
 დახოკილ ტანზე.  
 მათი ზეთისხილისფერი  
 თვალები,  
 გახელილი თვალები  
 შეეყინა სიბნელეს  
 და მტვერს?  
 ვაი, დედაკაცო,  
 ვაი შენს დაბადებას და  
 შენს ყისმეთს, ქალო...  
 ველარასოდეს გაიცინებ...  
 ველარც თავშალს მოირგებ  
 ისე კოხტად,  
 შენი ლამაზი თავი  
 უკეთ რომ გამოკვეთო.  
 ველარც ინით შეიღებავ  
 ხშირ დალალებს,  
 ქმრის მკერდზე  
 დასაყრელებს.  
 რაღად გინდა ეგ  
 ლონიერი თეძოები,  
 ვაჟები რისთვის გიჩინია,  
 ფერიპან...  
 შეყვარება თუ მოასწრეს  
 შენმა ვაჟებმა...  
 საულვაშე თუ ჩამოიფხიკეს,  
 თუ იგემეს ტკბილი შარბათი...  
 თუ შენს გამომცხვარ  
 ბაზლამებს და კალთას იყვნენ მოწებილი?  
 ბოლო ვახშამზე შეპრიელი ფლავი გქონდა,  
 თუ ბურღულის?  
 მასთან ერთად აირანი...  
 რა ბედნიერი ვახშამი გქონიათ,  
 ფერიპან...  
 ალბათ, ჩამჩით უნანილებდი

წვნიანს შენს ბიჭებს:  
 პირველი ფიალა ბიჭების მამას,  
 ეშმაკური ღიმილით რომ  
 გეფერებოდა თვალებით,  
 გგონია, ვაჟები ვერ ხედავდნენ?  
 ისინიც ღიმილით შემოგყურებდნენ,  
 როდის მიაწვდიდი  
 კუთვნილ ფიალას  
 სურნელოვანი ჩორბით სავსეს.  
 რამდენი წყვილი გიშერი გიმზერდა,  
 როგორი სიყვარული  
 და მოწინება,  
 ფერიჲან...  
 ალბათ, ალაჲმა  
 მათ საფლავებზე  
 ტიტების მოსავლელად დაგტოვა  
 მიწაზე...  
 ფერიჲან,  
 სვედამწვარო.



არ მომიკვდე, მამაჩემო, არ მომიკვდე,  
 არ დამაობლო.  
 არ მოგერიოს სენი ოხერი,  
 ვერ გაგიჩეროს  
 ეგ ფილტვები  
 უჟანგბადობამ,  
 ვერ გაგიჩეროს  
 ეგ ფეხები დაულალავი.  
 ვერ ჩაგიქროს  
 ეგ ვარსკვლავებიანი,  
 ციმციმა თვალები.  
 რად გინდა ეგ ფილტვები...  
 დედაც ვატირე!  
 მე ვიქნები შენი სუნთქვა და  
 შენი ჰერი.  
 არ დაიღალო.  
 ჩემს ენერგიებს გინილადებ,  
 ჩემს ძალებს მოგცემ,  
 იმდენი მაქვს, ორივეს გვეყოფა  
 კიდევ დიდხანს  
 მიწაზე სასიარულოდ.  
 არ გამიწვრილო სულის ძაფები  
 ისედაც წვრილი  
 და იმქვეყნისკენ ბევრჯერ გაბმული.  
 იქ, ისედაც, იმდენი მყვანან...

ეს ძაფები სარეცხის თოკებს დაემსგავსნენ,  
 ქოთქოთა დედაკაცის  
 მიერ დაუდევრად გაბმულს  
 ფანჯრიდან ცისკენ...  
 და იმდენი ჭრელი მოგონებაა  
 ზედ გაკიდული,  
 ზოგი ფიტქინა,  
 ზოგი ლაქიანი,  
 რომ ისედაც ქაოსს მიგროვებს  
 ჩემს ყოფაში,  
 სადაც უკვე დიდი ხანია  
 ისედაც ცალი ფეხით ვდგავარ,  
 ცალი ხელით და  
 სხეულის ნახევრით.  
 არ მომიკვდე, მამაჩემო, არ მომიკვდე,  
 არ დამაობლო!  
 არ გაილიო მიწაზე დაცემული ყინულის ლოლუასავით,  
 არ მოწყდე ჩვენი  
 დიდი სახლის  
 დამზრალ  
 კრამიტებს.  
 ეს ზამთარიც გადავაგოროთ და  
 ერთად შევხვდეთ თესვის სეზონს.  
 ერთად ვისუნთქოთ  
 ნახნავი მიწის  
 სურნელება  
 ჩემი ფილტვებით.  
 არ მომიკვდე!  
 ჯერ ხომ,  
 ამ შემოდგომისას,  
 შენი ხელით დაწურული  
 მაჭარი არ შეგვისვამს?!  
 გაგიშლი ნაქარგ სუფრას მოლზე,  
 ფიალას და დოქს გამოვიტან,  
 დავჯდეთ ახლადამოწვერილ,  
 ლორთქო ბალაზე  
 და ერთად  
 დავლიოთ  
 სიცოცხლის სადღეგრძელო.  
 იმ სიცოცხლისა,  
 მადლის თესვით რომ გალიე  
 და გამოლიე.  
 ყველაზე დიდი მორწმუნე ხარ,  
 ვინც კი მინახავს,  
 სიკეთის მარცვლებს კი არადა,  
 მუჭებს აბნევდი...

არ მინდა, შიში შემაპარო  
ისეც დაბნეულს,  
არ მინდა, მინა გამაცალო  
ფეხქვეშ სამიწე.  
არ გაილიო, მამაჩემო,  
მიდი, ისუნთქე!  
ჩემი ფილტვებით, ჩემი ყელით,  
ჩემი ძარღვებით.  
შენ მოკიაფე სანთელი ხარ  
წუთისოფელში;  
შენ თუ ჩამიქრი,  
ამ უკუნეთს ვინ გამინათებს?!  
ან ვინ დამიცხობს  
ამ შეგრძნებას  
ამაოების.  
ვინ შემარიგებს მერე  
ნაწყენ ღმერთთან,  
არ ვიცი...  
არ მომიკვდე, მამაჩემო,  
არ მომიკვდე!

### ჩემს ქართლს

აღარ მაკრთობენ მინანქარნი ძველი ელადის,  
აღარ მეძახის ეიფელი, პიზა, ბოკაჩო...  
მესალბუნება ენძელები ზედაველასი...  
ქართლის გულისკენ დანაცრული მინა მეძახის.

აღარც ჰამბურგი აღარ მხიბლავს, ბონი, მადრიდი...  
წამლად მჭირდება შენი სიო, შენი ქარები,  
გორო, უცხო ცებს, ჩემო ცაო, როგორ გადრიდი.  
როგორ ვფიქრობდი, შორეულ გზებს შევიყვარებდი.

ეს სული ჩემი, ხან ძლიერი, ხანაც ძლეული,  
მარგალიტია წამწამებზე ათასწლეულთა,  
ენეოლითის ნიჟარაში გამომწყვდეული,  
უფლისციხესთან გადმომსკდარი ქალად გრძნეულად.

კლდის ქიმზე ჩემი ამჩნევია ნატერფალები,  
მცველად, მლოცველად თავს ვადგავარ კლდეში ქვაბულებს!  
სავსე მთვარეზე ამ ჩემს სატრფოს გადვეფარები,  
მისტერიებით და მკლავებით გადაკაფულით.

სად სტოუნჰენჯი, ჩიჩენ-იცა, რა კუს ბაკანი...  
ხელნაწერები... პაპირუსი... ანდა ლაო ძი...  
როცა ნამდვილი წმინდა მინა სწორედ აქ არი,  
ჩემო მამულო, გიჩოქებ და ტერფზე გაკოცებ.

## გიორგი სოსიაშვილი



### ქვის ღია მომავალი

— თავი ასწიე, ასწიე-მეთქი! — ისეთი ხმით მითხრა ხაზბიმ, მეგონა, მესროდა.

ქვის ტომრებს ვიყავით ამოფარებულები, თითქოს უცბათ დავპატარავდი, დავჩიავდი და ქონდრისკაცად ვიქეცი. საცოდავად ავხედე, სხვებიც იყვნენ ქვიშის ტომრებთან ჩამწკრივებულები, მაგრამ ისინი თითქოს ვერცა მხედავ-დნენ, ლიახვის გაღმა ჭალაში მყოფი ქართველი მებრძოლების მისამართით ისროდნენ. ომზე მხოლოდ წიგნებში წამეკითხა, ტყვიების ზუზუნი, ადამიანების მოკვლა, სისხლის სუნი, კაცის კვლის აზარტში შესული მებრძოლების შეძახილები... მინდოდა, რო ეს ყველაფერი სიზმარი ყოფილიყო, მინდოდა რო გამომღვიძებოდა. ღვიძილში მყოფი ადამიანი რო გამოლვიძებას ნატრობ, გლვიძავს, მაგრამ ძალით სიზმარჲყოფ, თუ როგორ ვთქვა... მე... ვერასოდეს წარმოვიდგენდი ამას. სისხლის სუნი მომდიოდა გაღმა ნაპირიდან, ჩემი დეიდაშვილების სისხლის სუნი, მათი სისხლის ოშივარი ნისლად მადგა, წამომაზიდა... მინას ჩავცქეროდი, მინდოდა მინაზე მეყარა ჯავრი, მინა მომეობრტნა, დამეღეჭა და ყველას დასანახავად გადმომეფურთხებინა. მინა, რომელსაც ვერ ვიყოფდით და ყველას ჩვენ-ჩვენი წინაპრებისა გვეგონა.

— ვერა ხარ ხო კარგად, — კისერში წამავლო ხელი ხაზბიმ. დათვივით ტორები ჰქონდა, ეგრე ამათრია ბუმბულივით.

უმწეოდ ამოვიკვნესე. თითქოს სისხლი გადმოსდიოდა თვალებიდან. ავტომატი ხელიდან გამივარდა.

— აიღე და ესროლე! — მისი თვალებიდან, გადმოკარკულული თვალებიდან გადმოლვენთილი სისხლი სახეზე დამეწვეთა, — მოღალატე ხარ!.. — ისეთი ზიზღით მითხრა, მეგონა, შემაფურთხებდა. დუჟი ჰქონდა ტუჩებზე და კიდევ გამომეორა, — ირონდა გუსტოფ (ოსების მოღალატე) ყველა მოკვდება, ჩემი ხელით ჩავაძალება!..

— არა ვარ მოღალატე!.. — დავიჩურჩულე.

— მაშინ, ესროლე და მოკალი!.. ვინმე მოკალი, დამანახე, რო ქართველი მოკალი! — ავტომატს დასწვდა და მომაჩერია, — ორი ძმა, ორი... ხაზბის ღუჟები სახეზე მომენება, — კიდევ დისშვილი და ნათლული...

არაფერი მითქვამს, მის ნალვერდლი-ან მზერას თვალი ავარიდე. ავტომატი გამოვართვი. ისე თამამად წამოვდექი, თითქოს სროლა შეწყდა და ტყვიის წვიმა აღარ იყო. ვისროდი, თან შემლილივით ვლრიალებდი. მეგონა, რო ჭკუილან გადავედი, უფრო სწორად კი, როგორ ვთქ-

ვა, თითქოს ვიღაც სხვა ადამიანი ღრიალებდა და იგინებოდა ჩემ მაგივრად.

მდინარის გაღმა, ჭალაში იწვენენ ქართველი მებრძოლები და იმათ ვესროდი. მჭიდრი რო დავცალე, სანგარში ჩავიკეცე, ავტომატი მივაგდე და სახეზე ხელები მოვისვი. მეგონა, რო სახე სისხლიანი მქონდა. ხაზბი ეგრე დამცეროდა, მერე ახალი მჭიდრი მომცა და თვითონაც ვეება ტყვიამფრქვევს (მტკაველიან ტყვიებს რო ისროდა), ლენტი შეუცვალა.

— მიდი! ესროლე, ესროლე, თორე აქვე ჩაგაძალლებ! ყველა მოღალატე ოსი მოკვდება!

მჭიდრი გამოვცვალე და ძლივსძლივობით წამოვდექი, ქვიშის ტომრებზე გადავდე ავტომატი და როცა მდინარის გაღმა ნაპირზე ძველი, ნახევრადდანგრეული კაშხლის კედლებთან „მტერი“ დავინახე, ზედიზედ რამდენჯერმე გამოვკარი. ბუნდოვნად შევნიშნე, როგორ გაგორდა ორი კაცი. თვალებზე თითქოს ლიბრი მქონდა გადაკრული. ხაზბის და კიდევ რამდენიმე ოსის შეძახილი ჩამესმა:

— ორი ქართველი ჩაგაძალე, ორი ქართველი!.. აი, ეგრე, ყოჩალ!

ვერაფერს ვხედავდი, ვისროდი ისევ იმ ძველი შენობის მისამართით, სადაც წელან, სულ რამდენიმე წამის წინ, ორი ადამიანი მოვკალი.

●

— გატეხილი მჭადი აღარ მთელდება, გაიგე? — თქვა ხაზბიმ, ჭახრაკინის ნაჭერი ჩაიტვლიავა და წამში გადაყლაპა. მერე არყის ჭიქას დასწვდა, შემოგხედა და ჩაიბუტბუტა, — დაშ არა ვონ ბირავად! — გადაჰკრა და სიამოვნებით თავი დააქნია. კარგა ხანს ეგრე მდუმარედ იჯდა და ყბებს აცმაცუნებდა, ბოლოს შემომხედა და დამცინავად ჩაილაპარაკა: — ვინც ამ გატეხილი მჭადის გამთელებას შეეცდება, ყველა მოიტყვნება, გაიგე?

უხერხულად ვიჯექი, რა უნდა მეთქვა. არაყით სავსე ჭიქას დავწვდი და უთქმელად გადავკარი.

— გურძიაკების სახსენებელი აღარ იქნება ამ მიწაზე. იმას ეგრე უნდა, მორჩა! — ჭერს მიაშტერდა ალანა. — ეგონათ, რო კურდლებივით გავიქცეოდით და აქაურობას ეგენი დაეპატრონებოდნენ. ალანების მიწაზე თვითონ საიდან მოთესლდნენ, მაგათი ჯიში მოვტყან! — ჩაილაპარაკა ილომ.

— ზოგიერთებს კიდე... ამდენი სისხლის მერე ნათესავები ენატრება, ქართველი ნათესავები, — უადგილოდ ჩაიქირქილა ხაზბიმ, — ხო ეგრეა, — შემოშედა გამომცდელი მზერით, — ხო გენატრება? თქვი, რისი გეშინია?

თითქოს ბანარი მქონდა ყელში წაჭერილი, ხმას ვერ ვიღებდი, სული მეხუთებოდა. როდის-როდის მოვახერხე და ორიოდე სიტყვა ამოვიხავლე:

— არავინ არ მენატრება, მეზიზლებიან მაგათი...

— მართლა გეზიზლებიან? — ყვითელი კბილები გადმოყარა ხაზბიმ.

— მე უკვე ვთქვი ჩემი სათქმელი. ვისაც ჩემი ხალხი არ უნდა, ყველა მკიდია. მეზიზლებიან მაგათი...

და მთელი ღამე საკუთარი ხმა მტან-ჯავდა. პირქვე ვეგდე, დამდიოდა ცრემლები და მხოლოდ ეს ჩამესმოდა — მეზიზლებიან, მეზიზლებიან, მეზიზლებიან...

●

— რატო დამიხოცე, რატო დამიხოცე, რატო დამიბნელე მზე?! — ვიღაც შავოსანი ქალი მომდევდა.

ავტომატი ისე მქონდა ჩაბლუჯული, თითქოს ვინმე გამომტაცებდა,

— შენ... შენი მშობელი გამწარდეს ისე, როგორც მე გამამწარე.

თითქოს ფეხები შემებორება, გავჩერდი, ძირს ეგდო შავოსანი, გაუბედურებული ქალი და ცდილობდა ჩემთვის ხელი მოეჭიდა, დამჭკნარი სხეულიდან ხმა ძლივს ამოსდიოდა, ცრემლგამშრალი თვალებიდან იღვრებოდა უბედურების მზის შავი სხივები.

— შვილმკვდარი დედის მზე ასეთია,

შავი სინათლე ანათებს უბედური, სიცოცხლეგამნარებული ქალის მზერიდან, – ჩამჩურჩულა ვიღაცამ

– რატომ დამიხოცე შვილები?! – ღონემიხდილმა ერთხელ კიდევ წაიბუტბუტა და ღმერთო! წავპარბაცდი, ჭირის ოფლმა დამასხა და სხეულის ყველა კუთხე-კუნძული, ყველა კაპილარი გამეყინა.

– დეიდა?! – ამოვიკვნესე და შავოსან ქალს გიუვით დავაშტერდი. ვიფიქრე, რო მეჩვენებოდა. დეიდაჩემს აქ რა უნდოდა, თვალებში ჩავხედე, უფრო სწორად, მის მზერაში ჩავძვერი და... კი, ის იყო, დეიდაჩემის თვალებიდან გადმოდიოდა ის საშინელი შუქი, წელან როვთქვი.

ავტომატი მოვისროლე, დავიხარე, შავოსან ქალს დავყნოსე და სუნიც უმალ მეცნო – დედაჩემის სუნი ჰქონდა, დიდი ხნის წინ გარდაცვლილი დედის სუნი. დეიდაჩემს ასდიოდა ეს სუნი და უდედობას ეს მიქარვებდა ხოლმე.

– რატო დამიხოცე... – ამოიხავლა და სული დალია. ის სუნიც ჩანელდა თანდათან, ის სუნიც გაქრა, აქამდე რო მაპურებდა.

ხელში ავიტაცე, ჩავიკარი, ვბლაოდი.

– მიშველეთ!... მიშველეთ!... მიშველეთ!... – ვლრიალებდი, მაგრამ ვის ეს-მოდა ჩემი ღრიალი.

დეიდაჩემის ცხედარი ჩემს ხელებში თვალის დახამხამებაში დაპატარავდა და გაქრა. მისი შავი სამოსი მქონდა მხოლოდ ხელზე გადაკიდული. წავპარბაცდი, ფეხი ამერია. მდინარის გაღმა მხარეს, კაშხლის ძველ ნანგრევებთან დახოცილი ქართველების ცხედრებს წამოვკარი ფეხი, ეგრე თვალებლიები ეყარნენ. ჩემი ნასროლი ტყვიების კვალი შევამჩნიე და ხაზბის ხმაც ჩამესმა:

– ორი ქართველი ჩააძალლე, ორი ნაბიჭვარი. აი, ეგრე!..

სისხლიან სახეზე დავხედე ჯერ ერთს, მერე მეორეს და... ჩავიკეცე, აჩი და გიო, ჩემი დეიდაშვილები. ნუნებდაგლეჯილი თითებით ვფხორტნიდი კენ-

ჭიან მიწას და თავს ქვაზე ვურტყამდი, ისეთი შეგრძნება მქონდა, რო ტვინი მეღვენთებოდა ქვაზე და თანდათან სამუდამოდ ლამდებოდა.

რო გამომეღვიძა, მთვარე მადგა თავზე, სიზმარში ქვაზე ნარტყამი თავი მტკიოდა და ასე მეგონა, დალენილი თავის ქალიდან გადმოლვრილი ტვინი მქონდა სახეზე გაგლესილი.

გამაკანკალა, თითქოს ყინულიანი წყალი დამასხა ვინმემ, იმ შავოსანი ქალის სახე დამიდგა თვალწინ, უფრო სწორად დეიდაჩემის სახე.

– რატომ დამიხოცე?!. – სიზმრიდან გამოყოლილი გოდება ჩამესმა, დეიდაჩემის გოდება.

ფეხზე წამოვხტი, მთვარეს ავხედე, რომელიც ჩემსავით შეშლილი სახით მიმზერდა.

– „ვინ იცის, მართლა შენები დახოცე, ვინ იცის, მართლა გაამნარე დეიდაშენი“.

ტელეფონი ამოვილე გულის ჯიბიდან, მაგრამ ვაი იმ ამოლებას, ორი ხელით ვერ ვიჭერდი, ისე მიცახცახებდა ხელები. ვერც ნომრები ვიპოვე და ვერც დავრეკე. მერე ავდექი, ეზოში მოვისროლე ტელეფონი და ტირილით ბორიალს მოვყე. ვინმეს რო დავენახე, ნორმალური ვის ვეგონებოდი, თუმცა, სადღა მქონდა ჭკუა-გონება. ძალლი არ მყავდა და ამ ჩემს ვიშვიმზე მეზობლის ძალლები აყეფდნენ, სამი ძალლი ჰყავდა ილოს. ტირილი ეუცნაურათ თუ რა იყო... კაცის ტირილი გაგონილიც არ ექნებოდათ. დავდიოდი ეზოში და ვლმულდი ეგრე. მერე მთვარე შეიმალა ღრუბლის ზვინში. კუნძზე ჩამოვჯექი, პაპიროსს პაპიროსზე ვენეოდი, ძალლებიც ჩაყუჩდნენ.

ვიჯექი და თავს ვინუგეშებდი, რო არც ერთ ქართველ მებრძოლს არ მოხვედრია ჩემი ნასროლი ტყვიები. დავაჯერე ჩემი თავი, რო მომეჩვენა, კაშხლის ნანგრევებთან, ლიახვის გაღმა, ჩემი ნასროლი ტყვიით, როგორ წაიქცა ორი სამხედროფორმიანი. ხანდახან როგორ გჭირდება საკუთარი თავისთვის

კარგად შეთხზული ტყუილი. ტყუილს ყველაზე მეტად შეუძლია გაგაბედნიეროს, ახალი სიცოცხლე მოგანიჭოს. ტყუილსაც შეუძლია სიცოცხლის დაბადება, მთავარია, როგორმე დაჯერო საკუთარი თავი, მთავარია კარგად აუხვიო თვალები საკუთარ თავს.

— მომეჩვენა, რო არავინ არ მომიკლავს, ჩემ გარდა, რამდენი ისროდა... მე, მე არავინ მომიკლავს, — ხმამაღლავლაპარაკობდი და უცხათ სიზმარში ნანახი შავებში ჩაცმული დეიდაჩემის სახემ გამიელვა, — სიზმარში ჩამყვა ეს საშინელი ფიქრი და ეგ არის, — ვთქვი და უფრო ხმამაღლავლა გავიმეორე, — მე არავინ მომიკლავს. მე ჩემს დეიდაშვილებს ვერასოდეს ვესროდი. ეს სიზმარი იყო.

ისევ ეზოში მოვყე ბორიალს, მარტოდმარტო ვცხოვრობდი ამ ჩაყრუებულ არემარეზე. ისე წავიდნენ ჩემები, დედაც და მამაც, ჩემს დაოჯახებას ვერ მოესწრენ და დავრჩი ეგრე, საკუთარი ფიქრების ლუკმა. და მივხვდი, რო არ არსებობს საკუთარ ფიქრზე უფრო გამგელებული მხეცი, რომელსაც დაუნდობლად შეუძლია გაგფატროს, მარტობაში მყოფი ადამიანი, როგორც გალიაში, მშიერ ლომთან დარჩენილი უმწეო არსება, ისე რჩები საკუთარ თავთან, საკუთარ ფიქრთან და არ არსებობს ამაზე უფრო მტანჯველი სიკვდილი, როცა საკუთარი თავის ლუკმა ხდები, როცა გრძნობ, რო დამარცხდი მასთან, რომელსაც ხშირად ჯაბნიდი ცხოვრებაში, მაგრამ ეს მარცხი მაინც გარდაუვალი იყო.

ტელეფონი ვიპოვე, ჩავრთე, გული ცემას ვეღარ ასწრებდა. დეიდაჩემის სმს იყო: „შენ მოგიკვდეს დეიდა, შენა. ვინ იცის, რა დღეში ხარ, ეს რა უბედურებაში ჩაგვყარეს, ამათ არ გაიხარონ... ჩვენი ჯავრი არა გქონდეს, დეიდა გენაცვალოს, დროებით სადღაც ჭერი მოგვცეს. ვიცი შენი გულის ამბავი და ძაან ვნერვიულობ, ოხრად დარჩეს ყველაფერი, მთავრია, თქვენა მყავდეთ კარგად. ვისაც შვილი მოუკვდა ან ოჯა-

ხის სხვა წევრი, იმათვის ყველაფერი დამთავრდა, ჩვენ რა გვიჭირს. არაფერზე არ იჯავრო, რაც იქნება, იქნება. შენ რას შეცვლი, თუ სახლიდან ცოტა რამეს გამოიტან და გადაარჩენ ხო კარგი, თუ არადა, შენი ჭირიც წაულია“.

ეგრევე წამსკდა ცრემლები, ქალივით ავქვითინდი. რა მექნა, რა ქვისთვის მეხალა თავი. ერთ ადგილზე ვეღარ ვჩერდებოდი. ასე მეგონა, ჩემი სახლის ეზოში ყოფნითაც კი დიდ დანაშაულს ჩავდიოდი. გულის წვერს თითქოს კოცონის ალი სწვდებოდა. ყველაფერი მეწვოდა.

გარდაცვალებას რა უშავს, გარდაცვალებაზე დიდი სიკვდილი ის არი, საკუთარი გულის ფერფლად ქცევას რო გრძნობ. გული თითქოს ალარ მიცემდა. თვალები დაცუჭქე, ნიავი წამოვიდა ფშანებიდან და თითქო დედაჩემის სურნელი ცხადად ვიგრძენი. მეგონა, რო სადღაც იქვე იყო. ყველაზე საყვარელი ადამიანების სუნს, ხმას, საგულდაგულოდ ინახავს ადამიანი და ეს არის შენი დამპურებელი, ეს არის შენი სანთელი და ბაზმა-კელაპტარი. ხანდახან გვონია, რო ყველაფერი დამთავრდა, წერტილი დაესვა ყველაფერს, დამთავრების შეგრძნება გაქვს და სწორედ ეს გადანახული სუნები, ხმები განიჭებენ სიცოცხლის ხალისს, იმ იმედით იძინებ, რო დილით სხვანაირი მზე ამოვა და ცხოვრება ისევ ელირება, რადგან სადღაც არსებობენ ადამიანები, რომელთა გამოც ისევ გინევს წუთისოფლის უღლის თრევა.

ვალო რო არა ყოფილიყო, ჩემი კარისძირის მეზობელი, რა ჯანდაბა გადამატანინებდა ამ უბედურებას. მთელი ცხოვრება შეიძლება ყოველდღე ხვდებოდე ადამიანს და ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩინო, რო ის შენ გამო არსებობს, შენი ტკივილების ჩასაყუჩებლად მოიყვანა უფალმა. სინამდვილეში ამის გამო უცხოვრია და ამას როცა აღმოაჩენ, მიხვდები, როგორ არ გაცილებს ერთი წუთითაც თვალს ის დალოცვილი ღმერთი. შენც ვიღაცის ტკივილების წამლად შეგქმნა და ამას ისე გაკეთებინებს, შე-

იძლება ხეირიანად ვერც კი მიხვდე.

მიყურა, მიყურა ცრემლიან თვალებ-ში ვალომ და თვითონაც ცრემლები წასკდა. იდგა ეგრე და ბლაოდა ამხელა კაცი. სიბნელეში ვტიროდით, ვერავინ გვიყურებდა, ვერავინ გვამჩნევდა. სხვა რა შეგვეძლ, ერთმანეთის დატირების გარდა. იმასაც ქვეყნის ნათესავები ჰყავდა ქართველები. იდგა და იგინებოდა ხაზბის და სხვების დასანახად, დედას უტრიალებდა თავის ქართველ ნათესავებს, მაგრამ თვალებში ხო ვატყობდი, როგორც აგინებდა. ამას მხოლოდ მე ვამჩნევდი, სინდისი წამოუმდვრევდა ხოლმე თვალებს. მზერას მარიდებდა, თითქოს მებოდიშებოდა, თითქოს ჩემ წინაშე დიდი დანაშაული ჩაედინოს. ქართველებს უშვერი სიტყვებით იხსენიებდა, მაგრამ, ხო ვატყობდი, ერთი სიტყვაც არ იყო გულწრფელად ნათქვამი. რა ექნა, იქვე გაფატრავდნენ, ცოლ-შვილს დაურბევდნენ. ეშინოდა ვალოს, ბიჭი იყო და არ შეშინებოდა. სინდისდასაჭურისებულები შევციცინებდით ხაზბის და ვაგინებდით ქართველებს. ვაგინებდით ჩვენს ბავშვობის საუკეთესო წლებს, ვაგინებდით ჩვენს მომავალსაც და ასეთი კაცები ან ხაზბის რაში სჭირდებოდა.

— ქემერტში ჩამიყვანე, — ისე ჩავჩურჩულე, მეგონა, ვინმე იყო მოყურადებული და უმაღ ხაზბისთან ჩამიშვებდა,

— ჩამიყვან? — თითქო ყელში მიჭერდა ვინმე, სუნთქვა მეკვროდა.

ნამტირალევი თვალებით ამომხედა.

— ქემერტში რა გინდა?

— ჩემების სახლი უნდა ვნახო.

არაფერი უთქვამს, მძიმედ დამიქნია თავი. წავიდა და „ვილისი“ აარახრახა.

— შარში არაფერში გაეხვე, ხო იცი, როგორ ეჭვითაც გვიყურებენ, — წასვლისას მითხრა.

— ერთი მაგის... — უაზროდ შევიგინე, — ამაზე მეტი შარი რაღა უნდა იყოს. ესეთ ცხოვრებას მოუტყან პატრონი.

აღარაფერი უთქვამს, ვალოს „ვილისი“ ხტუნვა-ხტუნვით დაეშვა ფშანებისკენ.

•

თითქოს კვნესის ხმა ჩამესმა. ღრუბლებში შემალული მთვარის შუქი იღვრებოდა, მაგრამ სიბნელე ვერ სძალავდა. ხეირიანად ვერაფერს ვერ გაარჩევდი. გადამწვარ-გადაბუგულ სახლებს მივაშტრიდი, კვნესის ხმა უფრო გაძლიერდა, თითქოს დაჭრილი ადამიანი იყო ახლომახლო და იმისი სასოწარკვეთილი ამონაკვნესი ჩამესმოდა. მერე ეს ხმა რაღაცნაირად ჩემს ხმად გარდაისახა. მე ვკვნესოდი, ღმერთო! საშინელი კვამლი იდგა, გადაბუგული სახლები უცნაურ ჩონჩხებად მოჩანდნენ სიბნელეში, ფეხები მეკვეთებოდა. მთვარემ ოდნავ გამოყო თავი, თითქოს ჭირისუფლობაში უნდა შემშველებოდა, შუქი მომცა. კვამლი უფრო გაძლიერდა. ჩაბუგულიყო ყველაფერი, მაგრამ მაინც ძლიერი კვამლი იდგა. უჭირისუფლო მიცვალებულივით შემომყურებდნენ სახურავჩაქცეული და ცეცხლისგან კედლებალანძული სახლები. იქით წავედი, სადაც დეიდაჩემის სახლი მეგულებოდა. თითქოს ჩემი ბავშვობა უნდა გადამერჩინა. მივდიოდი სიბნელეში, მივათრევდი ფეხებს და თან ვტიროდი. ვალო უკან მომდევდა, თან მალ-მალე მეტყოდა:

— რასაც ველარაფერს ვუშველი, რაღა აზრი აქვს.

და მერე ვალოს ნათქვამი ბოლო სიტყვები უცნაურად მიმეორდებოდა ყურთან: „რაღა აზრი აქვს, რაღა აზრი აქვს“.

ბოლოს ვედარ მოვითმინე და, როგორც კი ჩემი ცეცხლში ჩანთქმული ბავშვობის სუნი ვიგრძენი, როგორც კი დეიდაჩემის სახლის კედლებს მივუახლოვდი, ბლავილი დავიწყე. ასე მეგონა, ჩემი სულიდან იმ ბავშვმა ამოყო თავი, ერთ დროს აქ, ამ სახლში, ამ ეზოში ტიტლიკანა რო დარბოდა. ასე არასდროს მეგრძნო საკუთარი თავი, სადაც დავიწყების ნისლში ჩანთქმული წუთები გაცოცხლდა.

— მიშველე, მიშველე, უნდა გადა-

ვარჩინოთ როგორმე! მიშველე, ვალო! დამებარე, ვერ გადავიტან ამ ამბავს. ჩემი დეიდაშვილების სახლი იწვის, ჩემი ბავშვობა იწვის, მიშველე, ვალო, მიშველე, გემუდარები, ნუ დამტოვებ ამ ცეცხლში!

მომვარდა ეს ჩემი მეზობელი, წამკი- და ეგრე გიუივით ხელი, მაჯანჯლარა.

— გიზო, რეები გემართება, კაცო. გონჩე მოდი ცოტა.

ხელები მიცახცახებდა და ზუსტად ისეთი ხმა ამომდიოდა, როგორც ბავ- შვობაში.

— მიშველე, მიშველე, ადამიანი არ ხარ?

— რა გიშველო, მე რა გიშველო, — ისევ შემაჯანჯლარა, — მე რა შემიძლია. ჩვენ რა შეგვიძლია, ჰა?! — გული ამოუ- დულდა, — მეც დავკარგე ყველა, — რა- ღაცნაირად ამოიკვნესა და ისეთი ტკი- ვილი ვიგრძენი მის კვნესაში, უარესად გავხდი.

— ახია ჩვენზე ყველაფერი, ახია, გი- ზო! უარესის ლირსები ვართ. ეგ იცის თვალის მოხუჭვამ, ეგ იცის გატვრენამ, — ნერვები ვეღარ დაიოკა, ისეთი დაიღ- რიალა, მეგონა, კედლები გადმოინგრე- ოდა.

— არ უნდა დაგვმართნოდა ესა, არ უნდა დაგვმართნოდა!

ხრჩოლავდნენ ქართველების გადამ- წვარი სახლები, იღველფებოდა უბედუ- რი, სიცოცხლეგამნარებული ხალხის წლობით ნაამაგარი.

— მე... ვეღასოდეს წარმოვიდგენდი, ღმერთო! — ტუჩები მოვიკვიტე, საკუ- თარი სისხლის გემო ვიგრძენი და უა- რესად გავგენთდი, — ვერასოდეს... რო დეიდაჩემის ნასახლართან ვიდგებოდი ეგრე და ამ კედლებში გამომწვარ ჩემს ბავშვობას დავიტირებდი.

პეტლებიდან ჩამოვარდნილ რკინის კარს გადავაწყდი, პირქვე გავიშოტე, შუბლი ისე დავკარი, რამდენიმე წამი გონება დამებინდა. იმხელა რახვანის ხმა იყო, ვალო მომვარდა, წამომაყენა, ასან- თი გაჟკრა, შუბლი მქონდა გახეთქილი.

სისხლი ნაკადულივით ჩამომდიოდა.

— რას შეცვლი, ჰა, გითხარი და არ დამიჯერე... ეპ, გიზო, შარს დაეძებ. რა გავაკეთო, კაცო! — დაბნეული იდგა და პერანგის სახელოთი მწმენდდა სისხლს, თუმცა არაფრით შემინყდა. სახე ხო გა- მელუმპა და უბეში ჩამდიოდა.

— ამ კარის ჩამოგდებისთვის მივიღე ესა, ამ სახლისთვის, დაწვისთვის მი- ვიღე ესა, კიდე მივიღებ სხვა რაღაცე- ბს, ვიცი, რო მივიღებ, — ჩემს სისხლს ვყლაპავდი და ისეთი შეგრძნება მქონ- და, ჩემი დეიდაშვილების სისხლს ვიყავ დაწაფებული, — ამ კარის ჩამოგდების- თვის, ამ სახლისთვის დაწვისთვის... — ვლმუოდი.

— შენ რა შუაში ხარ?

— მე დავწვი, მე მოვუკიდე, ჩუმად ჩა- მოვედი, ღამით მოვიპარე და წავუკიდე, ჩემი ბავშვობა დავწვი, ვალო!

გაშტერებული მიყურებდა. როგორც მშიერი მგლის თვალები, ისე უელავდა მზერა.

— მართლა მე დავწვი, ვალო!

— ეპ, კარგი გიზო! — პერანგის სახე- ლო მოქაჩა და სახე მომწმინდა, — ვინ- მეს მართალი არ ეგონოს.

— ბავშვობა დავწვი, საკუთარი თა- ვი მოვსპე და გავანადგურე, — ვჩურჩუ- ლებდი ჩემთვის.

მთვარემ ოდნავ გამოაშუქა. შრამი- ანი სახით გამოიჭყიტა და მერე ისევ მიიმალა. ეზოში შევედი, მაგრამ ვაი იმ შესვლას, ისეთი შეგრძნება მქონდა, რო ცხედრებზე დავდიოდი, ჩემების ცხედ- რებზე. ცეცხლს მოელოკა სახლის კედ- ლები, სიცოცხლე ჩაფერფლილიყო და დეიდაჩემის სახლი ნასახლარად ქცეუ- ლიყო. დამწვრის სუნი ებრძოდა ჩემი ბავშვობის სუნს. სისხლი ისევ მომდიო- და. ვალო ბუზღუნით დამდევდა.

— ძაან ჯიუტი კაცი ხარ. რასაც ვერა- ფერს უშველი, რალა აზრი აქვს.

— მე რა კაცი ვარ, ვალო, — უცბათ ტირილით ვკითხე, — მე კაცი არ ვარ, არამია ჩემთვის სიცოცხლე. ჩემი დეი- დაშვილები ჩემს სახლს... — ვზლუქუ-

ნებდი.

ვალო უცბათ შეკრთა, ხელი ჩამავლო, ვიღაცის ხმა მოესმა.

— მოიცა!

ამოყელყელავებულ ცრემლის ტალ-ლას რაღა გააჩერებდა.

— ჩემი დეიდაშვილები თავს გაწირავ-დნენ და ჩემ სახლს არ დააწვევინებ-დნენ. მე რა კაცი ვარ!..

სადლაც, სოფლის ბოლოში, მანქანის შუქი გაკრთა. იმას მიშტერებოდა ვალო. მერე ისევ სიბნელემ დაისადგურა. წყვდიადი იყო გარეთაც და სულშიც.

— შენ არაფერი შეგეძლო, — თითქოს ჩემს დასამშვიდებლად დაიჩურჩულა ვალომ, პაპიროსს მოუკიდა და კარგა ხანი უხმოდ ეწეოდა. ბოლოს, როდის-როდის თქვა: — ამ უბედურებას ჭირისუფლებიც ხო სჭირდება, ჰა?!

●

დეიდაჩემს ტყუილი უნდა მივწერო. ავკრეფ, მერე ისევ წავშლი, თითქოს თითქბი არ მემორჩილება. ტყუილს სულ-ში შემომძვრალი ეშმაკი გათქმევინებს, მაგრამ ეს ტყუილი ეშმაკს არ ეკუთვნის. ბავშვობაში ტირილი არ ვიცოდი. რაც არ უნდა მტკენოდა, რაც არ უნდა დამმართნოდა, ჩემს თვალზე ცრემლს ვერ ნახავდა კაცი. მამაჩემის კმაყოფილ თვალებს ხშირად წავანყდებოდი ხოლ-მე, ჩემი ბიძაშვილი კოსტა რო პატარა რამეზე პირს მოაღებდა, ჩემზე ეტყოდნენ ხოლმე მაშინვე:

— აგრა, რა მაგარი ბიჭი მოდის, ტირილი არ იცის რა არი.

ყველა ადამიანის სულშია ცრემლის ჭა. ეს ჭა ადრე თუ გვიან მაინც ივსება და ბავშვობაში ჯობია დაღვარო კაცმა ცრემლი, ცხვირის გატეხვაზე იტირო, ხიდან ჩამოვარდნის გამო მოალო პირი, ჯონით ცემაზე იბლავლო, ვიდრე დიდობაში. თითქო ამ უბედურებისთვის ვინახავდი ჩემს ცრემლს. სადლაც, ვიღაცის მიერ ჩადენილი ცოდვა ჩემს ცრემლად იქცა. ავკრეფი ტექსტს და წავშლიდი.

„დეიდა... ვეღარ მოგწერე. მშვიდო-

ბიანად ვარ, თუ მშვიდობა ჰქვია, არაფრის ჯავრი არ გქონდეს. სახლს თითს ვერავინ ვერ დაადებს. მალ-მალე ვერ გირეკავ, ისმინება, ხო ხვდები... ყველა-ფერი ხელუხლებელია. იცის ყველამ, ბიჭებსაც ვუთხარი, დარდი არ გქონდეთ. რაღაცები გადავიტანე ჩემთან. ხო იცი, მაინც ათასი ვიღაცა დაძვრება. ყველა-ფერი კარგად იქნება. დალაგდება, ნუ გეშინია“.

ციმციმებს ტელეფონის ეკრანი, დავ-ცქირი ჩემივე ტყუილს. გადაბუგულია დეიდაჩემის სახლი. შემომტირიან გამომწვარი კედლები, ფერფლით არის ეზო სავსე. ის ეზო, სადაც ფეხშიშველა დავრბოდი ხოლმე. ბალახებიც კი მახსოვს, როგორი ბალახები ამოდიოდა. მეხსიერებას ვერ წვავს ეს ცეცხლი. გამურულ კედლებზე კონწიალობენ საწვიმარი უოლოპები და საზარელ ხმას გამოსცემენ, ეს მომაკვდავი სახლის ხმაა, მისი უკანასკნელი ბგერები. უოლოპის ღრჯიალი, დეიდაჩემის სახლის ბოლო ამოსუნთქვაა. დავდივარ დაბუგულ, ჭერჩამოქცეულ ოთახებში, ხრა-შა-ხრუში გაუდის დალენილ ჭურჭელს. დავცქირი რაღაც ნივთებს, ნარჩენები მხვდება და შემლილივით ვაკვირდები, ვიქექები, რას ვეძებ, მეც არ ვიცი, უაზროდ ვფხორტნი ხან ფეხის წვერით, ხან თითებით. ეს ყოველდღე მეორდება. გათენდება, დალმართზე დავეშვები, რამდენიმე კილომეტრის ფეხით გავლა მინევს. ვალოს აღარ ვაწუხებ, მაგრამ რამდენჯერმე თვითონ მომადგა მანქანით. .

— უზომო არაფერი არ ვარგა, ხო იცი.

— ამას ზომა და წონა არა აქვს, ვალო.

ვეცოდებოდი და ეგრე დამდევდა. ეს ორი მეზობელიდა ვიყათ, დაიცალა ჩვენი სოფელი, ჯერ სულ რამდენი კომლი იყო და... თითქოს მიჯაჭვული ვიყავი, მამაჩემის აშენებულ სახლს თავი ვერ დავალნიე და ვალო იყო ჩემი მეზობელიც, ნათესავიც და მოკეთეც.

ავკრეფ და წავშლი. მივწერო, თუ არ

მივწერო?! მოვატყუო? ლმერთო, შენ მიშველე! დიდხანს ვიყავი ასე. თითები თავისით მოძრაობდნენ და ისევ შლიდნენ. თან ცრემლები დამდიოდა ტელეფონზე, ეს ცრემლები მარტო მონატრების ცრემლები კი არა, ჩემი უსუსურობის, ჩემი უმწეობის ცრემლები იყო. ყველაზე მეტად შენ იცი საკუთარი თავის შესახებ... როგორც არ უნდა ითამაშო, როგორი დიდი არტისტიც არ უნდა გახდე, სახეზე სქლად დადებულ გრიმს, რომელსაც ნამდვილისაგან ვერ არჩევენ გარშემო მყოფნი, სულიდან გამოწურული ერთი ცრემლი თვალისდახამხამებაში ჩამოგაცლის. ხანდახან ყველა მონატრებაზე მეტად საკუთარი თავის მონატრება გყლავს, სადღაც მიტოვებული თავი, უფრო სწორად, მარადიული სცენისთვის განწირული და ცხოვრების საგრიმიოროში გამომწყვდეული. დავტიროდი საკუთარ უსუსურობას, საკუთარ პატარა კაცობას. სიცოცხლეზე კარგი დალოცვილ ლმერთს არაფერი გაუჩენია, მაგრამ რას არ გაგაკეთებინებს, რას არ გაკადრებინებს სიცოცხლის დაკარგვის შიში და გილირს ასეთი სიცოცხლე? ბოლოს ისევ ამოძრავდნენ თითები და ვრცელი ტყუილი მივწერე. სადღაც, დევნილობაში მყოფ დეიდაჩემს. ეს ტყუილი, თუ როგორ გადარჩა მისი სახლი და ავლადიდება, ჩემს სულში რო ჩავიხედე და თავს გამოვუტყდი, იმისთვის კი არ დაკერე, რო მენუგეშებინა, უფრო იმისთვის... ვალიარებ, უფრო იმისთვის, რო მაგარი ბიჭი გამომეყვანა ჩემი თავი, როგორ გადავარჩინე მათი სახლ-კარი გადაპუგვას. როგორ გადავუდექი წინ ვიღაც გამგელებულ ოს ახვრებს. ტყუილს ყველგან მოკლე ფეხები აქვს, არც აქ იყო გამონაკლისი. კუთხეში ვირთხასავით მიმწყვდევია კაცისთვის სიცრუე. თავმოყვარე კაცი კუთხეში თავს არ დაიყენებს.

„დეიდა გენაცვალოს შენა, ჩემო იმედო. ცოტა დამშვიდდა გული. ეს რა სიმწარე გვაჩენეს, ამ დასაქცევლებმა, მეგონა, ნაცარტუტად იქცა ყველაფერი.

შენ ხომ მაინც იცი, როგორ წვალებითა და დაგვით ავაშენეთ და გავმართეთ შვილო, წელებზე ფეხებს ვიდგამდით, ცხონებული მამაშენი რამდენჯერ დაგვეხმარა, ხარებიც კი გაყიდა ერთხელ ჩვენი გულისთვინ. თავს გაუფრთხილდი, დეიდა გენაცვალოს“.

ცხრაჯერ წავიკითხე დეიდაჩემის წერილი, გულს ბაგაბუგი გაუდიოდა, თითები ისევ მითრთოდა, ათი წუთიც არ იყო გასული და ჩემი დეიდაშვილის — აჩის შეტყობინება მივიღე.

„როგორა ხარ, კუტი? (კუტის მეძახდა მეტსახელად. ბავშვობაში კუტს არ დავტოვდი ხოლმე თონეში, ხმელი კუტის კნატუნი მიყვარდა და კუტი დამარქეს დეიდაშვილებმა). ჩვენებურების სახლები დაუწვიათ სულა, დედაჩემმა მითხრა, მიგინერია, რატო მეც არ მომწერე, სადღაც საბავშვო ბალში შეგვყარეს. რავი, რა იქნება, მალე შეხვალთო. სახლის ფოტოები მაინც გადმომიგზავნე, ე, მამაჩემი აქეთ აღარ არი ნერვიულობით და ცოტას დავამშვიდებ“.

დარეტიანებულივით ვიყა, ეხლა რა მექნა, როგორდა მომეტყუებინა?! ის დღე იყო და ჩემებისთვის აღარაფერი მიმიწერია. რა მეთქვა, რა მქონდა სათქმელი?! სულ დამწვრის სუნს ვგრძნობდი და, როგორც კი დეიდაჩემის გადაბუგულ არემარეს გავიხსენებდი, მეტირებოდა. რითი ჩამეკლა დარდი, რა გამეკეთებინა. სმას მოვუხშირე, რამდენჯერაც შემოვიდა ვალო, იმდენჯერ არყის ბოთლი მედგა მაგიდაზე, ცოტას რო გადავკრავდი, საკუთარი თავი წუგეშის სიტყვებს ჩამჩურჩულებდა: „ყველაფერი კარგად იქნება, სახლიც აღდგება და კარიც, მთავარია, ცოცხლები არიან. იმათ რაღა ქნან, ვისაც ოჯახის წევრები დაეღუპათ და მიცვალებულებიც ვერ დაიტირეს“.

— ვერ არი საქმე კარგად, — ჩაილაპარაკა ერთხელაც ვალომ და არყის ჭიქა ბოთლიანად ამაცალა.

დაელმებული თვალებით შევხედე.

— ეგრე არ გამოვა, ჯიგარო! — მით-

ხრა და გამწყრალი მზერით ჯიქურ მო-  
მაშტერდა.

— გამოვა, გამოვა! — უაზროდ ვთქვი  
და ვალოს ხელში მომწყვდეულ არყის  
ბოთლს წავეტანე.

— ეეჭ, — უარესად გაბრაზდა, — სხვე-  
ბისა მეჯავრება, ამას როგორ უნდა მო-  
აკვლევინო თავი, — თქვა და ისეთი თვა-  
ლებით მომხედა, მამაჩემის მზერა გამი-  
ცოცხლდა. იმან იცოდა, ცხონებულმა,  
როცა გაბრაზდებოდა, როცა წამეჩხუ-  
ბებოდა, ასე მოუსალამოვდებოდა ხოლ-  
მე თვალები.

— თავი ხელში აიყვანე! პატარა ბიჭი  
აღარა ხარ?! — თქვა და წავიდა. არყის  
ბოთლი თან წაილო.

●  
— წადი და ნაჩალნიკთან გაარკვიე, —  
ჩაიქირქილა აბებ.

ნერწყი გამიშრა, ხელები და ფეხები  
გამიცივდა. ვიგრძენი, თითქოს ყველა  
კაპილარში ჩაიყინა სისხლი.

— ეს რა საქციელია, ვერ ვიგებ, —  
თქვა ვალომ და აბეს დამამუნათებელი  
თვალებით შეხედა, — რომელ ჭკუათ-  
მყოფელს მოუვიდა ეს აზრი.

— შენ რა ტრაკს ათამაშებ, — ხაზბის  
შუათანა ბიჭმა, თეზამ, თვალები დაუბ-  
რიალა ვალოს.

მამამისიზე გაცილებით დიდი ასაკის  
იყო ვალო, ლამის შვილიშვილი ჰყავდა  
თეზას ტოლა, მაგრამ ხაზბის ვაჟს ეს არ  
ანაღვლებდა.

— გვითხრეს და მორჩა, მაგათი აღა-  
რაფერი უნდა დარჩეს. მერცხალს ბუდე  
რო აღარ აქვს, იმ სახლში აღარ მიდის.

გამაურულა. ბავშვობაში დეიდაჩე-  
მის სახლის აივნის კუთხეში, ხის ბოძებ-  
ზე მინებებული მერცხლის ბუდეები გა-  
მახსენდა. ისე ცხადად გამახსენდა, რო  
ბუდიდან თავამოყოფილი, პირდაღებუ-  
ლი ბარტყების უივეუვი ჩამესმა.

წინ გადავუდექი, მაგრამ როგორც კი  
აბემ გრეიდერი დაქოქა, ვალომ ხელი  
მომკიდა და გვერდით გამიყვანა.

მიაწვა სნარიადის ასკოლკებით დაფ-

ხავებულ უანგიან რკინის ღობეს ვეება  
დანიანი ტრაქტორი და ნახშირივით შა-  
ვი კვამლი შემოგვაფრქვია. გამგელებუ-  
ლი ბულდოზერის ამონასუნთქით ამევ-  
სო გულ-გვამი, სული შემიგუბდა.

— ამათან ვერაფერს გახდები, ტყუ-  
ილია, — ჩამჩურჩულა ვალომ, — ესენი  
ყველაფრის გამკეთებლები არიან, რო  
დაავალონ, ჩვენც ამოგვხოცავენ.

საშინელი ღრჭიალი გაისმა, ისეთი  
ტკივილი ვიგრძენი, მეგონა, ჩემს სხე-  
ულზე გადაიარა ტრაქტორმა.

— რამდენი უსახლკარო კაცია, ჭერი  
არა აქვთ. შეგესახლებინათ ის ხალხი, —  
მაინც ვერ მოითმინა ვალომ.

დოინჯშემოდებული თეზა ბულდო-  
ზერს მიშტერებოდა.

— სხვა სახლებს ავაშენებთ, ახალ  
სახლებს, — ისე თქვა, არც შემოუხედავს  
ჩვენთვის. რაღაც დაუყვირა ბულდოზე-  
რის კაბინაში მოკალათებულ აბეს, მაგ-  
რამ ვეღარ გავიგე.

ერთი მიწოლით ჩამოაქცია დეიდაჩე-  
მის გამომწვარი სახლის კედლები აბემ.  
მტვრის ბურიაყი იდგა. მიმათრევდა ვა-  
ლო, მაგრამ არ მივდევდი. ეგრე ჩამუხ-  
ლული დავტიროდი ჩემს უსუსურობას.  
დეიდაშვილების სახლი ვერ გადავარჩი-  
ნე... როგორც ახლობელი ადამიანის მი-  
ბარება-ჩასვენებას და მიწის მიყრას ვერ  
უყურებ, მეც ეგრე ვიყა. ცოტა ხანში ის  
გამომწვარი კედლებიც აღარ იყო. სა-  
საფლაოდან წამოსული ჭირისუფალი-  
ვით მივდიოდი სახლში. ვალოს მანქანა  
მოშორებით ეყენა. რამდენჯერმე მოვ-  
ტრიალდი, აღარაფერი იყო ახლა იქ, სა-  
დაც რამდენიმე წუთის წინ დეიდაჩემის  
სახლი იდგა. სიცარიელე ვიგრძენი და  
ისიც ვიგრძენი, რო მე ვიყავი ის სიცა-  
რიელე.

●  
— მე იმისი მეშინია, — ჩაფიქრდა ვა-  
ლო და ჭიქაში ჯაჭვმოდგმულ ჭანჭურის  
არაყს ჩაშტერდა, გეგონება მკითხაობდა.  
— რისი გეშინია?

— რისი და... — არყით სავსე ჭიქა აი-

ლო და ისევ დადგა, — დიდი ხანი გაგრძელდება ეს ამბავი, თაობები შეიცვლება, გული გაცივდება. ჩამქრალი, გალელეჩბული ცეცხლი, წარმოიდგინე — უბერავ სულს, ეტანჯები, მაგრამ ვერაფერი... ხო ეგრეა?! — რალაცნაირი ამოცარიელებული მზერით ამომხედა.

— ეგრეა.

— იმ ნაცეცხლარს მერე ბალახი გადაუვლის. ან მპოვნელი ვინ იქნება და, ან ახალი ცეცხლის დამნთები. სულ მაფიქრებს ეს ამბავი. მინდა, ერთხელაც თავზე ავიღო ხელი, ამ ყველაფერს წინ გადავუდე, გამოვიდე, ვიყვირო, ვიღაცა შევაჯანჯლარო, ვიღაცას სახეში გავულანუნო. ყოველ დილა ამას ვფიქრობ და ვამბობ, ვიღაცამ უნდა გააკეთოს ეს, ვიღაცამ უნდა აიღოს თავის თავზე. გათენდება დილა და ყოფას ვუტირებ, მივალ და ყველაფერს თავის სახელს დავარქმევ, მაშ როდემდე ვიყვეთ ასე. თვალსა და ხელს შუა გარბის დრო, ისე დავბერდებით, ისე შემოგვეცლება ნლები... მერე გვიანი იქნება ყველაფერი. თივის ზვინში ნემსის ძებნას რა უნდა, როცა ის ნემსი გულში გაქვს გაყრილი და ყველა ჩასუნთქვაზე და ამოსუნთქვაზე გეფლითება ყველაფერი, სისხლი სულში გეწვეთება. ეგრე ვფიქრობ, მაგრამ, რო გათენდება, მერე გამბედაობა აღარ მყოფნის. ვაითუ ამომიულიტონ ოჯახი, ვაითუ დამინიოკონ ცოლ-შვილი, ვაითუ მოღალატედ გამომაცხადონ და ეგრე სახალხოდ ჩამქოლონ. პატარა კაცები ვართ, ამას ყოველდღე ვგრძნობ, სულ უფრო და უფრო მიმძაფრდება ამ პატარა კაცობის შეგრძნება და გული მიკვდება. გამჩენზე რა უნდა ვთქვა, მაგრამ ბრაზი წამომივლის ხოლმე, ტანი მომცა, ჯანი მომცა, მაგრამ გამბედაობა დამაკლო იმ დალოცვილმა. განყვეტას მაქვს სულის ძაფი, ხორცზე ამ ძაფით არის მიბმული სული და დიდხანს თუ გაგრძელდა ასე, ვეღარ დავიჭერ, გასხლტება და გაფრინდება. ყველაფერს ვკარგავთ, ეს მინა ყველას ძვლებს დაიტევს. ვუყურებ

ამ გადამწვარ და მინასთან გასწორებულ სოფლებს, ეს ამდენი სისხლი და ცრემლი უკვალოდ არ ჩაივლის, სადღაც წამოგვეწვა. პაპის ჩადენილი ცოდვით მისი შვილიშვილი ისჯება. იმ შვილიშვილის უცოდველობას აღარც მფარველი ანგელოზი აქცევს ყურადღებას და აღარც გამჩენი, — ჭიქა აიღო და თვალი თვალში გამიყარა, — ვიღაცამ უნდა თქვას სათქმელი, ვიღაცამ უნდა გაბედოს! — გადაჰკრა და პურის ლუკმას დაყნოსა.

●

ასე მეგონა, ვიღაც სხვა ლაპარაკობდა ვალოს ენით. ხაზბი და იმის ამფსონები გაყუჩებულები იდგნენ ბირჟაზე და ხმას არ იღებდნენ.

— ვალო, ვიცი მე მაგათი ამბავი, ხიფათს გადავეყრებით, არ დაგვინდობენ. მე კიდე ჯანდაბას, ხეზე რო ავიდე, ძირს არაფერი დამრჩება, მაგრამ აბაშენს ოჯახს შეხედე, გაგიუბედურებენ ცხოვრებას. კაცს რო სხვისი სახლის გადაწვა და მინასთან გასწორება არ ანაღვლებს....

— ვიცი, მაგრამ დიდხანს ვეღარ ვიქნები ასე, რალაცა მაწვება და მახრჩობს, სუნთქვა მეკვრება. მე მე აღარ ვარ. ჩვენ არა ვართ მტაცებლები, მკვლელები და სისხლისმსმელები. ამ ნაბიჭვრების უსაქციელობით ყველას გვიტყდება სახელი.

ერთი სიტყვით, არ დაიშალა და რასაც ფიქრობდა, ჩვენს ფორმიან თანასოფლელებს პირში მიახალა.

— ჩვენი ისტორია თქვენით არ დაწყებულა და არც დამთავრდება. მოვა დრო და ყველა პასუხს ვაგებთ ჩვენს გაკეთებულ საქმეებზე. რა ნამუსით შეიტანეთ ქართველების სახლებიდან გამოზიდული ნივთები, რომელ ჭუათმყოფელს მოუვიდა თავში საცხოვრებლის გადაწვა და დანგრევაო, — და რა ვიცი კიდე.

ვუსმენდი და პირი მიშრებოდა. ხოვთქვი, თავიდან ხმას არ იღებდნენ, ეგრე დამნაშავეებივით ჩაექინდრათ თავები და გაყურსულები უსმენდნენ ჩემ

მეზობელს, რომელსაც ერთიანად მოსწოლოდა სათქმელი, მარტო თავისი კი არა, ჩემი სათქმელიც, ჩემი უბედურებაც, ჩემი ბოლმა-ნალველიც.

რისი მოლოდინი უნდა გვქონდა, მუხლებში ჩაგვივარდებოდნენ და პატივებას გვთხოვდნენ? ეს რა ჩავიდინეთ, ეს რა გავაკეთეთ, გვაპატივეთ, ჩვენი ხელით ავაშენებთ დანგრეულ სახლებს, უკან შემოვიყვანთ ქართველებსო?

რამ გვაფიქრებინა ეს. თითქოს საკუთარ თავს ვცდიდით, გვეყოფოდა თუ არა გამბედაობა. რაც არ უნდა პატარა კაცი იყო, რაც არ უნდა უმწეობის განცდა გქონდეს, მაინც შერჩენილი გაქვს სიდედლის, სილამრის დაძლევის სურვილი. გეშინია, გამბედაობა არ გყოფნის, თუმცა ვიღაც მაინც გაქეზებს, გეძახის. ეს შენივე ხმაა, რომელიც ერთხელაც ისეთ რამეს ჩაგადენინებს, შენივე ნამქმედარით თვალები მაღლა აგივა.

— იმათაც ველი, — აგრძელებდა ვალო, — რაც იმათ ჩაიდინეს, ყველას თავისი ცოდვები ეყოფა, ყველა თავისი ჭუჭყიანი სულით მივა იქა. ჩვენ ჩვენს ცოდვებზე ვაგოთ პასუხი. მე არ მინდა ჩემი შვილები ვიღაცის ნამოქმედარის გამო დაისაჯონ.

თვალის დახამხატაში მოხდა ყველაფერი. ეს თავჩაქინდრული ხაზბი და მისი ხელის ბიჭები უცბათ იქცნენ გავეშებულ მგლებად, დაგვიშინეს და დაგვიშინეს.

— მაშ ჩვენა ვტყუივართ კიდევაც, არა?!

— მაშ ჩვენ ჩვენს ცოდვებს მივხედოთ, არა?!

— მაშ ამ რაღაცეებს ღმერთი მოგვკითხავს, არა?!

წისლი, მუშტი, ავტომატის კონდახი... რომელი მხვდებოდა, ველარ ვიგებდი. იქით ვალოს ურტყამდნენ, აქეთ მე. ბოლოს ერთი გავიგე ამათ გინებასა და აყალმაყალში:

— ესროლე, ესროლე, მოკალი ამის!..

მერე დაბნელდა. ჩავიდა მზე და მე ველარაფერს ვგრძნობდი.

როდემდე ვეგდე ასე, არ მახსოვს. თვალი რო გამოვახილე, პირველი, რაც ვიგრძენი, ის იყო, რო კბილები აღარ მქონდა, კარგად ვერ ვხედავდი, დასი-ებულ-დასისხლიანებული თვალებით სხვანაირად ჩანდა ყველაფერი. სისხლისფერი ჩანდა მზეც, სოფელიც, ჩვენი სახლიც. ცრემლიც სისხლიანი ჩამომდიოდა და, ასე მეგონა, სხვაფრად ვეღარასოდეს დავინახავდი.

უფალმა თუ გამომიგზავნა, თორემ პეტოს აქ რა უნდოდა?! თვალები დავხუჭე, გავახილე. მეგონა, მეჩვენებოდა. კედლებს დავაკირდი, მერე ჭერს მივაშტერდი. ჩემს სახლში არ ვიყა, ვერაფრით აღვიდგინე, სად ვიყავი, ვის ჭერქვეშ. წვიმით დახატული ჭერი იყო, გაჭვარტლული, შპალერჩამოგლეჯილი კედლები, ჭუჭყიანი ფარდები მომხვდა თვალში.

— სად ვარ? — თვალი დავხუჭე და ისევ გავახილე, ვერაფრით გავიხსენე. დაწებებული, სისხლიანი ტუჩები ავამოძრავე. საზარელი შეგრძნება იყო, სისხლის გემო ვიგრძენი, — სად ვარ? — ისევ ვიკითხე და პეტო მომიახლოვდა, გამიღიმა.

— ჩემთანა ხარ. ეგრე როგორა გცემეს მაგ ჩათლახებმა, მაგათა, — უადგილოდ გაიცინა, — ლამის მეც მიმაყოლეს. არ მოკლათ, კაი კაცია-მეთქი, ზედ გადაგეფარე. შეგეშვნენ მერე. ტაჭკით წამოგიყვანე ჩემთან, ვალო თავისებმა წაიყვანეს.

— ვალო... — თვალები დავხუჭე და გამახსენდა მუშტი-კრივის დაწყების წამები. ტკივილები ხელახლა ვიგრძენი, ამოვიკვნესე.

— ვალო უფრო მაგრაა, — თქვა პეტომ, — შენ რა გიშავს. სულელს არა სცემენ, ხო იცი, — გაიკრიჭა, ერთი-ორი კი მითაქეს, მაგრამ გადავრჩი. რაც შენ ჩემთვის საჭმელი და ტანისამოსი მოგიცია, რახან სულელი ვარ, დაუნახავი და უმადურიც კი არა ვარ, — ისევ ჩაიცინა, — ეგ ყველაფერი იმის ბრალია, — თქვა და უცნაურად შემომაცქერდა, მერე ისევ

თვითონ თქვა, – მახსოვს ჩემი სიტყვა, არ შერჩება ეგ ამბავი, მე წინასწარ ვიცი, – ტუჩები ააცმაცუნა და გაეცინა, – მაგის მეტი რა ვიცი. ნახე, როგორ დასჯის. ბიჭიც ეგეთი ჰყამ. ხაზბის ბიჭმა ორჯერ მცემა, – მხრები აიჩეჩა ჸეტომ, – ბევრნაირი ადამიანი ჰყავს ღმერთს, – თავისთვის ჩაილაპარაკა.

●  
ჩემი მეზობელი ვალო იმ ცემამ იმ-სხვერპლა. არ ვიცი, ოთხი თუ ხუთი თვე იყო გასული. მე მომიშუშდა ნატკენი ადგილები. უკბილოდ კი დავრჩი, მაგრამ მაგას აღარ ვჩიოდი. რა ძალა გადგაო, მეუბნებოდნენ თანასოფლელები, ან ვალოს რა ძალა ედგაო. სადაც სხვები, იქაც ჩვენო.

გული მიკვნესოდა, მოსიარულე მკვდრად ვიქეცი. ვისთვის რა უნდა მეთქვა, ვისთვის რა უნდა შემეჩივლა. ეგრე და-მუნჯებული ვეგდე. ერთი-ორჯერ მომ-ნერეს დეიდაშვილებმა, მერე დარეკეს კიდეც, მაგრამ არ ვპასუხობდი. ან რა მქონდა სათქმელი?! აღარ არსებობდა იმათი სახლი, ბულდოზერით იყო გასწორებული იმათი არემარე, მინა მიეყარათ ჩვენი ბავშვობისთვის, ჩვენი ტიტლიკანა წლებისთვის. ეგრე უპატრონო, სახლი-დან გაგდებული ძალივით ვყმულდი. ვინ იცის როგორი იმედი ჰქონდათ ჩემი, ვინ იცის, როგორ სჯეროდათ, ვინ იცის, როგორ კაცად მთვლიდნენ. აღარც მე ვარსებობდი და აღარც იმათი სახლ-კარი. თითქოს ერთად დავმთავრდით. ნამდვილი სიკვდილი მაშინ არი, როცა საკუთარი მოგონებების სკივრს სინდი-სი დიდ ბოქლომს დაადებს. მოგონებე-ბით ტკბობასაც სინდისი უნდა, არადა, როგორი შეგრძნებაა, შენს მეხსიერებას ვერ ეხები, რაღაცა ტკბილი წუთების გახსენება გინდა და გესირცხვილება. აი, ეს არის სიკვდილი.

ხო ვთქვი, ნაცემი ვალო ოთხი თუ ხუთი თვის მერე მოკვდა. სიტყვა უთხრა და წიხლი მიიღო. ვლადიკავკაზ-ში წაიყვანეს ბიძაშვილებმა და იქიდან

მკვდარი ჩამოიტანეს ეს უბედური. სულ მარტო დავრჩი.



თანდათან შევეჩვიე ყველაფერს. სი-მარტოვეს შევეჩვიე, მიწასთან გასწო-რებული სახლების ცქერას შევეჩვიე, კიდევ... მავთულხლართს შევეჩვიე... „საზღვარზე“ გაავლეს მავთულხლართი, იმის იქით ცხვირს ვერ გავყოფდი. ეგრე დავრჩი და, წარმოიდგინე ჩემი მდგომა-რეობა. როგორ შევაფასო, როგორ გა-მოვხატო, შეიძლება რამდენიმე სიტყვით გადმოვცე ჩემი ამბავი. როცა არავის და არაფერს ელოდები, ევეთ ცხოვრებას და ეგეთ სიცოცხლეს გავკარი. ლოდინია ცხოვრება, ლოდინი თუ არ არი, არაფე-რიც არ არი. ულონოდ ვიყა, დაცარიე-ლებული, ამობერტყილი სულით. ფქვი-ლის ტომარას რო დაცლი და მერე და-იქნევ, გამობერტყავ, აი, ზუსტად ეგრე. ჩემს გამობერტყილ სულს ვგრძნობდი, ამ გამობერტყილი, გამოცარიელებული სულით სიკვდილიც არ შეიძლება. რა-ღაც ხომ უნდა გქონდეს წასაღები, უფ-რო სწორად, იმ ცხოვრებაში მხოლოდ სული ხარ და, რასაც წაიღებ მიწიერი ცხოვრებიდან, ის გემახსოვრება. სუ-ლებს დედამიწასთან მოგონებები აბრუ-ნებენ. რაღაც ხომ გახსენდება და დაბ-რუნდები შორეულ წარსულში. ბავშვო-ბის წუთებს მისხალ-მისხალ გაიხსენებ, სუნი, სუნიც კი მოგივა, რაღაც ნივთის, ბავშვობისდროინდელის. ღმერთო, რა საოცარია ცხოვრება, რა იდუმალებით სავსე. ყველაფერი ჩვენში ინახება, სუ-ნებიც კი. ერთი ზანდუკი ვართ, იქ არი ძველი ტანსაცმელივით ჩაკეცილი ჩვენი ცხოვრების წლები, ტკბილ-მწარე მოგო-ნებები. სულსაც ახსენდება დედამიწაზე ყოფნის წლები და ბრუნდება, ოლონდ დროებით. როგორც ჩვენ ვეღარ ვეხე-ბით იმ ჩვენს მოგონებებში ბავშვობას, განვლილ წლებს, დავბორიალობთ მო-გონებებში, სულიც ასეა – ისიც დადის, დახერხეტებს, მაგრამ რა?

სიზმარი ვნახე საოცარი, თუმცა სუ-

ლაც საოცარ სიზმრებს ვხედავ და ერთ რამეს დავუკირდი, ხორციელი ცხოვრებიდან იქ გადავინაცვლე. ჩემი ღამე-ული ხილვები, თუ რა დავარქვა, უფრო ცხადი გახდა, ჩვეულებრივ ცხოვრებაზე უფრო ცხადი. აბა, როგორ აგიხსნათ.

სადღაც ვარსებობ, ვცხოვრობ, დამდგარ, გაჩერებულ დროში და დილით ვბრუნდები, პირგალებულ, ხერინვით ყელამოხახულ სხეულს ვუბრუნდები. ისინიც თავის სხეულებს უბრუნდებიან, ვისთან ერთადაც მთელი ღამე გავატარე. ცოცხლები, უფრო სწორად, ხორციელები, სხეულებში ჩაძვრებიან, უსხეულონი ცას მიაშურებენ.

სიზმარი დიდი სოფელია, დაუსრულებელი სოფელი, საიქიო, და სულაც არ არი უცხო ცოცხლებისთვის. ცოცხალი კაცი ნახევრად სააქაოშია და ნახევრად – საიქიოში. გვაჩვევს უფალი, ფრენას გვასწავლის, სულად ყოფნას გვასწავლის. ჩემი სიზმარი უნდა მომეყოლა ორიოდე სიტყვით და მივედ-მოვედე. რომელი მკითხავი მე ვარ, სიზმრების ახსნა დავიწყო, მაგრამ ვიცოდი, რო რაღაც მენიშნა ამ სიზმრით. ვითომ წყაროსთან, პირუჟაზე ვიყავი, ჩემს თანასოფლელებთან. ყველა თავისითვის რაღაცას ლაპარაკობდა. აღმართზე ხაზბის „ნივა“ გამოჩენდა. სიზმარშიც ჩაყოლილი მქონდა ამ კაცზე უსიამოვნო შეგრძნება, ქვა გადავაბრუნე ხაზბის მანქანის დანახვაზე და წასვლა დავაპირე, მაგრამ გულმა რაღაც მიკარნახა. გული ცხადშიც გკარნახობს და სიზმარშიც. ხაზბის შიგოკ-მომძვრალი ნაცრისფერი „ნივა“ გაჩერდა ბირუჟაზე, კარი გაიღო და გადმოიზლაქნა ამოდენა ბეჭერნი. მაინცდამაინც მე შემომხედა ღრეჭვით, გული ამიჩქარდა, თვალი ავარიდე, სიზმარშიც მახსოვდა, როგორ უმოწყალოდ გვცემა მე და ვალო. ერთიანად ამტკიცდა ყველაფერი, უხორცო ვიყა, მაგრამ მაინც მტკიცდა, ერთიანად მტკიცდა, რაც მქონდა. ჩემი მეზობლები „ნივას“ შემოეხვივნენ, ხაზბიმ საბარგული ახადა.

– მოდი, რა გაჩვენო, მოდი! – ხელი

დამიქნია.

უფრო უარესად გავხდი, ძალით გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი, თითქოს მინა ტორტმანობდა ფეხევეშ.

– მოდი, ვინ უნდა გაჩვენო, მოდი!

საბარგულახდილ „ნივაში“ იჭყიტებოდნენ ჩვენი მეზობლები. ხაზბი ისე მეჯავრებოდა, გულს მაზიდებდა იმის დანახვაზე, მაგრამ სიზმარში ზიზლიც გიქრება, თუ რა ვიცი, იქნებ ცნობის-მოყვარეობამ მძლია, ახლოს მივედი, ჩავიხედე და გეგონება ეკლიან ბალახს წავატაკე თითები, გავშეშდი.

– რა არის ესა? – ამოვიზმუკუნე და სასონარკვეთილმა შევხედე ჩემს მეზობლებს.

– ბიძაშენია ეგა, ბიძაშენი, – გადაიხარხარა ხაზბიმ და სხვებიც აჰყვნენ.

საფლავის ქვა იდო საბარგულში და ვიღაც უცხო კაცი შემომლიმოდა.

– იცანი? თუ ვერა?! – მხარზე წამკრა ხელი ბეჭერნმა და საბარგულახდილ მანქანაში ლამის ზედ წავემხე საფლავის ქვას.

იმ მოლიმარი კაცის სახე ისე ჩამებეჭედა, სასაფლაოზე რო გამევლო და სადმე წავნედომოდი საფლავის ქვას, უმალ ვიცნობდი.

– წავა ეხლა, წაშლის ამ სურათს, მამამისს დაახატვინებს და... ჰო, ჰო, მამამისს საფლავს უნდა დაადგას, ვიღაც ქართველის საფლავს ააცალა, – პეტო ჩამჩურჩულებდა თითქოს.

მივიხედ-მოვიხედე, პეტო არსად ჩანდა.

– მკვდარს არავინ არ ეხება, – ძლივს ამოვიხავლე.

იარაღი რო მქონოდა, იქვე ჩავაძალებდი ამ სახადს. ენით უთქმელი ზიზლი მომანვა და დუჟი წამომივიდა პირიდან.

– მკვდარს რომელი კაცი ჩაგრავს? – თითქოს არაადამიანის ხმა ამომდიოდა.

– მაგათი მკვდარიცა და ცოცხალიც!

– თქვა, ქეჩოში ჩამავლო ხელი და მანქანას მომაცილა, თუმცა იმ საცოდავი კაცის ღიმილი თან გამომყვა.

გამომელვიძა და, სიმართლე გითხრათ, ასე კარგა ხანი იყო არაფერი გამხარებოდა. სიზმარს ვიხსენებდი და ბედნიერი ვიყავი, რო ცხადში არ ვნახე ეს ყველაფერი.

დროის შეგრძნება თითქოს დავუარგე, ვერაფერს გეტყვით, სწრაფად გადიოდა თუ ნელა. დედამინა ყველასთვის თავისებურად ტრიალებს. მე ვერაფერს ვიგებდი. ამ გადაბუგულ და დანგრეული სოფლების ყოველდღიურმა ცქერამ თითქოს ქვად გადამაქცია, თუმცა ხანდახან რაღაც უცნაური მოლოდინი წამომიქროლებდა ხოლმე. როგორც ნაზამთრალი გაყინული მინა ლლვება და იღვიძებს, ეგრე შემახსენა თავი მოლოდინძა. აი, როგორი განცდა მქონდა, იცით? ვიღაც შეგხვდება და რაღაც ისეთი უნდა გითხრას, რაც შენს ყოველდღიურ, უფერულ დღეებს ღრუბლებივით მიურ-მოურევს და, თურმე, პეტო უნდა ყოფილიყო ასეთი, პეტოს უნდა ეთქვა ჩემს უცოლშვილო, სულელ მეზობელს, რომელსაც სხვებზე გაცილებით მეტი ჭკუა ჰქონდა. მოვიდა, ჩამოჯდა, ხაზბის დანაბარები გადმომცა, არეულ-დარეული ლაპარაკობდა, თავიდან კარგად ვერც გავიგე რა უნდოდა.

— მიდი და პირი უკითხეო. ვიცი, როგორი ნაწყენიც არის ჩემზეო, — მალ-მალე თვალებში მომაჩერდებოდა პეტო, — მეც არ მეხატება გულზე, მაგრამ... — ხელი ჩაიქნია, — ხო გახსოვს, მეც რა დღეში მაგდებდა, ცემა-ტყეპაში ვყავდი, გამოლაყებული მქონდა თავი. არც მინდა, რო ვთქვა, მაგრამ აი, ღმერთმა რა უყო, ჩემი თავიც დასჭირდა, შენთან რო მოსასვლელი პირი არ აქვს. მეღა მთხოვა, — თქვა და უადგილოდ გაელიმა, — სადამდე მიიყვანა ღმერთმა. მაგნაირებისთვის სხვანაირი აღმართი არსებობს... რას იფიქრებდა, ეგ... — ხაზბის გადაუკურთხა პეტომ, — მამალ ბუზს თავზე არ ისვამდა, რაც მაგან უბედურები ჩაიდინა, რაც მაგან ხალხი გაამნარა. ცოდფიანი ძალებივით მიესივნენ ცოდვები. შვილმა რა დააშავა, მამის

ცოდვებზე შვილმა არ უნდა აგოს პასუხი, მაგრამ ღმერთი ჩვენ შეგვეკითხება? თავზაქინდრული ვუსმენდი.

— ომი მაგნაირი ადამიანების გამოგონილია. ომი და სისხლი ეგეთებს ანუყბთ, — ისევ გააგრძელა პეტომ, — ბიჭი თვალსა და ხელს შუა ეცლება, მაგ სულძალლს, — თქვა და ისევ შეიგინა, — მე მთხოვა... — ენა დაება, — რა ვიცი, მოვედი და გითხარი... — ადგა და ეზოში გაიარ-გამოიარა.

— რა გთხოვა? — ვეითხე პეტოს.

— ბიჭი უკვდება, — ახლოს მოვიდა და ისეთი ხმით მითხრა, მდუღარება ამოაყოლა, — მაინც შემეცოდა, ეგ...

— მერე, მე რა ვქნა?

— ვლადიკავკაზში ჰყავდა, რუსეთშიც ჰყავდა, ვერაფერი უშველეს. უკვდება, რაღაც მოურჩენელი სატკივარი აქვს. თბილისში ვიღაც ექიმი ყოფილა, — მხრები აიჩეჩა, — რა ვიცი... დალაპარაკება უნდა შენთან.

ფეხზე წამოვდექი, პეტოს თვალებში შევხედე.

— ვიცი, რასაც ფიქრობ, მაგრამ... — თვალები აუწყლიანდა, — შვილია, რას იზამ, — თქვა და დიდი ხნის უნახავივით ჩამეხუტა ჩემი სულელი თანასოფლელი, თუმცა, რატო იყო სულელი, რატო მიაჩნდათ ასე, არ ვიცი...

●

ბინდი იყო და ვერ ვიცანი, თუმცა ბინდს ვერ დავაბრალებდი, ალბათ, ღრმა სიბერეშიც არ გაილევა კაცი ასე... გამხდარი, დაჩიავებული, წელში მოტეხილი, სახლიდან გამოგდებულივით იყო. პეტოც თან მოჰყვა. ვიდექით და ხმას ვერც ერთი ვერ ვიღებდით. ვატყობდი, როგორ უცახცახებდა სხეული. როდის როდის ამოილო ხმა, მაგრამ ვაი ამ დალაპარაკებას, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა, იტყვოდი საცაა დაეცემა და სული ამოუგაო. ცოტადა უკლდა და ჩემ წინ ჩაიკეცებოდა, ფეხებს დამიკოცნიდა და პატიებას მთხოვდა.

— თბილისელ ექიმს შეუძლია ბიჭი

გადამირჩინოს. აქედან გაპყავთ თურმე მძიმე ავადმყოფები. რამე უნდა მიშველო. ვიცი, რო შენი ნათესავები, ქართველები... – თითქოს ყელში ვიღაცამ წაუჭირა, თითქოს იხრჩობოდა, – გემუდარები... – აცახცახებული ხელები შემახო, დამდნარი ხელები. ამ ხელებს, ამ ველურ ხელებს ბევრი ადამიანი ჰყავდა ნაცემი, ნათრევი და, რა ვიცი, კიდევ... ეს ხელები ცახცახით მეხებოდა და კი არ მიხაროდა, რო ასეთი დაპატარავებული, ასეთი დაჩივებული მოვიდა ჩემთან, წაქცეული და გაუბედურებული. არადა, ყველა ინატრებს საკუთარი მტრის, საკუთარი მოსისხლის ასეთ მდგომარეობაში ნახვას. მე ეს განცდა არა მქონდა. სიმართლეს ვამბობ. მე შემეშინდა, არ ვიცი, როგორ ავხსნა, სადღაც, იქვე იყო ღმერთი და მაკვირდებოდა, რას ვიზამდი, რას მოვიმოქმედებდი, ხელს ვკრავდი და გავაგდებდი ჩემი ეზოდან, ეგრე მიწასთან გასწორებულს, თუ გული ამიჩუყდებოდა. ვიგრძენი, რო უფალი მცდიდა, მეც ცახცახი დავინყე, სახეზე ცივმა ოფლმა დამასხა. ერთი სული ჰქონდათ ხაზბის და იმის მოციქულ პეტოს, რას ვიტყოდი. უფალიც გარინდებული მომჩერებოდა, სხვა ვინ მოიყვანდა ასეთ დღეში ჩავარდნილ კაცს ჩემთან, თუ არა ის, ის დალოცვილი.

– „სხვისი ხელით დამარცხებულ მტერს გამარჯვების ყიშინა არ დასცე!“  
– ჩემივე ხმა მეჩურჩულებოდა.

დუმილი იმაზე მეტ ხანს გაგრძელდა, ვიდრე ისინი მოელოდნენ და უარესად აცახცახდა ხაზბი.

– მირჩევნია მესროლო და აქვე მომკლა, ვიდრე უარით... – ხმა აუთრთოლდა, ღმუილის ბგერები გამოსცა, ნაგანი ამოილო და გამომიწოდა.

ხელზე ყინულივით ცივი იარალის შეხება ვიგრძენი.

– მიდი, მესროლე, თავს მაინც არ ვიცოცხლებ და მირჩევნია, აქვე მომკლა... შენი ცოდვების გამოსყიდვაც გამომივა. მიდი, – რამდენჯერმე მომაჩეჩა იარალი.

ვიღაცის დაუინებულ მზერას

ვგრძნობდი, ჩემს ეზოში, სახეს მიცხელებდა უჩინარი მჭრელი თვალები.

ბოლოს პეტო მოვიდა, იფიქრებდი, იმ უჩინარმა რაღაც წასჩურჩულა, ხელი შემახო და უცაურად დაბოხებული, იმ იარალივით ცივი ხმით მითხრა:

– უნდა დაეხმარო, გამჩენს ეგრე უნდა.



ჩემს დეიდაშვილებს დავურეკე. ვაი, ამ დარეკას, მიწა ფეხქვეშ მენგრეოდა. ყველას ცხოვრებაში დგება წუთები, როცა რაღაც ნაბიჯის გადადგმას სიკვდილი გირჩევნია. ჩემთვის მაშინ იდგა ეს წუთები, ომის მერე არ შევხმიანებივარ. სამი წელი გავიდა, რამდენჯერ დამირეკეს, რამდენჯერ მომწერეს. დეიდაჩემის ბოლო სმს დალივით მეწვოდა სულზე.

– შვილო, ალარა ვარ დარდით. ვეღარ ვიგებთ, მკვდარი ხარ თუ ცოცხალი.

არც მკვდარი ვიყავი და არც ცოცხალი. ეგრე დაცარიელებული ვეგდე და ვეღარ ვიგებდი ვისთვის ან რისთვის ვარსებობდი. იქ, სადაც მათი სახლი იდგა, ჩემი დეიდაშვილების სახლი, ტრიალი მინდორი იყო, გრეიდერებს ჩაემარხა ქვიან მიწაში ჩვენი ბავშვობა, ჩვენი სიყმანვილე. რამდენჯერმე ჩავედი, ცრემლებამშრალი გაგურებდი, ნასახლარის კვალიც ალარა ჩანდა, მიწიდან უცნაური ხმები ამოდიოდა, თითქოს ცოცხლად ჩამარხული ადამიანები შველას მთხოვდნენ. იმ ხმებში ჩემი ხმაც ერია, ჩემი ბავშვობისდროინდელი ხმა. ხმა სევდისა და ტკივილების გარეშე.

ვანგალებდი ტელეფონს და გული ცემას ვეღარ ასწრებდა. ბოლოს მაინც იმ გაუბედურებული კაცის და მისი შვილის სიბრალულმა გადამწონა.



ხელის ცახცახით დავრეკე, გულმა ისე მოუხშირა ხტუნვას, მეგონა, საგულედან გადმოხტებოდა, მაგრამ არის წუთები, როცა გულს საერთოდ ვეღარ გრძნობ, ეგრე ვიყა. პირი შაქრიანივით

მიშრებოდა. აჩის ხმა რო გავიგე, სუნ-თქვა უარესად შემეკრა, ორი სიტყვის თქმა მოვასწარი.

— მე ვარ, გიზო ვარ!.. — და მომაწვა... შენც არ იცი, ზოგჯერ ცრემლი კაშხა-ლივით რო გაქვს დაგუბებული და ერთ სიტყვას ან, უფრო სწორად, მონატრე-ბული ადამიანის ერთ ბგერას შეუძლია სულის ჯებირები დალენოს, გაარღვიოს და შენივე ცრემლის მდინარემ წაგლე-კოს.

— გიზო, გიზო, როგორ ხარ, ბი-ჯოო. უხ, შენი, შე... — ენა ებმოდა და ჩემი ხმის გაგონებაზე ყვიროდა ჩემი გადარეული დეიდაშვილი, — ვახ, ცოც-ხალი ხარ ესე იგი, — მერე ვიღაცას ახა-რა, არ ვიცი, ის ვიღაცა ვინ იყო, — გი-ზო არი, ჩვენი გიზო, ჩემი დეიდაშვილი. ჰოო, გიზო არი!

იმასაც გადმოუდულდა ყველაფერი, ისე ტიროდა. იქითაც ბევრი ცრემლი იყო დაგროვილი. მერე მოვუყე ყველა-ფერი, ხაზბის ბიჭზე ვუთხარი, როგორ დაითხოვეს საავადმყოფოდან და გა-დარჩენის ერთადერთი შანსი თბილის-შიღა იყო. ვიღაც ლაში იყო ექიმი, მო-კლედ წითელი ჯვრით რო უნდა გაგვეყ-ვანა ხაზბის ბიჭი, ის ავუხსენი.

აჩი ბავშვობიდანვე გაქექილი იყო, მარიფათიანი. ცარიელ ქვაზე რო და-გესვა, მაინც ცხოვრებას მოეწეოდა და იმედი მქონდა, რო დატრიალდებოდა და ყველაფერს გააკეთებდა, არადა...

ენას ვლეჭავდი სიმწრით, სახლ-კარი ვისი ბრძანებითაც გადაუწვეს და დაუნ-გრიეს, ბუდე ვისი უშუალო მითითები-თაც მოუშალეს, აი, იმის ბიჭის გადარ-ჩენას ვევედრებოდი.

ყველაფერს გაჩვენებს ცხოვრება, ყველაფერს, ამაზე საინტერესო კინო არავის მოუგონია. საკუთარი მოსისხლე მტრის შვილის გადარჩენისთვის რო ბრძოლა მოგიწევს, როგორ წარმოგიდ-გენია.

ოთხი დღის მერე, წითელ ჯვართან ერთად, „საზღვარზე“ დაგვხვდა ჩემი დეიდაშვილი. ომს ორივე მხარეს დაეჩ-

ქარებინა სიბერე. თმები გასჭალავე-ბოდა და ნაადრევად მოტეხილი მეჩვენა. თვალებში შევხედე და უმალ ამოფრინ-დნენ ჩემი ბავშვობის მერცხალა წლები. ცრემლი ვეღარ შევიკავე, ჩავეხუტეთ და ვგრძნობდი, რო ერთნაირი სუნი გვქონდა, დების სუნი აგვდიოდა. იმა-საც თვალები ჰქონდა აცრემლებულია, სხეული უთროთოდა, მარტოები რო ვყო-ფილიყათ, ჩვენი ბლავილ-სლუკუნით ცა ჩამოიქცეოდა.

სამი წელი სამ საუკუნედ ქცეულიყო ჩვენთვის.

— როგორ გაუჩინარდი, შე კეთილ-ძალლო. მეგონა, რო... გაგიუდება დეი-დაშენი, დარდით აღარ არი, შენი დარდი კლამდა მარტო, ჯანზე ვერ იყო და მა-გიტო ვერ წამოვიყვანე. ამიკლო, კაცო, გინდა თუ არა იქ უნდა დავხვდეო.

ათიოდე წუთი არ იყო გასული და შორიახლო თეთრი „ოპელი“ გაჩერდა. თავიდან ყურადღება არ მიმიქცევია. ქვიშის ტომრებთან, სადაც ქართველი სამხედროები იდგნენ, სხვა მანქანებიც ეყენა, ორიოდე წუთში ენა ჩამიგარდა, თითქოს მიწა გამომეცალა ფეხქვეშ, ჯოხიანი ქალი მოაბიჯებდა ჩვენკენ და სისხლის ხმაურმა გონება ლამის დამი-ბინდა, დეიდაჩემი ვიცანი და აჩის სიტ-ყვებიც ჩამესმა.

— ეგრეც ვიცოდი, სახლში რა მოას-ვენებდა.

მინდოდა, გავქანებულიყა და ხელში ამეტაცა, მაგრამ სხეული ვერ დავიმორ-ჩილე, ეგრე დამნაშავესავით ვიდექი და ვსლუკუნებდი.



— იქნებ შემეძლო, იქნებ, უფრო მეტი ვაჟუაცობა უნდა გამომეჩინა, დეი, არ ვიცი, ვფიქრობ და ვერ მიპატიებია ჩე-მი თავისთვის. იქნებ თავი უნდა გამენი-რა, უფრო მეტი სიყვარული გექნებოდა ჩემდამი დეი, ლაჩარი გამოვდექი. თავის მართლებას რა უნდა, თავის დაძვრე-ნაზე ადვილი რა არის, მთელ ქვეყანას გაამტყუნებ და გადააბრალებ საკუთარ

ცოდვებს, სხვას მიუსევ შენს ცოფიან ძალლებს. მაპატიე, დეი, შენს თვალებში წყენა არ შემინიშნავს, უფრო ბედნიერების ცეცხლი დავინახე. გეგონა, რო ომმა შემინირა, ალბათ, გამომიგლოვე. ცოცხალი დამინახე და წლები მოგემატა, სიცოცხლე გაგიხანგრძლივდა. მე ვერ გიყურებ თვალებში, არავის წინაშე არაფერი დაგიშავებია და უსახლკაროდ დაგტოვეს, დევნილად გაქციეს, სიბერე ჩაგიმნარეს. როგორც არ უნდა გენთოს თვალები, მე ვგრძნობ შენი სულიდან გამოჟონილი ცრემლის სიმლაშეს.

ქალაქის გარეუბანში, ხუთსართული-ან კორპუსში შეესახლებინათ დევნილები, ჩემებიც იქ იყვნენ. ყველას ეძინა, შუალამე გადასული იყო. მეჩვენებოდა, რო ომმა, ჩვენს თავზე გადავლილმა საშინელებამ, ყველას ნაიარევი დაუტოვა. კორპუსის ფანჯრებთან გაყურსულ მთვარესაც ომის ნაკვალევი ეტყობოდა. ჩემი დეიდაშვილის სუნთქვა მესმოდა და ენით უთქმელ ნეტარებას ვგრძნობდი. რაც არ უნდა დაკარგო, როგორც არ უნდა გაუბედურდე, შენი სისხლიერის ერთი ამოსუნთქვა სიცოცხლის ბედნიერებას განიჭებს.

ჭერს მივშეტერებოდი. ვიღაც მოუახლოვდა ჩემს საწოლს, სმენად ვიქეცი. საბანი გამისწორა, ხმადაბლა ტიროდა, მისი თვალების სისველე ვიგრძენი. მცირე ხანი დამცქეროდა, მერე საწოლზე ჩამომიჯდა და სხეულის ყველა უჯრედი გამითბა. შუბლზე დეიდაჩემის ხელის შეხება ვიგრძენი, მერე კი ნაზად შემეხო მისი ბაგები და ჩურჩული გავიგე:

— ვიცი, რო გლვიძავს, ვიცი, რასაც გრძნობ, — დეიდაჩემის ცრემლი დამეცა, — შენ რა შეგეძლო, თავს ტყუილა იდანამაულებ. მაგაზე ბევრი ვიფიქრეთ, ბიჭებმაც იციან, რა უბედურებამაც გადაიარა შენს თავზე. დამწვარი სახლი რა სადარდებელია, მთავარია, თქვენ მყავდეთ კარგად.

საწოლზე წამოვჯექი, აღარ მეგონა, თუ ასეთ ბედნიერ წამებს კიდევ ინახავდა ჩემთვის ცხოვრება.

— დეი... — მხოლოდ ეს მოვახერხე. თმებზე ვყნოსავდი, მისი თმების სუნით ვტკბებოდი და ცრემლი ღაპალუპით ჩამომდიოდა.



საავადმყოფოს კედელზე მიყუდებულს წამთვლიმა და ძილ-ბურანში ახალგაზრდა ექინის ხმა ჩამესმა.

— ხუბავი!

თვალები გამოვახილე, უცბათ გამოვტხილდი, დერეფნის სკამზე მოკუნტული ხაზბი, რომელიც უარესად გალეულიყო, შემკრთალი წამოხტა.

— ხუბავის პატრონები... — ძილგამფრთხალ თვალებს აფახულებდა ასე, ოცდაათიოდე წლის წაბლისფერთმიანი ექთანი.

— ჩვენ ვართ, — ვთქვი და გული გადამიქანდა.

ხაზბის ფერი არ ედო სახეზე, ჩემი დეიდაშვილები დერეფანში დაბორიალობდნენ და წამში იქ გაჩნდნენ. სანამ ექთანი რამეს გვეტყოდა, თვალნათლივ ვხედავდი, ისედაც გასაცოდავებული ხაზბი კიდევ უფრო დაჩიავდა. გული დაგეწვებოდა, ერთადერთი შვილი ეცლებოდა ხელიდან და თან იმათ ხელში იყო მისი გადარჩენა, მისი სიცოცხლის შენარჩუნება, ვისაც სულ სამიოდე წლის წინ ტყვიას ესროდა.

— ოპერაციამ კარგად ჩაიარა და შეგიძლიათ ექიმს გაესაუბროთ.

ხაზბიმ თავი ვეღარ შეიკავა და ქალივით ასლუკუნდა.

ცოტა ამოვისუნთქე, აქეთ მე ვამშვიდებდი ხაზბის, იქით — ჩემი დეიდაშვილები.



კარგა ხანს ვაკვირდებოდი ახალგაზრდა ექიმს. ჩემზე უფროსი იქნებოდა ასაკით, ეგრე ოცდაცამეტი-ოცდათხუთმეტი წლისა, რაღაცნაირი კეთილი და მკვირცხლი თვალები ჰქონდა. მეცნობოდა, მაგრამ ვერაფრით ვერ გავიხსენე, სად მყავდა ნანახი. უცხო ადამი-

ანთანაც ხო დაგმართნიათ ეგეთი რამე, ტვინის ხეულებში დაბორიალობ, სადღაც შეგხვედრია, სადღაც გინახავს, მაგრამ ვერაფრით იხსენებ. ასე იყო, არადა, ძალიან ნაცნობი სახე, თვალები, ლიმილი, ბოლოს შემრცხვა კიდეც, ეგრე გიუივით რო ვაშტერდებოდი.

სანამ რამეს იტყოდა, ხაზბის ოფლით დაეცვარა სახე.

— ორი დღე, — თქვა და სახე დაუსერიოზულდა, — ორი დღე რო დაგეგვიანათ, მძიმე შედეგი დადგებოდა. ოპერაციამ კარგად ჩაიარა, პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია.

უყურებდა ხაზბი და მაინც ვერ იჯერებდა. რამდენჯერმე ჩემკენ გამოაპარა მზერა — „ხო არაფერს მიმალავენ, ჰა, მიდი, იქნებ შენ ჰკითხო, მიდი, გემუდარები“.

ახალგაზრდა ექიმმა გრძნეულივით ამოიკითხა სასოწარკვეთილი მამის თვალებში და ფეხზე ნამოდგა.

— არაფერს გიმალავთ, დამალვები და ეგეთი რაღაცები ადრე იყო ხოლმე. ეხლა არავინ არაფერს დაგიმალავს. პირიქით, უფრო ამძიმებენ ხოლმე. მაგალითად, თუ სტაბილურია სიტუაცია, ამბობენ: „სტაბილურად მძიმე“, — თან ფანჯარა გამოაღო და დილის ნიავმა გაოფლილ შუბლზე გაინავარდა, — თუ კრიტიკულია — „კრიტიკულად მძიმე“. შემიძლია გითხრათ, რო თქვენი შვილი გადარჩა, — ხაზბის მხარზე ხელი დაადო. მერე ისევ თავის ადგილს მიუბრუნდა, — გადარჩენილი პაციენტის პატრონებთან შეხვედრა ხომ მეჩქარებოდა, მაგრამ აი... — თითქოს ენა დაება, სათითაოდ დაგვაკვირდა მე, ხაზბის, აჩის და გიოს, ჩემს დეიდაშვილებს, — როგორ ვთქვა, ჩემი მხრის ხალხი ყოფილხართ და ერთი სული მქონდა, როდის გნახავდით. მე ძარნემიდან ვარ, დიდი ლიახვის ხეობიდან, — თქვა და უცბათ ნამოელრუბლა თვალები, — ჩვენი გვარი რაჭიდან არის გადმოსული, მე ძველი საბუთები მომიძია ჩემმა ისტორიკოსმა მეგობარმა და ჭრველიძეები იქიდან ვართ. პაპაჩე-

მის მამა გადმოსულა ონიდან, როგორც გამოვიკვლიე, ომის დროს... — თითქოს ყელში რაღაც მოეცო და თვალები წამოეგუდა, წყალი მოსვა, ფეხზე წამოდგა და სულ რამდენიმე წამი ღია ფანაჯარასთან დადგა, — ყველაფერი მივატოვეთ...

ყოველ სიზმარში იქ ვარ, თან ისევ პატარა ვარ, — ჩაელიმა, — დავრბივარ აღმა-დაღმა. სიზმარში ისევ ხელუხლებელია ჩვენი ცხოვრება, კიდევ კარგი, სიზმრებსაც არ გვინგრევენ და ამით მაინც ვსუნთქავთ. ოსი მეგობრებიც ბევრი მყავდა... — ჩაფიქრდა და ღიმილი შერჩა სახეზე, თითქოს თავის მეგობრებს გაუღიმა, — ეს რა უბედურებაა... არ ვიცი, — თქვა და მე მომაჩერდა, — მამაჩემის საფლავზე მისვლა მენატრება ყველაზე მეტად. იქ, სადაც მშობლის ძვლები გეგულება, წმინდა ადგილია. ერთი სანთელი რო დავუნთო, ის მენატრება. ჩვენ ძალით ვცხოვრობთ, თავს რაღაცებით ვიტყუებთ. არადა, ყოველ წამს შეგვიძლია ამ ყველაფერს წერტილი დავუსვათ, თუმცა... არ გვინდა! — მაგიდის უჯრა გამოსწია, სურათები ამოალაგა, ალბათ, ათასჯერ ნანახი ფოტოები კიდევ ერთხელ გადაათვალიერა და ერთი სურათი გამომიწოდა.

— აი, მამაჩემი, — თქვა და უმალვიგრძენი, როგორი მდუღარე იყო მისი სიტყვები, — მშობელს რო ვერ დაიტირებ წესიერად. საფლავი, საფლავი რო მოგენატრება, — ცრემლი წამოადგა თვალებზე — კაპიკს კაპიკზე ადებდა, ცხონებული... წვალებით შექმნა ყველაფერი, თუმცა... კიდევ კარგი, რომ ომს არ მოესწრო.

ხაზბის ღაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ამ მგლისასახიან და დაუნდობელ კაცს ატირებულს, თუმცა, ეს ხაზბი აღარც იყო, სხვა ადამიანი იჯდა მის ნაცვლად, რაღაცნაირად მოტეხილი, რაღაცნაირად კი არა, კარგა გვარიანად მოტეხილი და დაბერებული.

ექიმი წამოდგა, კარი გააღო, მეორე

ოთახში გავიდა და მცირე ხანში ისევ გამოჩნდა. მაგიდაზე ვისკი დადგა, ჭი-ქები დაალაგა, თვითონვე შეავსო.

წელან რო ვთქვი, ერთი სურათი გა- მოარჩია და გამომიწოდა-მეთქი, მამამი- სის სურათი. კი დავხედე, მაგრამ ჩემს ცოდვას ვიტყვი, კარგად არ დავკვირ- ვებულვარ, სანამ ექიმი ჭიქებს შეავსებ- და, სურათი ავიღე, დავხედე და, ღმერ- თო!.. ხელები ამიცახცახდა, ცივი ოფლი წამომადგა შუბლზე. დამნაშავესავით, ჯერ ექიმისკენ გავაპარე ჩემი დაბნეუ- ლი მზერა, მერე ხაზბის შევხედე. სიზმა- რი გამიცოცხლდა, ის სიზმარი, „ნივის“ საბარგულში რო საფლავის ქვა ედო ხაზბის, ქართველების სასაფლაოდან წამოღებული ქვა. პეტოს ნათქვამი გა- მახსენდა სიზმარში, მამამისი უნდა დაა- ხატვინოს ამ საცოდავის ნაცვლადო. გა- გიკვირდებათ, მაგრამ სიზმარში ნანახი, საფლავის ქვაზე გამოსახული ახალგაზ- რდა კაცი შემომლიმოდა სურათიდან.

— წყალს დავლევ-მეთქი, — ექიმს ხმის კანკალით ვუთხარი.

გამილიმა და წყლის ბოთლი ჩემკენ გამოსწია. წყალმა ცოტა გული მომიბ- რუნა. სახეზე მაკვირდებოდა ექიმი და მილიმოდა, ეტყობა, ფერი არ მედო, თუმცა არაფერი უთქვამს. ვისკიანი ჭი- ქა ასწია.

— შენი ბიჭის გადარჩენისა იყოს, — თქვა და ჯერ ხაზბის მიუჭახუნა, მერე — მე.

მე ისევ სურათს დავცეკეროდი.

„რანაირად დამესიზმრა ეს კაცი და მერე სიზმრიდან როგორ დამამახსოვ- რდა მისი სახე. რაღაც მინიშნება მომცა

უფალმა და აი...“

— ერთი თხოვნა მაქვს, — დამშვიდო- ბებისას მითხრა ექიმმა, — დღე და ღა- მე სულ იმაზე ვფიქრობ, რომ მამაჩემის საფლავი უპატრონოდ არი ძარწემის სა- საფლაოზე. სახლსა და ქონებას ისე არა ვჩივი.... ამ სურათს გაგატანთ, იქნებ საფლავი მონახოთ, შენდობის ჭიქა წა- უქციოთ და სანთელი აუნთოთ ჩემს სა- ხელზე.



ვალო რომ გაცოცხლებულიყო და მე და ხაზბი ძარწემის სასაფლაოს გზა- ზე ერთად დავენახეთ, თვალებს არ დაუჯერებდა. მინასთან გასწორებუ- ლი სოფლები გამოვიარეთ, სადღა იყო ქართველების სახლები, დანგრეულ და ბულდოზერებით ახვეტილ ნასახლარებ- ზე ჯაგებს გადაევლო, აქა-იქ ამოეყოთ ეკალ-ბარდებიდან თავი კედლების ნარ- ჩენებს. რა საშინელი სიტყვაა „ნასოფ- ლარი“, როგორ ხარხარებს ამ სიტყვა- ში, ამ რამდენიმე ასო-ბერები სიკვდი- ლი. სოფლები ნასოფლარებად ვაქციეთ, სახლები — ნასახლარებად.

ორიოდე დღეში აღდგომა დადგებო- და, სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვე- ბის დღე, თუმცა, აქ სიკვდილი როკავ- და, მიქელ-გაბრიელი ნებივრობდა.

ხაზბი საჭეს უჯდა, ხრიოკ გზაზე ხტუნვა-ხტუნვით მიყავდა თავისი შვი- ლის ძველი „ნივა“, პაპიროსს პაპიროს- ზე ეწეოდა და ხანდახან ჩუმად გამოაპა- რებდა ჩემკენ მზერას, თითქოს უხმოდ მებოდიშებოდა.



## საბა ქვათაძე

### ჩიტისთვალი

- ეს რომელი ყვავილია?
- მთვარის ორქიდეაა.
- ოჟო!
- ეს რომელი ყვავილია?
- ასპერულაა, ქალბატონო.
- ოჟო!
- ეს რომელი ყვავილია?
- გლადიოლუსი, ქალბატონო.
- ოჟო!.. შეიძლება გყითხოთ, ახლა რომ სამივეს ხელები მოვხვიო და ჩემი შავი სახლის შავ საძინებელში შევიტანო, რითაც ბნელეთის მეუფის ინტერიერს გავაფერადებ, როგორი იქნებოდა თქვენი წმინდა გრძნობანი და შეხედულებანი ამ საკითხთან მიმართებით?
- შეიძლება გყითხოთ, რატომ გადაწყვიტეთ სახლის სულ შავ ფერებში მორთვა?
- შეიძლება გყითხოთ, რამდენი ხანია, რაც ყვავილებს ყიდით?
- არ მსურს, ჩემი ისტორია მოგიყვეთ. მე უბრალოდ ყვავილებს ვყიდი.
- სხვათაშორის, თქვენი ქმარი გლატობთ.
- ვისთან?
- ჩემთან.
- და, რატომ მითხარით?
- იმიტომ რომ ქმართან ერთად თქვენი ყვავილებიც არ ავწაპნო.
- დიდი ხანია?
- მას შემდეგ, რაც, ერთი შეხედვით, ლამაზი ყვავილების გასაყიდად, ჩემს ქუჩაზე გადმობრძანდით.
- გასაგებია, მაგრამ თქვენ ხომ ქალაქში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ოჯახის წარმომადგენელი ბრძანდებით, რატომ მაინცდამაინც ჩემი მეუღლე?
- ერთი-ერთი არა და, ყველაზე ძლიერი ოჯახის წარმომადგენელი კი ნამდვილად ვარ. წარმოდგენა არ მაქვს! ვერც იმას გეტყვით, რით მომხიბლა და ვერც იმას, თუ რატომ დამიბრუნდა ახალგაზრდული ვნებისა და სისხლის დუღილის ჰარმონიულობა.
- კი, მაგრამ, თქვენ ხომ ქმარი, სამი ვაჟი და ქალიშვილი გყავთ, თქვენი რეპუტაცია ხომ ფასდაუდებელი მონაპოვარია, რატომ არ უფრთხით მისთვის ჩრდილის მიყენებას. ნუთუ ეს ყოველივე არაფერს ნიშნავს თქვენთვის?
- რა უცნაური ხარ! შენი ქმარი სულით, გულითა და სხეულით მე მეკუთვნის, შენ კი ჩემს სტატუსზე ფიქრობ.
- არა, მე თქვენს ქმარზე ვფიქრობ.
- ნუ გამაცინე. თეოდორი ჩემგან ღალატს გადაიტანს. ისედაც წელიწადზე მეტია, ვიღაც კალიოპეს ბაირონისეულ პოეზიათა ტომეულებს უძღვნის. განვირული რომანტიკოსი გახდა. ახლა კი რომანზეც მუშაობს. პროლოგს

წამძლვარებული აქვს... ჰო... როგორ უდერდა? დაახლოებით ასე:

„გრძნობათა თარეშს, გული რომ  
აწიოკეს,  
ერთსა და ერთადერთს, ჩემს  
კალიოპეს.“

— როგორი პოეტურია, არა? ვინ წარმოიდგენდა, ფაქტობრივად, მთელი ქალაქის განმგებელი ბიზნეს-მაგნატი გამიჯურებული მელექსე თუ გახდებოდა. ოჯახიც ალარ აინტერესებს, მსგავს ქმედებებს შედეგიც მოჰყვება. ჩემთვის ღვარძლისა და ანჩხლობის მოსამორებლად, რომელთა გამოც სუნთქვაც კი აღარ შეეძლო, ყოველდღე, ყოველ წელ დღეს, თქვენი საზიზღარი, გულის გამანბილებელი ყვავილებიდან, კონკრეტულად კი ორქიდების, ასპერულებისა და გლადიოლუსებისგან, თითო ღერი მოჰქონდა.

ნარმოგიდგენიათ? ყოველდღე თითო ყვავილი. იმდენი დამიგროვდა, სახლში მკვდარი ყვავილების სასაფლაო მაქვს. არაფრის დიდებით არ მაყრევინებს, ეს მტკიცე ნიშანია ჩემი შენდამი სიყვარულის ჭეშმარიტებისათ.

— იქნებ ქვეცნობიერი გეთამაშებათ. ჩემი ქმარი არც დიდი ფიზიკურობით გამოირჩევა და არც დიდი ტალანტით. ყველამ იცის, რომ ერთი ალკოჰოლიკი, გზადაკარგული, ავყია მწერალია. იქნებ ყოველივე იმიტომ გააკეთეთ, რომ თქვენს მეუღლეს მისივე ნიჭის ჩალის ფასოვნობაზე მიუთითოთ, უთხრათ, რომ სწორედ იმ ქალის არარა ქმართან გლალატობ, ვისგანაც ყოველდღე ეს ავადსახსენებელი ყვავილები მოგქონდათ. იქნებ სწორედ მწერლობის გამო ამოირჩიეთ მსხვერპლი. ორი მწერალი: ერთი ქმარი, მეორე – საყვარელი. მე თუ მკითხავთ, ზედმეტად ერთფეროვანი ბრძანდებით, ქალბატონო!

— როგორ მიბედავ! არაფრის მაქნისო, უბადრუკო, არარაობავ! მთელი ცხოვრება ამ მომწვანო, გახუნებულ

ჩითის კაბაში, სალემის ალქაჯის მსგავს წითურ თმებში, ზღვის სანაპიროზე მზისგან დამწვარი დომინოს ქვებივით დაწყობილ ჭორფლებსა და შავთეთ კაზაჩოკებში ჩალპები, გადაჯვარედინებული სუსტი ფეხებით, ბოშების ცალთვალა, შავთვალა ნაშიერო!

— თეოდორისა არ იყოს, თქვენც გაქვთ მწერლობის ნიჭი, იდეალურად აღმწერეთ, ვგონებ, თქვენთვის შთაგონების წყაროდ ვიქეცი. გმადლობთ, ქალბატონო!

— ზუსტად სიმახინჯის გამო მიგაგდო შენმა ქმარმა. ტანსაცმელი მაინც გარეცხე ხოლმე. ამ ყვავილების ყოველდღე წყალში ჩახრჩობას მაინც აჯობებს!

დიალოგი ალარ გაგრძელებულა. თეოდორის მეუღლემ გამყიდველს ზურგი აქცია, ბოლმაც ანთხია და, კმაყოფილი, ახლა შინისკენ, შავ სახლსა და შავი ოთახისკენ მიაბოტებდა. მიუხედავად ცხოვრებისგან უამრავი მწარე სილისა და გაქილიკებისა, ქალი, რომელიც ყვავილებს ყიდდა და ქალი, რომელიც, წესით, დამცირებული უნდა ყოფილიყო, ტუჩის ცალი კუთხით აწეული, ღიმილითა და მადლიერებით გასცეკროდა გზებსა და ზეცას.

არც თეოდორის მეუღლისთვის გაუყოლებია თვალი და არც საკუთარი ქმრის ღალატზე დასწყდომია გული. თავი ოდნავ გადასწია, ღრმად ჩაისუნთქა, გაზაფხულის მონაბერი სიო „ალქაჯისებრ წითურ თმებს“ ურწევდა. ფეხზე წამოდგა და გვერდით დადებულ ფურცლების დასტას, რომელსაც სიმძიმის გამო ვერაფრის დიდებით ცალი ხელით ვერ აზიდავდა, ორთავე ხელით ჩაეჭიდა. ქალმა პირველსავე გვერდს გადაავლო თვალი.

„მართლაც, რომ პგავხარ მუზას ეპიკური პოეზიისა! მშვენიერ ხმოსანს, ზევსისა და მწერლისინეს უფროს ქალიშვილს, ძველბერძნული მითოლოგიის ქალღმერთს, კალიოპეს. შთამგონებე-

ლო ჩემივე ხმისა, სისადავემ რომ შეგ-  
ქმნა მწყაზართ-მწყაზარად!“

ქალს ჩაეღიმა. იგი ხომ მართალი  
იყო თავისი ავყია, ლოთი ქმრის წი-  
ნაშე, მართალი იყო უფლისა და მართა-  
ლი იყო თითოეული ყვავილის წინაშე.  
მას აროდეს პასუხიც კი არ ულირსებია  
სიმდიდრისთვის. შემდეგ ნელა გადა-

ფურცლა ობმოდებული ფურცელი და  
ნელადვე წაიკითხა მეორე გვერდის წა-  
ნამძღვარი:

„გრძნობათა თარეშს, გული რომ  
ანიოკეს,  
ერთსა და ერთადერთს, ჩემს  
კალიოპეს.“

## ზმანება-ცხალი

(სატირა)

დილაადრიან ამდგარმა კირილე კაი-  
შაურმა მოქარგულ-მოჩუქურთმებული,  
კედელზე აკრული ქოფაჩი გადმოილ  
და რუდუნებით წმენდდა.

ბრაზით აღვსილი მამალიც ალმა-  
ცერად უცქერდა კაიშაურს – ვერაგმა  
ადგომა მომასწრო და შეიძლება, თო-  
ფიც ჩემთვის გაამზადა საგულდაგუ-  
ლოდო. დაუბრუნდა თავის ადგილს ქო-  
ფაჩი, კირილე გაიწკიპ-გამოიკაზმა და  
მხრებში აზნექილი და ულვაშაპრეხი-  
ლი სახლს გარეთ გამოვიდა. კაიშაურს  
უცნაურად ეჩვენა არემარე, იგივეობის  
განცდა აღარ დარჩენია და არაიგივეო-  
ბით შემცბარი ცალწარბანეული გარე-  
მოს ფიქრიანად შეთვალიერებას მოჰ-  
ყვა.

ერთიდა ის გაიფიქრა – ვაი, ჩემო  
თავო ხევსურული ლუდი ამდენი არაფ-  
რის დიდებით უნდა შემეხვრიპაო და  
ასე მოზომილი ნაბიჯებით მოჰყვა სი-  
არულს ბედისანაბარა. მტვერი მოსდე-  
ბია კირილეს ჩოხას. შმაგივით ისუფ-  
თავებდა, რომ შუეწყვეტელი უცნაური  
ხმაური შემოესმა.

– წინ ვერ იყურები, ბიჭო? რა შუა  
გზაზე მოდიხარ!

ჩვენთვის ადვილი მისახვედრია, რომ  
ეს უცნაური შეუწყვეტელი ხმაური ავ-

ტომობილის სიგნალი გახლდათ.

გახელებულმა კაიშაურმა არც აცია,  
არც აცხელა, ჩოხის ქირუბიდან მასრის  
მოძიება დაიწყო და ქოფაჩიც შეჰყეფ-  
და, კირილეს რკინის მფარველი ან-  
გელოზი სახლში რომ არ დარჩენოდა.  
ავტომობილის მძლოლმა სატერფულს  
მთელი ძალით ჩააჭირა ფეხი და ხედვის  
არედანაც უმაღვე გაქრა. ეს ჩვენი ულ-  
ვაშებაპრეზილი კაცი საიდანაც მოვიდა,  
ისევ იმ მიმართულებით თავქუდმოგ-  
ლეჯილი გარბოდა დოლის ულაყივით,  
მაგრამ ვერც კაცობრიობამ გაიგო, სა-  
ით მიქროდა და არც თავად გახლდათ  
მთლად თავდაჯერებული. აღარც სახ-  
ლი აქვს ამ ჩვენს კაიშაურს, აღარც ქო-  
ფაჩი და აღარც მამალი.

უმამლუსახლუქოფაჩი კირილე გა-  
ნუწყვეტლად მიაბოტებდა. როცა მი-  
სი ყურადღება თბილის ქალაქისთვის  
დამახასიათებელმა საზოგადოებრივმა  
აქტივობამ მიიპყრო. თბილისიო? დიახ,  
დიახ, მართალი ბრძანდებით, კირილე  
კაიშაურმა, ამ სახელგანთქმულმა ოცი-  
ოდე წლის ვაჟმა, თავზარს რომ სცემდა  
მომთაბარე ავაზაკებს, არაფრის გადა-  
მეტებითა და ყოველგვარი ლაყბობის  
გარეშე, პირდაპირ შუაგულ თბილისში,  
ვაკე-ვერას გასაყარზე ამოყო თავი.

ეჭვის თვალით უმზერდა კაიშაური ათიოდე კაცის კრებას. იფიერა, სოფ-ლისთვის საჭირბოროტო საქმეებს განიხილავენო და ნელ-ნელა უახლოვდებოდა, რომ ამ ნელ-ნელადვე იმდენი გასაოცარი რამ მოისმინა, სულ მთლად ჭუამცდარობისკენ აიღო გეზი.

— ქურდმა დარეკა, ჰოდა, ლიჩნად მე გეუბნები, როგორც კაი ბიჭი, რო იმ ფულს, რაც აიღო, დაუბრუნებ, თუ არადა, სათითაოდ გაგიხვრიტავ ორივე მუხლს. რამე გაუგებარი ხო არა-მეტე, ბიჭო?

— არა... არა... მოვიტან!

ამ გაცრეცილჯინსიან, სათვალიან, წელშიმოხრილ, თავგადაპარსულ, შეხლაშემოხლიან, ხმადაყენებულიან სოციუმში ერთ რეგიონიდან ჩამოსულ ბიჭს ცხრა, აგრეთვე რეგიონიდან წარმოშობილი, მაგრამ მაინც თბილისელი ბიჭი ეხვია გარს და დისერტაციას უკითხავდა კრიმინალის საპატივსაცემო კვლევითი საქმიანობის შესახებ, რომელიც არც თუ ცუდად გამოუვიდოდათ, იქვე კაიშაური — განკეპილი ჩიხა-ახალუხითა და ახეული ნიკაპით ჰამლეტში სსენებული მამის აჩრდილივით, თავზე რომ არ წამოსდგომოდათ ბედშავებს.

— შესდექ, ურჯულნო!

პირდალებულმა ბიჭებმა, სოციალური პლატფორმის მეშვეობით, ლამის პირდაპირ ქურდს დაურეკეს, რადგან თეორიულად განხილული მრავალი ჰიპოთეზური შემთხვევიდან მსგავსი აროდეს ენახათ კი არა, არც გაეგონათ.

არა, მაინც ნეტა გენახათ, როგორი ამაყი და სიამით დასანახი გახლდათ ჩვენი ვაჟკაცი კაიშაური — ჰაპანაქება ზაფხულის სიცხეში მძიმე ჩიხით შემკული ულვაშ-ქუდიანი კირილე, ზეცისკენ მარჯვენა რომ ჰქონდა აწვდენილი და საჩვენებელი თითოც აშვერილი. უწინ ასეთ მომენტებში კირილე ხან ქოფაჩს დააჰყივლებინებდა ან ისე უმოწყალოდ მოსტაცებდა ხოლმე ქარქაშს ხმალს, მართლაცდა, ურჯულონი

როგორც შვილებს სტაცებდნენ ხოლმე სამარადუამო კაეშნისთვის განწირულ დედებს. მერედა მისი ერთი დასჭექვა ხომ შიშის ზარს სცემდა მტარვალებს — ვინ სად გარბოდა, უზენაესიც თუ იშვიათად გაარჩევდა ხოლმე.

ლამაზი კაცი იყო კირილე და ახლაც მშვენივრად იდგა მქუხარე თვალ-წარბით, განგმირავი რომ აღმოჩნდებოდა ხოლმე ყაჩალ-ავაზაკთათვის. თან ფიქრობდა კაიშაური — თოფი მე არ მაქვს, არცა ხმალი, მარტო მასრას ხომ არ დავიჭერ ხელში მოკლე წკეპლასავითაო, ამიტომ თითის აშვერა არჩია და ისევ საკუთარი სახელისა და მრისხანე თვალების იმედად დარჩა. სიტყვა იმედიც ზედმეტია, ხევსურმა დანამდვილებით იცოდა, მის სულისშემძვრელ ხმაზე მტერი რომ დამფრთხალი ცხვრის ფარასავით აღიგვებოდა ხოლმე პირისაგან მიწისა.

სანამ კირილე ფიქრობდა, ბიჭები ისევ გაოგნებულის ფაზაში იყვნენ დარჩენილები. შემდგომ, თითქო საღათას ძილისგან გამოღვიძებულებმა, ერთმანეთს გადახედეს და გნიას-ხარსარი დასცხეს. რეგიონიდან ჩამოსულ ბიჭსაც თითქმის დაავიწყდა მომხდური და, ბრძოს ეგზალტაციაში მოქცეულმა, ლამის თავადაც სიცილი ატეხა, შემდეგ მომენტალურად გონებაზედ მოვიდა — უი, უი, მე მჩაგრავდნენო და კვლავ თავდახრილმა განაგრძო ასფალტის გულისყურით დაზუთხვა.

კაიშაური ამაზე მთლად გადაირია და ისევ სცადა ბედი, უკანასკნელიც დასცინოდა კირილეს, მაგრამ ბედს თმაგადაპარსული თავი არა ჰქონია და არც გრავიტაციის ძალისგან მიწაზედ რაც შეიძლება დაბლა დაწეულ შარვალს დაატარებდა.

— შესდექ-მეთქი, გიაურნო! რას მიქვიან შენი კაი ბიჭობა! არა მიცვნიხარ კაი ბიჭადა, ბოროტ საქმესა შასდგომისარ, მარტო კაცს ლეშისმჭამელი სვავებით რომ დასეულხართ. მერედა, რაო,

შე პირშავო? აგრე გაგზარდა გამდელ-  
მა, ქურდზე და ყაჩალზე რომ უბნობ,  
ფული მიუტანეო. ქურდი მპარველია,  
როდი იყო მპარველთა უკან უბრუნდე-  
ბოდეს. გულისყურით მისმინე, აფთარო  
და შენდობა ითხოვე, სანამ გიმუხთლა  
საწუთორომ დაუდგრომელმა!

უცნაური საზოგადოების წევრებს  
შორის კაი ბიჭად წოდებულმა კაიშაუ-  
რის თითქმის ვერც ერთი სიტყვა ვერ  
გაიგო, იმის გარდა, რომ უკადრებელი  
ჰყადრეს და არა ხარ კაი ბიჭიო, უთ-  
ხრეს. ალიაქოთი ატყდა. ის-ის იყო კი-  
რილეს თბილისის ქუჩების გაგებითა  
და მსოფლმეხდველობით მისაღებზე  
აყენებდნენ, რომ ჩიხში ლურჯად და  
ნითლად ელვარე ნათურებმა შემოანა-  
თეს.

— ძალლები, ბიჭო, დავიშალეთ!

გაიქცა ყმანვილკაცობა, მაგრამ კი-  
რილე ვერა ხედავდა და ვერა გაეგო რა,  
სად იყვნენ ძალლები ან რად ვერ და-  
ენახა ვერც ერთი მათგანი. იმას ფიქ-  
რობდა, ძალლის დანახვამ კაცი ასრედ  
რამ უნდა დააფეთოსო და სულ მთლად  
გადარეულ-გასულელებული ადგილზე  
გაძეგლდა.

ყველა გაიქცა, კაი ბიჭად წოდებუ-  
ლის გარდა, რადგან მიაჩნდა, რომ ავ-  
ტორიტეტები ამ ფრიად მამაცურსა და  
ლომგულურ აქტივობას დაუფასებდნენ  
და იერარქიულ საფეხურზე წინსვლა  
ექნებოდა.

— აქ რა ხდება? გურო, შენ ჭკუა კი-  
დე ვერ ისნავლე, ჰო? მერამდენეჯერ  
უნდა წაგათრით, ბიჭო, განყოფილე-  
ბაში! ამოგალპობ მანდ ერთხელაც,  
იცოდე!

— რა უნდა ხდებოდეს ტო? შენ რას  
გადაგვეკიდე, ბიჭები ვიდექით და ვლა-  
პარაკობდით.

გაჯვიმული პოლიციელი სწრაფად  
უახლოვდება კაი ბიჭად წოდებულს, ან  
უკვე ცნობილს, როგორც გუროს, რომ  
ვერა-ვაკეში ჩოხა-ახალუხიან მრისხა-  
ნეთვალება კაიშაურს მოჰკრა თვალი.

— შენ ვინდა ხარ ან თემაზე ტრადი-  
ციულად მოკაზმულები როდიდან და-  
დიხართ, ასე უფრო ეფექტურია, თუ  
სულ გარეკეთ!

— კირილე კაიშაური! — დასჭექა ხევ-  
სურმა და პირდაპირ სახეში უთავაზა  
ამ ჩვენს სამართალდამცავს, რომელიც  
პირდაპირ რეგიონიდან ჩამოსული ბი-  
ჭის მუხლებში გადაგორდა.

გურო ბედნიერებისგან ლამის ჩაე-  
ხუტა კაიშაურს და კმაყოფილების ღი-  
მილი დასთამაშებდა. როცა კირილე  
მოპრუნდა, ერთი ლაზათიანი მუშტი ამ  
ჩვენ კაი ბიჭსაც ჩახუტა და ფორმია-  
ნის გვერდით მიაწვინა.

გაშმაგებული კირილე ორივეს იწ-  
ვევდა — ადექით, პირშავნოვო! — გაჰ-  
ყვიროდა, თუმცა, სხვა განზომილებაში  
გადასულები, ჯიუტად აგრძელებდნენ  
ასფალტთან ალერსს.

გაბრუნდა კაიშაური, შემოირტყა  
დოინჯები და გააგრძელა გზა. მიდიო-  
და და მიდიოდა. მოწყდა ხედვის არეს  
ხევსური. მობეზრდა მინასაც პოლიცი-  
ელის ამბორი, გამოფხიზლდა ამასო-  
ბაში და წელის თრევით, ლოყაგვარი-  
ანადშესინიაკებული, ფეხზე წამოდგა,  
ჩამოიფერთხა წვივ-მუხლი, თავი მალ-  
ლა სანია და კაიშაურზე გაანჩხლებუ-  
ლი გუროც მთელი სულითა და გულით  
გამოთათხა.

— ამდენი ხანია, ქვეყნის სამსახურ-  
ში ვარ და ჩემთვის ეგეთი რამ არავის  
გაუბედია, გამოფხიზლდი და ფეხი გა-  
მოადგი, არავის გავაგებინებ ამ სირ-  
ცხვილს, მე თვითონ ვიპოვი და ორივეს  
განყოფილებაში მიგათრევთ.

ცალკე გურო იყო თავის ადამიანურ  
პრძოლებში, ბიჭებს როგორ ვუთხრა  
ეს ამბავიო. ეგებ კაი ბიჭობის წოდე-  
ბა-რეპუტაციას ჩრდილი მიადგეს, ხო  
დავილუბები ეს პერსპექტიული კაციო.  
ჰოდა, ამ ფიქრებში გართული, უსიტ-  
ყვოდ გაჰყვა ამ ჩვენს დასინიაკებულ  
სამართალდამცავს.

მოსალამოვდა. თბილისში ციცინა-თელებივით აციმციმდნენ ლამპიონები. დრო აზვირთებულ დინებაში ისევ შეუჩერებლად აგრძელებდა ცურვას. ასე შეუჩერებლად დადიოდა აქეთ-იქეთ კაიშაურიც, ვერის ჩიხებში, რომ კიდევ ერთ თბილისურ ამბავს შეესწრო.

— კიდევ ერთხელ დავინახავ მაგას შენთან და მერე შენს თავს დააბრალე!

— რა ვენა, გამაგებინე, ბარში ვიყავით, შემოვიდა და აგვეკიდა, ვუყვარვარ!

— გახედე შენს ოჯახს და მერე მაგისას, რას ქვია უყვარხარ. ეგ სენსიტიური იდიოტიზმი სიყვრულზე დაივიწყე, ახლა პერსპექტივაა მთავარი. მაინცდამაინც წელებზე ფეხებით გინდა რომ შედგეთ ჩემი და დედაშენის სულის ამოხდის მერე? თუ რა გინდა, გამაგებინე?

— რა მინდა და მეც მიყვარს!

— შენ რამდენს ლაპარაკობ!

— რა ხდება აქ?! რა ამბავია ამ შუალამეს? რად უფრთხობთ ძილს კომლებს?

საღამოს 9 საათზე თბილისის შუაგულში გაჩენილმა უცნაურმა კითხვამ, რომელიც ჩოხა-ახალუხიანი, ულვა-შებაპრეხილი კაცის მიერ დაისვა, მამაშვილს თავ-გზა დაუბნია.

— როდემდე უნდა იდგეთ ახლა სარგადაყლაპულებივით?

— ვინა ხარ, კაცო შენ?

გაოცებულმა კაცმა ძლივს წამოილულულა. არ იყო მიჩვეული ასე ლაპარაკს. სახელგანთქმული მოსამართლე იყო ქალაქში, ჰოდა, ამ სრულიად მიუკერძოებელ კაცს, ვინ გაუბედავდა კაიშაურისებრ საუბარს, თავად კაიშაურის გარდა. არასდროს ქრთამი არ აულია ამ კაცს საზოგადოების დაბალი ფენისგან. აბა, ამხანად საშუალო ფენა აღარ არსებობდა თბილისში და რა ექნა. ჭკვიანი კაცი იყო, ამიტომ მხოლოდ მაღალ ფენაზე მუშაობდა.

— კირილე ვარ მე, კაიშაური.

— რა გინდა მერე, ბატონო კირილე?

— რას ქვია, რა მინდა, შე ურჯულო, შენ, ამ შუალამეს დგახარ და ქალთან ღრიალებ.

— შვილია ჩემი.

— რადა მერე, რო ღრიალებ?

— რა გინდა-მეთქი, კაცო, გამაგებინე, ვინ გეკითხება, შენ, მე ჩემს შვილთან ვიღრიალებ თუ რას ვიზამ?

ამ კითხვის მერე მოსამართლე კირილეს დღის მოცემულობის მესამე მსხვერპლი აღმოჩნდა — ზღართანი გაადინა მინაზე და იწვა ახლა გაშოტილი. თვალინი ჩაუარა თავისმა საზოგადოებრივმა მოლვანეობამ, მაგრამ იურისტის გონებამ არ დააყოვნა, სწრაფად გამოითვალა, ახლა თუ მონანიება ვერ მოვასნარი, დავუშვათ და მართლა რამე არსებობს, არ მეშველება არაფერიო. ერთი — შემიწყალეო, მოასწრო. მე ცოდვილიო, ვეღარ დააყოლა, მაგრამ სანახევრო სამოთხესაც არაუშავსო, იფიქრებდა, ალბათ, იმიერში.

დუმილი ჩამოვარდა. დრომ ერთი გაფიქრება იფიქრა, ხომ არ გავჩერდე და ვნახო, რა მოხდებაო, მაგრამ მერე უმალ გამოფხიზლდა. ასე ხომ ყველაფერს ავრევო და გააგრძელა სვლა უსასრულო.

შეცტუნებული, ზარდაცემული ქალი ხმას ვერ იღებდა. ტუჩ-მუხლი უკანკალებდა. კირილემ ხელში ჩვილი ბავშვივით აიტაცა მოსამართლე, მხარზე გადაიკიდა, მიიხედ-მიიხედა, ქალს თვალი მოავლო. ასე უყურებდა ცოტა ხნით და უთხრა აცახცახებულს:

— რას დგახარ მანდ? ვერა ხედავ, ჭკუაზე აღარ იყო კაცი. ორჯერ მკითხა, ვინა ხარო. გამოაფხიზლებს ეს, მიხვდება, ვინცა ვარ. ჲა, მიყურე ახლა. შემაყვანიე შინ, მიჩვენე გზა და გამიძეხი.

შიში ოხერია. ვეღარ გაიგო ქალმა, საშველად ვინმესთვის ეთხოვა, ეყვირა თუ უბრალოდ კაიშაურის ნებას დაპყოლოდა. შიშმა — ბოლო ჯობიაო, უკარ-

ნახა. ერთიანი ძალებით დააპინავეს გონიერადაკარგული მოსამართლე.

— სად მივასვენო ეს უბედური?

— აა... აქ! — მიუთითა ქალმა სავარძელზე და სავარძლის ფორმა მოსამართლემაც კარგად შეითავსა.

ისევ დოინჯი შემოირტყა კირილემ და მისალებში წინ და უკან სიარულს მოჰყვა, კუთხეში ატუზული ქალი ფერდაკარგული უყურებდა. ფიქრიანად ათვალიერებდა კაიშაური ქალს. მომენტალურად გაჩერდებოდა ხოლმე. დაუინებული მზერით შეხედავდა და ისევ სიარულს მოჰყვებოდა. უკანასკნელი რამდენიმეჯერ გაიმეორა, მერე ღრმად ჩაისუნთქა და...

— სახელი მიბოძე შენი.

— კატო მქვია.

— რა გვარისა ხარ?

— ამილახვარი.

— თავადის ქალი ყოფილხარ, მოასწარით უკვე ღალატი?

— ვერ გავიგე?!

— მოასწრებთ ანი.

— რადაა, რომ გაგინყრა მამაშენი?

კერის შემარცხვენელი ჰქმენი?

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— კირილე ვარ მე, კაიშაური.

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა. უყურებდა ქალ-ვაჟი ერთურთს. მათი შემხედვარე დუმილმაც დაირცხვინა. მოერიდა, დუმილი არ მერქვას მე, ავლაპარაკდებოდიო.

— მეტყველე ახლა, რა მოხდა, თუ მოვყე მარჩიელობას?

— პირადი ურთიერთობის საკითხია.

— არ მგონია, ეგ საქმე მთლად სწორი. პირადული თუა, მთელ სოფელს უნდა მოსდოთ და ამოდენა ამბავი ატეხოთ?

არ მოეშვა კაიშაური კატოს, ჯიქურ დაუდგა. რაღა დარჩენოდა ქალს. არავისთან უსაუბრია ამ საკითხზე და ეგებ გამიმართლოსო, ბედი სცადა.

— ერთი პიჭი მიყვარს, დიდი ხანია. მასაც ვუყვარვარ, უბრალოდ, ცოტა

სხვა ტიპია. დოგმატური სამყარო არ მოსწონს და თავისი ცხოვრება აქვს.

ვერავინ უგებს. ჩემ გარდა, რეალური არავისთანაა. საზოგადო პერსონა აქვს შექმნილი. ზედმეტად შეტოპა და ცუდ საქმეებშიც გაეხვა. ყველაფერი იმიტომ, რომ ერთად ყოფნის საშუალებას არ გვაძლევენ. მეუბნება და, დარწმუნებულიც ვარ, რომ, თუ ჩვენ შორის საკითხები დალაგდება, ადამიანურ ცხოვრებას დაუბრუნდება. მჯერა, არასდროს მოუტყუებია ჩემთვის. უმამოდ გაიზარდა. მესმის, შეიძლება, სასაცილოდ ჟღერდეს, მაგრამ თავის წრეში საკმაოდ საპატივსაცემო რეპუტაციით სარგებლობს. არავის უყვარს.

ვიცი, რომ სამეგობრო წრე მასზე ცუდ გავლენას ახდენს. ვცდილობ ჭაობიდან ამოვათრიო, არ მინდა მის გარეშე. უბრალოდ, არ მინდა! დედამისი საზღვარგარეთაა. თავის უფროს დასთან ერთად ცხოვრობს ნაქირავებში. უნივერსიტეტში არ დადის, ვერ შეეგუა. ჩაბარებითაც მხოლოდ დედის გამო ჩააბარა. არც მომზადებულა და უმაღლესი ქულებით ჩაირიცხა სასწავლებელში. საკმაოდ დიდი განათლება აქვს, მაგრამ ოჯახისა და თავისი ცხოვრების გამო მამაჩემი ვერ იტანს. მისთვის მატერიალიზმი და სტატუსი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანურობა. ორად ვარ გახლეჩილი და არ ვიცი, როგორ მოვიქცე.

— სახელი მიბოძე მისი!

— გურო.

— ვგონებ, სიდანმე ვცნობ მაგ სახელს. მიგდე ყურ...

— სახლშიც შემომეჭერი?! — შეპყვირა შორეულ მოგზაურობაში წასულმა და ძლიერ უკან დასაბრუნებელ გზაზე მდგარმა მოსამართლემ. წამოდგომა დააპირა, მაგრამ ჯერ ისე იყო გაბრუებული, რომ ისევ სავარძელში ჩაესვენა. შემდეგ კვლავ წამოდგომის მცდელობა პქონდა, მაგრამ კვლავაც უკან დაბრუნდა. ამაოების შემდგომ მიხვდა,

აზრი რომ ალარ ჰქონდა, არადა, ფეხზე დამდგარი უკეთესად ვიჩეუბებდიო. რაღა გაეწყობოდა, დამჯდარმა განაგრძო ლრენა კაიშაურისადმი.

— ჯერ ეს ერთი, ხელი დამარტყი, მეორე — ქალიშვილი შემიშინე, მესამე — ჩემს სახლში ხარ, მეოთხე — ჩიხა-ახალუხით ხარ, მეხუთეს, სასამართლოს ჩაქუჩს რომ თავში ჩაგარტყამ, მერე გეტყვი.

აქაოდა კაიშაურმა ეს კიდევ დიდგულზეაო, ბრდლვნას ალარ დაუტევდა ჩემს მოსამართლეს, რომ ანაზდად მუსიკა შემოესმა. მიუხედავად ტრაგედიის დატრიალების უამს უეცრად მოვლენილი სასწაულისა, რომელიც ზედმეტად პოეტურად უღლერს, საქმე ამ შემთხვევაში მხოლოდ კატოს მობილურთან გვქონდა.

— კატო, იცოდე, კიდე თუ ის რეკავს...

— არ უპასუხობ, ხო ხედავ!

— არ პასუხობ კი არა, ისე ქენი რო, ვეღრც დაგიყავშირდეს, მერამდენედ უნდა გითხრა!

— უპასუხე!

— რას ქვია უპასუხოს?! მამამისი ვამბობ, რომ არაფრით არ უპასუხოს, ვინა ხარ, კაცო შენ, გამაგებინე ბოლობოლო!

კაიშაურმა სულის გამჭრელი მზე-რით გახედა მოსამართლეს, აათვალიერ-ჩაათვალიერა, კბილი კბილზე დაადო და მუშტიც მოჭიმა.

— არა, ისე, მართალია, კატო ეს კაცი! უპასუხე, რა უნდა ერთი, მაინტერესებს!

კატო თანხმობამ უმალვე გამოაფხიზლა, ელვის სისწრაფით სწვდა ტელეფონს, ისედაც ნაზი ხმა კიდევ უფრო დაინაზა, სულ მთლად გადაავიწყდა, რაც ხდებოდა და ქალური კეკლუცობით უპასუხა.

— ალიო, გისმენ!..

— კატო, უცებ გეტყვი. ბევრი დრო არ მაქვს, რა. ძლიერ დავითანხმე, რომ

დამერეკა შენთან. ასეთი ამბავია: დამიჭირა ძლიერიშვილმა. არაფერი ყოფილა ჩემი ბრალი. ვიღაც ტიპზეა აჭრილი. ბიჭები ვლაპარაკობდით და, ნარმოიდგინე, ვიღაცა კაცი მოვიდა, ხელი გაგვარტყი, რის გამო, არც მე ვიცი და არც ძლიერიშვილმა. მაგიტოა გაცეცხლებული. ჰოდა, მგონი, ახლა ვეღარ გამოვდვრები. ვეზვეწე, სანამ ციხეში შემაგდებ, კატო უნდა ვნახო-მეთქი და ახლა მომიყვანს შენს სახლთან. მთელი თბილისი მოვიარეთ, საცობებია რა, შემაგვიანდება. გნახავ და მერე ისევე ის დამთხვეული უნდა ეძებოს და მიგვათრიოს ერთად განყოფილებაში. ყველა წესს არღვევს, მარა, ხო ხვდები, როგორი სიტუაციაცაა.

მოსამართლეს მობილურზე ყური ჰქონდა მიდებული. კაიშაური მოშორებით იდგა და არაფერი ესმოდა. იდგა ასე, თავისთვის და მძვინვარე თვალებს აქეთ-იქეთ აბრიალებდა. ამ ჩემს მანტიამოსხმულ კაცს არასდროს ასე არ გახარებია გუროს და კატოს შესვედრა. ღმერთს მადლობა, დამთხვევაც ამას ჰქია, მიშველა ძლიერიშვილმა — ფიქრობდა და, ხელების ქნევითა და ლამის ფერხულის ცეკვით, ჩუმად ანიშნებდა კატოს — მოვიდეს, მოვიდეს უეჭველადო. კატოც დაეთანხმა გუროს, შეგხვდებიო. საუბრის დასრულების შემდგომ მოსამართლემ ტელეფონი უმალვე გამოსტაცა და მისწერა — პირდაპირ სახლში შემოდი, კარი ღია იქნება, ძლიერიშვილი მარტო არ დაგტოვებს, ამიტომ უთხარი, რომ შემოგყვეს თვითონაცო.

ლაზათიანად ჩაისუნთქა მოსამართლემ სუფთა ფულით ნაშოვნი ლამაზი სახლის ჰაერი, ღიმილით გადახედა ქუში პირი-სახის მქონე კაიშაურს. როგორც იქნა, გული დაუდო ხევსურის დაკვირვებას. მშვენიერი ყმაწვილკაცი ყოფილა ეს ჭკუამცდარიო. კიდევ ერთხელ აავსო ფილტვებიც და...

— ბატონო კირილე, მინდა, ბოდიში

მოგიხადოთ შექმნილი გაუგებრობის-თვის. იმდენად გაბრაზებული ვიყავი საკუთარ შვილზე, რომ ვეღარც კი გი-ცანით! დაბრძანდით, ბატონო კირილე, სამზარეულოში ისეთი ციცქა მაქვს, სულ რომ არ მაპატიოთ მე უგუნურს და აქვე დამკლათ, მაინც უნდა გაგა-სინჯორთ. არაფრის დიდებით არ მით-ხრათ უარი, ბატონო კირილე!

მოსამართლე ფიქრობდა, ყველას თავის ენაზე უნდა ელაპარაკოო. ჩარ-ჩენილია ეს უბედურიო. ეშმაკობაში გამოწვრთნილი და დახელოვნებული კაცი იყო, ჰოდა, ეს როლიც ბრნყინვა-ლედ შეითავსა.

— მერე, მასე დაგეწყო თავიდან, შე კაი კაცო. ის კია, შეცდომა ყველას მოსდის, მთავარია, ვინ როგორ გამო-ასწორებს.

მაინცდამაინც არ იყო კაიშაური მიჩ-ვეული თავის მხარეში მუხტლობასა და გაიძვერობას, სუფთა გულის კაცი იყო, ამიტომ ძირითადად ყველა სუფთა გუ-ლისა ეგონა ხოლმე, კარგის მეტს არა ეძიებდა ადამიანში.

— მართალი ბრძანდებით, ბატონო კირილე. კატო, მამი, გენაცვალე, გამო-იტანე ერთი ჩემი საქები ციცქა.

მოარბენინა კატომ ღვინო, სუფრის გაშლასაც მოჰყვა. სანამ სუფრა შელა-მაზდებოდა, მოსამართლესა და კაიშა-ურს შორის დიალოგი გაგრძელდა.

— რამდენი აბრაგია ჩვენს სოფელში ბატონო კირილე! სამართალია საჭირო. ს ა მა რ თ ა ღ ი! უპოვრებს პარავენ, გაშიშვლებულებს აშიშვლებენ, ადამია-ნობა დაიკარგა, სასწაულია პირდაპირ. გუშინ დაღლილი დავბრუნდი სამსახუ-რიდან, ასე გავერანებული მოვლასლას-დი. ჯამაგირის დღე იყო. ავიღე ეს ჩემი გაჭირვებით ნაშოვნი ჯამაგირი და იცი, რა ვქენი, ბატონო კირილე? დავიარე უპოვრები, დავიარე გაშიშვლებულები და დავურიგე ეს ჯამაგარი ამ ხალხს. აბა, როგორ გინდა სხვანაიარად. უზე-ნაესი ადამიანს ადამიანის ხელით ეხმა-

რება. საჭმლის ფულიც კი ალარ დავი-ტოვე. ერთი ქალიშვილი მყავს, არადა. დიდი მჭამელი არაა, მაგრამ ჭამა ხო უნდა? — უნდა! ჩაცმა ხო უნდა? — უნ-და! სწავლა ხო უნდა? — უნდა! და კიდე ბევრი უნდა და უნდა, ბატონო კირილე, მაშ! ასეა ეს საქმე. თუმცალა, რომ ვხე-დავ ამ ჩემ ქალიშვილს, ნაჭამ-ნასვამსა და ნასწავლს, ასე უნებურად მეფიქ-რება ხოლმე სხვების ქალიშვილებზეც. მაგიტო ალარ ვიტოვებ არც საჭმლის ფულს და მთელი დღე ერთ კინკილა ლობიაზე ვარ ხოლმე. კატო, ჩაადგი, შვილო ხინკლები ან მწვადი რით ვეღარ გაცხელდა, მოდი, ბარებ ჩაქაფულიც შეაცხელე, ეშიება კაცს!

— აბრაგობა თარეშობს ვეღად, მარ-თალია ეგ საქმე, მაგრამ, გვიფიქრია კი რატომ ხდებიან აბრაგები — აბრაგე-ბად?! რად შეიქმნენ, რომელმა პირშავ-მა გააბოროტა. მართალია, ზოგი იმდე-ნად ლაჩარია, მთელი ცხოვრება სულ დედის კალთა და ღვთის მადლი თავზე რომ ეფაროს, თავისი ავყია ბუნებისა და პატივმოყვარეობის გამო, ღირსე-ულ კაცს ზურგში მასრას მასრაზედ დააჯენს. ეს დაფინანსილი თავადო-ბაც არად ზრუნავს ბალდებზე. აიღებს ხელში ბალდი იარაღს, რომ გაიზრდება, აბა, რას იზამს?! დაფასება ვერ ნახა, სიყვარული ვერ ნახა, წიგნი ვერ ნახა, სითბო ვერ ნახა. ჰოდა, ნახა მაუზერი, გადატენა მაუზერი, ნახა მერე დაფასე-ბაც, სიყვარულიც და სითბოც. ოღონ-დაც შიშის გამო და არა ჭეშმარიტები-სა, მაგრამ ვერა ნახა წიგნი. რა ქნას ახლა? რა ვუთხრათ ამ ბალდს? ვინც ეძიებდის, პპოვებდესო? როგორ უნდა პპოვოს კაცის კვლითა და გავერანე-ბით? ჩვენი ბრალია ეგ საქმეც ზოგ-ჯერ. სხვებს ტყუილა ნუ მოვთხოვთ სამართალს. აგრემც თქვენი თქმისა არ იყოს, თქვენსავით კი არ აპურე-ბენ ცისფერსისხლიანები გლახაკებს. აგრემც თქვენებრ რომ მოიქცეს ყვე-ლა და თვისი ჯამაგარი უპოვარ-გლა-

ხაკისთვის გაიმეტოს, პურის გატეხვის წინ კაეშნის დალევა კი არ მოგვიწევდა ქართველობას. აბრაგებიც იმსახურებენ ლოცვაში მოხსენიებას, ვინ იცის მათ ტკივილებზე.

მოსამართლემ ასე კარგად ჯერ არავის აღვუწერივარო, გაიფიქრა, მაგრამ გაახსენდა, რომ ნეგატიურ კონტექსტში მოიხსენიეს. გულიც არ დასწყვეტია, მითუმეტეს, წინ შიშხინა მწვადები რომ დაუდეს, სულაც აღარ ახსოვდა შენი აბრაგობა და მათი ტკივილები.

— აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით, ბატონო კირილე! სამართალია საჭირო. ს ა მ ა რ თ ა ლ ი! ჰე, მიირთვით ახლა, აბა, გამარჯვება, ბატონო, გამარჯვება! დალოცვილი იყავით და კეთილი იყოს თქვენი ფეხი ამ ოჯახში. რომ გიყურებთ, ახლა პირდაპირ ცას ვეპორტყიალები სიხარულით, მაშ! აბა, როგორ გინდა!

— გამარჯვება, ბატონო, დაგლოცოთ ღმერთმა, დიდება უფალს!

მცირე იყო შესვენება ღვინის ჭიქების რახარუხს შორის. მოედნენ ყველა საკითხს კაიშაური და მოსამართლე. ისაუბრეს გავერანებულ საქართველოზე, გატიალებულ ქართველებზე, ბოროტებაზე, სიკეთეზე, თავადებსა და გლეხებზე, ლირსეულებსა და ულირსებზე, განიხილეს საჭირბოროტო საკითხები, სხვანი და სხვანი. მოენონა მოსამართლეს კაიშაური, თითქო აღარც ახსოვდა მომხდური. ნაკლებად ეკიდებოდა თრობა კაიშაურს, ხარივით მსმელი ვაჟი გახლდათ. მობეზრდა ჭიქები. ყანწი მოითხოვა, ჰოდა სუფრაც ყანწთა შესმით გაგრძელდა. თავს კარგავდა მოსამართლე, გონება ებინდებოდა. ეხვეოდა ვაჟს. მგლის ლეკვო, შენ ყოფილხარ ქართველიო! — გაჰყვიორდა. ოჯახში მიგიღე, გინდა თუ არა, მიგიღე ჩემს ოჯახში, უარი არ მითხრა, თორემ აქვე დავიკლავ თავს, შენს მუხლებშიო.

კატოსაც ველარ გაეგო, ეცინა თუ ეტირა. ქართულ ფოლკლორზე რომ

მიდგა ჯერი, მოსამართლემ აციმციმებული თვალებითა და უკვე გულწრფელი ღიმილით შეხედა კაიშაურს.

— კატო, გიტარა ან ფანდური, შვილო! — გასძახა მოსამართლემ.

დაბნეული ტრიალებდა კატო აქეთიქით. თავად ფანდურსაც თავბრუ დაეხვა და ლამის თვითონ მიაძახა: „აქავარ, აქო!“ მოჰკიდა კატომ ხელი ფანდურს და ამასობაში მოსამართლეც ამღერდა.

— კირილე, კირილე! ოქოთომეს მუგოკოდუ, სი ეშმაკი ჭიჭე ტურა!

— აიტ! შენ გენაცვალე!

— ღორინთქ ვაგაჭყორასუ დო, ქოთომეფი ვაკომჭკუმა!

— კირილე!

— სისა!

— სისა!

— სისა ტურა!

— ვაგუტუა!

— ვადოლურა!

— სისა!

— სისა ტურა!

— ვაგუტუა!

— ვადოლურა!

ასე სიმღერაში იყვნენ გართულნი, კატოც ხომ გამალებით უკრავდა ფანდურზე. სრულიად ახალი ფურცლიდან დაინყო ყოველივე, ძველი ნაჯღაბნი ნაფლეთებად იქცა. გრძელდებოდა მხიარულობა. ამ დროს ძლიერიშვილმა შემოაღო კარი, გუროც ფეხდაფეს მოჰყვა. დაინახა თუ არა სანახაობა, ამღერებული სიმკაცრითა და რისხვით ცნობილი მოსამართლე, აქამდეც რომ იცნობდა, მასთან ერთად მომღერალი ჭკუამცდარი ხევსური და კატო, რომელიც ფანდურზე უკრავდა, ზარდაცემული შეიქმნა. გუროც დაბნეულობის-გან მხოლოდ კატოს შესცეკროდა და სიცილს ძლივს იკავებდა.

— ბატონო მოსამართლევ... ეს კაცი... ეს...

— ეს კაცი ჩემი ოჯახის წევრია! კი-

რილე კაიშაური! ღმერთი არ გაგინწყრეს და ხელი არ დააკარო! მოდი ახლა და მოსვი ღვინო! უკეთესი თანამდებობებიც არსებობს, როგორც ვიცი. ან შენ რას დგახარ მანდ? თუ დღესვე იტაცებ ჩემს შვილს? მოდით სუფრაზე, არა! ახლავე მოდით სუფრაზე!

ვაი, უძედურო თავო, ეს ჭკუამცდარი თურმე ვინ ყოფილაო, – გაიფიქრა ძლიერიშვილმა. უჯიკა გუროსაც, ფეხი გამოადგიო. მიუსხდნენ სუფრას და გაგრძელდა ჭამა-სმა. პირველი 7-8 ჭიქა ძლიერიშვილი მართლაც ძლიერი შიშით იყო შეპყრობილი. გუროს ჭიქებს აწოდებდნენ და აწოდებდნენ, ღვინოც არაფრის დიდებით არ მთავრდებოდა. ყველა გამოთვრა, მღეროდნენ და მღეროდნენ, საბოლოოდ ფშავ-ხევსურული ცეკვა-თამაშიც დასცხეს. გადახვია ოთხმა ხელი ერთმანეთს და ასე, ხელგადახვეულებმა, თბილისის ქუჩებისკენ აიღეს გეზი. მიდიოდნენ და ილტვოდნენ გაურკვეველი მიმართულებით.

– გურო! – გაჰყვიროდა მოსამართლე. – სიმღერა თქვი, გურო!

სად იცოდა გურომ ქართული ფოლკლორი ან მისი ფასი, თითო ოროლას-თვის თუ მოეკრა ყური აქა-იქ.

– წინწყარო!..

რამე ხალისიანი თქვი თორემ, დაგიჭერ იცოდე! – ლაზანდარობდა სამართალდამცავი ძლიერიშვილი.

– დოუძახი... რა ჰქვია... ღორებს...  
– ეს სხვა საქმეა!  
– ჭირიმე შენი!

– დოუძახე ჯოლორებს შარიქა დო არამი!

– არამი დო შარიქა!  
– ჰარიქა დო შარიქა!  
– არამი დო შარიქა!  
– ჰარიქა დო შარიქა!

ასე და ამგვარად ჩამოვიდნენ ან უკვე ძმადნაფიცნი ფილარმონიის დარბაზამდე. თავყრილობა იყო, ხალხი დარბაზში შესვლას ცდილობდა. ქართულოლკლორული სიმღერების გუნდი სა-

ნახაობას მართავდა. უახლოვდებოდნენ ფილარმონიას, სილალსიხალისით, მაგრამ ვაი, რომ კაიშაურმა შესასვლელთან გაკრულ ფოტოსურათს მოჰკრა თვალი, სადაც ათი კაცი ჩოხა-ახალუბში იდგა გამოჯვემული.

– ა, ბიჭო ხალხი! – დასჭექა ხევსურმა, დაადო თავი, მოსწყდა ძმობილებს და არაბული ულაყის სისწრაფით გავარდა ფილარმონიისკენ.

ძლივს გამოერკვნენ მოსამართლე და ძლიერიშვილი. რა ხდებაო, თავს რამე არ მოუწისო და დაედევნენ კაიშაურს. გარბოდა ძლიერიშვილი. კარგანაჭამ-ნასვამი მოსამართლე გზაში სამჯერ ლაზათიანად დაებერტყა. ყოველ ჯერზე მისი ნამოყენება გუროს უფრო და უფრო უჭირდა. შევარდა კაიშაური ფილარმონიაში. გაგიუდა დაცვა, ვინაა ეს დარეხვილიო. მისდევდა დაცვა, მისდევდა ძლიერიშვილი, მისდევდა მოსამართლე და მისდევდა გურო.

გაჰყვიროდა კაიშაური:

– სისა, სისააა!

აუგარდა გუნდს შუა სიმღერის დროს შუავე სცენაზე. მიჰყვნენ კაიშაურს თავისივე ძმადნაფიცნიც.

– სისა!

– სისა!

– სისა ტურა!

– ჭირიმე თქვენი!

მაგრამ ყველაფერი მაშინ მორჩა, როცა ფილარმონიის დაცვაც სცენაზე ავიდა.

დაიჭირეს კაიშაური, დაიჭირეს მოსამართლე, დაიჭირეს ძლიერიშვილი, დაიჭირეს გურო, მაგრამ ძმობილნი განევ-გამონევის დროსაც ჯიქურ აგრძელებდნენ ჭიფე ტურას ყვირილს. აგრძელებდნენ და აგრძელებდნენ სამარადი-სოდ.

და მაინც... დილაადრიან ამდგარმა კირილე კაიშაურმა მოქარგულ-მოჩუქურთმებული, კედელზე აკრული ქოფაჩი გადმოილო და რუდუნებით წმენ-

დდა.

გამოვიდა სახლს გარეთ კირილე, თოფიც ჰქონდა, სახლიც, ქოფაჩიცა და მამალიც. თოფიან-სახლიან-ქოფაჩიან-მამლიან კაშაურმა წარბები შეჭმუხნა, ხევსურული ლუდი ამდენი არაფრის დიდებით არ უნდა დამელიაო.

გაიღვიძა მოსამართლემ. ვვონებ, ქვეყანაში მართლაცდა საჭიროა სამართალიო, ს ა მ ა რ თ ა ლ ი! მაგრამ ამდენი ციცქა არაფრის დიდებით არ უნდა დამელიაო.

გაიღვიძა ძლიერიშვილმაც, მაგრამ თავი ვერა და ვერ ასწია, ამიტომ მიჰ-

ყვა ძილის სიტყბოებას სამართალდამცავი.

გაიღვიძა გურომ, ბარში ამდენი არაფრის დიდებით არ უნდა მომეწიაო.

არავის აღარ ახსოვდა მომხდარი. ძმადნაფიცებსაც დაავიწყდათ ერთმანეთი. ზმანება იყო? ცხადი? ვინ იცის. მართლაც რომ, ვინ იცის..

გაიღვიძა კატომ.

გუროს გადაურეკა.  
მომენატრეო.





## თამარ გელიტაშვილი

პენსიონერთა სევდა  
(ბექა ახალაიას „პენსიის დღე“)

„დედას ვუყვარვართ შვილები,  
დედა არ გვახსოვს შვილებსა,  
იმითა გვტანჯავს გამჩენი,  
სულ მუდამ გვაცოდვილებსა“.

### მიხა ხელაშვილი

ვერლიბრი ბესიკ ხარანაულმა შემაყვარა, მოგვიანებით კი ეს სიყვარული ბექა ახალაიამ განმიმტკიცა. მათი შემოქმედება იმ პრინციპებს ემყარება, ილია რომ ამბობდა: „პოეზია განსახოვნებაა ჭეშმარიტებისა, ცხოვრებისა და არა უთავბოლოდ გადაბმული რითმებისა“-ო.

დღეს ბექა ახალაიაზე გესაუბრებით, უფრო სწორად, მის ერთ ლექსზე. რადგან ხელოვნებას თავისი კანონები აქვს, რომლის მიხედვითაც ერთი ნაწარმოების იდეური სიმართლე ანალოგი არ უნდა იყოს მეორე ნაწარმოების იდეური სიმართლისა, გამიჭირდება ერთი წერილის ფორმატში მოვაქციო ბექას მრავალფეროვანი პოეზია.

ბექა ახალაია შემოქმედების თემად ადამიანური ყოფის მოტივებს ირჩევს და განყენებულ აზროვნებას მიწიერ პრობლემატიკაზე მსჯელობას ამჯობინებს. მისი სათქმელის არსებით ნიშან-

თვისებას ცხოვრებისეული სიმართლის ასახვა წარმოადგენს და არა ბუნდოვანი და ზედმეტად გართულებული მხატვრული სახეები, რამაც ასე მყარად მოიკიდა ფეხი ჩვენს დღევანდელ პოეტურ არენაზე და ძალიან ცუდი გავლენა იქონია ვერლიბრზე, იმ თვალსაზრისით, რომ მას მკითხველის ნდობა დაუკარგა.

გალაკტიონის შემდგომ ერთობ გართულდა ახალი რითმების მოძიება, ფაქტობრივად გაღარიბდა რითმა, რამაც გვარიანად დააფრთხო კონვენციური ლექსის წერის მოსურნენი. ეპიგონობისა თუ გაცვეთილ-გაძვალტყავებული რითმების თამაშისთვის თავის არიდების მსურველებმა ტალანტის გამოვლენის ასპარეზზად ურითმო პოეზია აირჩიეს, თუმც საქმე მარტო ძველი და ახალი ფორმებისა თუ გართულებული მეტაფორების ძიება კი არ არის, მთავარია წერდე აზრიანად და არ ფიქ-

რობდე არავითარ ფორმაზე. ჯერ კი-დევ რამდენიმე წლის წინ მიანიშნებდა ვახტანგ ჯავახაძე იმ საშიშროებაზე, რომ ლექსის ორიგინალური მანერით შეთხვის სურვილით ატაცებული პო-ეტები მხოლოდ ირონიას დაიმსახურებდნენ თანამედროვეთა თვალში. ბექა ახალიას პოეზია სწორედ იმით გამოიჩინა ბევრი ვერლიბრისტისგან, რომ ძალიან შორს დგას ხელოვნური გადაპ-რანჭვისაგან და ბუნებრივად მოაქვს ის ემოცია, რაც ასე აუცილებელია მკით-ხველისათვის.

ბევრისგან განსხვავებით, რომელთა დრამატიზმსა და ინდივიდუალობას მოკლებული სუროგატული „ლექსები“ მხოლოდ და მხოლოდ აზრსმოკლებულ სიტყვათა თამაშს ემყარება, ბექას ვერ-ლიბრებს მკვეთრად გამოხატული სიუ-ჟეტი აქვთ. ისინი თავიანთი ფაბულით, აღმავალი და დაღმავალი ხაზებით, ამ-ბის განვითარებითა თუ კულმინაციით, ნათლად, ხელშესახები გრძნობით გვიყ-ვებიან ადამიანური ყოფის ისტორიებს, თანაც ისე, რომ არ გაღიზიანებს ვერ-ლიბრის ურითმო ინტონაცია. რიტ-მულობას რაც შეეხება, მიუხედავად კლასიკური ლექსისგან განსხვავებული ვერსიფიკაციისა, ახალგაზრდა ავტო-რის პოეტურ ნააზრევს ფონად ყოველ-თვის გასძევს მუსიკალური უდერადო-ბა. ამდენად, პოეტის გრძნობისა და განწყობილების განსახოვნება ლექსში არა მხოლოდ ფონეტიკურ ეფექტს ემ-ყარება, არამედ აზრისა და გამოსახვის სისადავესა და პოლიფონიურობას.

მწერლის, ხელოვანის სულს, მის ში-ნაგან სამყაროს საკუთარი ქმნილებები საცნაურყოფენ. იმ ფაქტს, რომ ბექა ახალიაის უყვარს ადამიანი, განურჩევ-ლად და უპირობოდ ზრუნავს მასზე, წუქს მის დარდსა და საწუხარს, მისივე ლექსები ააშეკარავებენ. ამიტომაც არის, რომ „ადამიანად ყოფის სევდა“ (დავ-ესესხები გოდერძი ჩოხელს) ბექა ახა-ლიაის შემოქმედების მთავარ, წამყვან

თემად უნდა მივიჩნიოთ. უმთავრესი კი მანიც ის არის, რომ ამ თემას მრა-ვალფეროვანი სათქმელით ტვირთავს და ისე მოაქვს მკითხველამდე. მის სევ-დაგანფენილ პოეზიაში არასდროს არ ჰგავს ერთი საწუხარი მეორეს ან ერ-თი პრობლემა – მეორეს. ამიტომაც არ ძალმიძს მათი ერთ წერილში მოქცევა.

„პენსიის დღე“ – ასეთი მრავლის-მთქმელი სათაური აქვს ახლახან სო-ციალურ ქსელში გამოქვეყნებულ ბექას ლექსს, სადაც უდიდესი დრამატიზმით აისახა მარტოსულ, დაუძლურებულ თუ უფუნქციოდ დარჩენილ პენსიონერთა ყოფა. მეტიც, ხშირად ისინი ზედმეტ ტვირთადაც ქცეულან ოჯახის წევრე-ბისათვის.

მართალია, ეს თემა ახალი არ არის ჩვენს ლიტერატურაში, მაგრამ მანიც ძალიან იშვიათია და სულ თითზე ჩამო-სათვლელი ავტორი არსებობს ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში, ვინც ამ პრობლემას თვალი გაუსწორა და ბო-ლომდე გააშიშვლა სათქმელი. მასზე ხმამაღლა საუბარს შეგნებულად არი-დებ(დნე)ნ თავს. დედის კულტი ყო-ველთვის მაღლა დგას ყოველ ერსა და ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ჩვენთან, საქართველოში, მაგრამ ეს ყველაფერი რომ ხშირად ზედაპირულია და მხო-ლოდ სადღეგრძელოების გასაღამა-ზებულად და სიმთვრალეში გულისამა-ჩუყებულ ექოდ გაისმის, ამის აღიარება ნაკლებად გვსურს. იყო მთლად უარესი დროც, საბჭოთა ჯარსა თუ ციხეებში გავრცელებული მოდა, რუსულის გავ-ლენით გულზე მიტყეპებული, ვითომ-და კაცურკაციის დამადასტურებელი სვირინგი – ჩე ვაკუ მატე როდნუ!

ქართულ სინამდვილეში, ალბათ, პირველი ნიკო ლორთქიფანიძე იყო, რომელმაც ძალზე მწვავედ დასვა აღ-ნიშნული პრობლემა. უმაღური შვილე-ბისგან გულნატკენი და ზარდაცემული თავსაფრიანი დედაკაცი ზოგადი სახეა

შვილებზე თავგადაკლული, მოამაგე დედისა.

ეს თემა მოგვიანებით რევაზ ინანიშვილმა განაცრობო მოთხოვბაში – „სიკვდილი ბარბარე ბადიაურისა“ და სწორედ იმიტომ, რომ ნიკო ლორთქიფანძის მიერ წამოჭრილ პრობლემას ეხმაურებოდა, ნაწარმოებს ეპიგრაფად წარუმძღვარა: „ვუძღვნი ნ. ლორთქიფანძის თავსაფრიანი დედაკაცის ხსოვნას“.

მოხუცი მშობლებისადმი შვილების უყურადღებობასა და დაუფასებელ ამაგს ეძღვნება ასევე გოდერძი ჩოხელისა („თინა და თუნა“) და თანამედროვე მწერლის, ბადრი სულაძის („მამ(ლ)ის ტკივილი“) ნოველებიც.

ბექა ახალაიამ საკმაოდ ორიგინალურად მოგვაწოდა თავისი სათქმელი – მარტოსული პენსიონერების ისტორიები ექვს ამბად დაყო და სხვადასხვა რაკურსით წარმოგვიდგინა. ყველა ამბავი სხვადასხვა ქვეყანაში ხდება. ამისათვის მწერალმა შთამბეჭდავ ხერხს მიმართა და მოხუცების სახელებითა და ცალკეულ ლექსებზე მიწერილი ეროვნული ვალუტის მაჩვენებელი სიმბოლოებით მიგვანიშნა, რომელ ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანზე მოგვითხობს. ექვსი ქვეყნის მაგალითზეა დახატული პრობლემა, რომელიც ჩვენი სამყაროს რეალისტურ ყოფას ასახავს.

პუნქტებად დაყოფილი ვერლიბრის საერთო სათაურია „პენსიის დღე“, რაც იმის ჩვენებას ემყარება, რომ პენსია პირდაპირ ასოცირდება მოხუცების განცდებთან, რომ ყველაზე უფრო მოლოდინით საკვებების და ამავე დროს ყველაზე უფრო სევდიანია ეს დღე პენსიონერთათვის, რადგან ამბივალენტურ ასოციაციას იწვევს – ფულადი თანხა სასიცოცხლოდ აუცილებელია მათი არსებობისათვის და, პუნქტირივია, დიდია მისი მიღების მოლოდინი; მეორე – მტკიცნეულად შეახსენებს საკუთარი პენსიის ამარა დარჩენილებს, რომ დაბერდნენ და უსარგებლონი გახდნენ

შვილებისა და შვილიშვილებისთვის, რომ მომავალზე ფიქრი წარეკვეთათ და ყოველდღიურად უახლოვდებიან აღსასრულს. ამიტომაც მათი დრამატიზმი ამ დღეს განსაკუთრებით ღრმავდება. ამდენად, პენსიის დღე ერთდროულად არის სასიხარულოც და სევდისმომგვრელიც.

პირველ ლექსს აშშ დოლარის სიმბოლო აქვს წამძღვარებული და ამ მცირე, მაგრამ საკმაოდ მრავლისმეტყველი მინიშნებით ვხვდებით, რომ მოქმედება ამერიკის შეერთებულ შტატებში ხდება და, ვფიქრობ, არც ისაა შემთხვევითი, რომ ლექსის სიუჟეტი ზესახელმწიფოდან იწყება. ამ უესტით მწერალს სურს გვიჩვენოს, როგორია ლექსში წამოჭრილი პრობლემა იმ ქვეყანაში, რომელიც განვითარების უმაღლეს საფეხურზეა. როგორც ითქვა, ეროვნული ვალუტის სიმბოლოსთნ ერთად, ლექსის ყოველ დამოუკიდებელ ეპიზოდს ადამიანთა ნაციონალური სახელებიც აქვს წამძღვარებული, რითაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს ავტორი, თუ რომელ ქვეყანაზე გვესაუბრება.

მაშ, ასე!

●

§

(სამანტა. 86 წლის)

პენსიის დღე. რია ვერანდა.

დიდი. მოხუცთა თავშესაფრის ძველი შენობა.

გიყვართ პინადრებს ვერანდაზე ჯდომა. არც ისე დიდხანს მოგიწევთ

იქ ჯდომა და. მშვენივრად იცით.

იცი. წინა დღეს

შვილიშვილმა შემოგიარა. მთელი სამი თვე

არ ყოფილა, გადაიკარგა. თმა

შეუღებავს, ძლივს იცანი. ხშირად იღებავს,

მაგრამ ამით ვერ გაგაკვირვებს. გოგობაში

თავისუფლება  
შენც გიყვარდა. დაგემსგავსა და  
ეს გიხარია.  
შვილი არ გგავს. ისე არ გგავს, რომ  
ზოგჯერ ეჭვებშიც  
ჩავარდნილხარ... არასდროს მოდის,  
შენთვის სცალია?!  
ადრე გწყინდა, ასეც უთვლიდი.  
მერე შეეშვი.  
გულისტკენა დაგრჩა. ახლა კი  
ისე ძალიან  
აღარ გტკივა. ეჩვევი სიკვდილს  
შვილის გარეშე.

განცდათა სილრმე აშკარა და გუ-  
ლისმომკვლელია. ესაა მოხუცთა მიმ-  
ნუხრის ხანა. თავშესაფრის ყველა უმ-  
ნეო მკვიდრმა იცის, რომ დასასრული  
ახლოვდება, მათ შორის სამანტამაც,  
რომელიც აღსასრულს შვილის გარე-  
შე შეხვდება, რადგან მის პირმშოს მო-  
ხუცი დედისთვის არ სცალია. აღარც  
მოვალეობების განცდა, აღარც სიყვა-  
რული, აღარც სინდისი, აღარც ადამია-  
ნური სახე... სამანტა საკუთარ შვილიშ-  
ვილსაც კი ვეღარ სცნობს, რომელიც  
რამდენიმე თვეში ერთხელ „შეუვლის“.  
შვილიშვილი სიცოცხლით ტკბება და  
მხოლოდ ხანდახან თუ გაახსენდება,  
რომ სხვა სამყაროც არსებობს, სადაც  
ბებიამისია – სიკვდილისთვის მოსამზა-  
დებელი სახლი ჰქვია მას.

უცნაურია ადამიანის ყოფა. დაბადე-  
ბიდან ორიოდ წელში (ან უფრო ადრეც) საბავშვო ბაღში მიაბარებენ, საღამოს  
კი მშობლები მოაკითხავენ. ასეთ სახ-  
ლებში განწესება ყოველთვის ტირი-  
ლითა და უსიამოვნო განცდით იწყება.  
ალბათ, იმიტომ, რომ პატარებს ეშინი-  
ათ, შინაგანი ძრნოლა უვლით, ვაითუ  
სამუდამოდ იქ დატოვონ. ეს შიში ქვეც-  
ნობიერში ძალიან ღრმად არის ჩაბუდე-  
ბული, რომელიც სიბერეში იჩენს თავს.  
საბავშვო ბაღში შიში ხელშესახებია,  
რადგან პატარა უძლურია და მთლია-  
ნად მშობელზეა დამოკიდებული. სკო-

ლის პერიოდში ეს შიში ნელდება, რად-  
გან მოზარდები უკვე დამოუკიდებლო-  
ბას სწავლობენ და თავადვე შეუძლიათ  
სახლში დაბრუნება. რაც შეეხება მე-  
სამე, უკანასკნელ პერიოდს, ადამიანი  
უბრუნდება ისევ იმ საწყისს, საიდანაც  
დაიწყო – შიში მიტოვებისა, მარტო-  
ბისა, მაგრამ უკანასკნელ შიშს თან  
უდიდესი იმედგაცრუებაც ერთვის. ის  
უფრო ცხოველმყოფელია და განცდათა  
სილრმეც განუზომელი. მოხუცებულებს  
მშობლები აღარ ჰყავთ, რომ სიბერის  
სახლში მიაკითხონ, ახლა თავად არიან  
მშობლები, მაგრამ უკვე უსარგებლონი.  
შესაძლოა, ოდესლაც თავადაც ასე მო-  
ექცნენ დაბერებულ დედ-მამას, იმათ,  
ვისი დანახვაც ყველაზე დიდ დღესას-  
წაულად მიაჩინდათ, საბავშვო ბაღიდან  
შინ დაბრუნებულებს. სამწუხაროდ და  
სავალალოდ, ეს პრობლემა მარადიულ  
პრობლემად რჩება, მხოლოდ პერსონე-  
ბი იცვლებიან.

სამანტას შვილიშვილს, დედისაგან  
განსხვავებით, მთლად არ დაუკარგავს  
ადამიანის სახე...

შემდეგი სიუჟეტი ევროკავშირის  
ქვეყანას უკავშირდება. ავტორი, მა-  
მაკაცის სახელით – ჯაკომო – და ევ-  
როკავშირის ვალუტის სიმბოლოთი  
მიგვანიშნებს, რომ საქმე იტალიურ  
დრამასთან გვაქვს. მიუხედავად იმისა,  
რომ პოეტმა, ევროკავშირის მოქალაქის  
განზოგადებული სახე წარმოგვიდგინა,  
ნიმუშად მაინც იტალია აიღო. ალბათ  
იმიტომ, რომ იქ ძალიან ბევრი ჩვენი  
თანამემამულე ემიგრანტია, რაც აისახა  
კიდეც ლექსში.

ოთხმოცდაათი წლის ჯაკომო სა-  
კუთარ თავს ესაუბრება და თავი-  
სი შინაარსიანი და მრავალფეროვანი  
ცხოვრების გახსენებით უსასრულოდ  
იმძაფრებს გულისტკივილს. სულისშემ-  
ძვრელია მისი ფიქრები, რადგან, რაც  
დათესა, ის ვერ მოიმკო, რომ უმადურ-  
მა და უგულო პირმშოებმა სრულიად  
მიივინებს და ქართველ ემიგრანტ მომ-

ვლელ ქალს შეატოვეს. ამ შემთხვევაში მწერალი ორმაგ ტკივილს უსვამს ხაზს – ცალკერძ, მარტო დარჩენილი მოხუცის დრამატიზმსა და ცალკერძ, ემიგრანტი ქართველი ქალების არცთუ სასარბიელო მდგომარეობას, საკუთარი შვილები და მოხუცებული მმობლები რომ დაუტოვებიათ სამშობლოში და, მათზე უშუალო მზრუნველობის ნაცვლად, მხოლოდ ვერბალურ-ეკონომიკური ვალდებულებებით შემოფარგლულან.



€

(ჯაკომო. 90 წლის)

პენსიის დღე. ვერასოდეს ვერ  
ნარმოიდენდი.  
მომვლელი თუ დაგჭირდებოდა...  
მთელი მსოფლიო  
მოიარე, სად არ ყოფილხარ, ანუ  
იმდენი  
იარე, რომ სხვებსაც ეყოფათ!  
კინ. ფილმები –  
აი, რასაც გადააყოლე მთელი  
ცხოვრება  
და გიყვარდა, ისე გიყვარდა...  
ოპერატორის  
ასისტენტი იყავი მხოლოდ.  
დღემდე მოგყვება  
უტკბილესი მოგონებები. მერე.  
რატომდაც,  
მიგივინყეს – რასაც თესავდი,  
ის ვერ მოიმკე...  
ემიგრანტი შენი მომვლელის  
სამშობლოშიც კი  
ნამყოფი ხარ. სადლაც გიგდია –  
ფოტოც შემოგრჩა.  
კარგად გახსოვს (შენი მომვლელი  
ედემს ადარებს)  
საბჭოეთის სამხრეთ საზღვარზე,  
ერთი პატარა  
და ლამაზი, მართლა ლამაზი,  
მისი „ჯეორჯია“.

ასეთია იტალიელი ჯაკომოს მონოს-

პექტაკლი.

ლექსის განცდათა სიღრმე არ ნელ-დება იმ მონაცემშიც, სადაც ბრიტანელი ქალბატონის მელანქოლიური ყოფაა აღნიერილი.

შარლოტა სამოცდარვა წლის – პროვინციულ ქალაქში მარტოდმარტო, ღვთის ანაბარად დატოვებული, ოდესა-დაც შთამბეჭდავი წარსულის მქონე. წარსულიდან მხოლოდ კედელზე გაკრული ჯგუფური ფოტოლა შერჩენია ტკბილ მოგონებეად, „რკინის ლედის-თან“, მარგარეტ ტეტჩერთან გადაღებული. უამინდობის დროს მოხუცი მეზობლების თავშეყრის კლასიკური სურათი – მოსაწყენ ტრადიციად ქცეული მწვანე ჩაის სმა და ამინდზე ბაასი. დამცხრალი ვნებები და გამოფიტული ემოციები. უმიზნო დროის გაყვანის ფუჭი მცდელობა და სუსტი, სადლაც გამკრთალი სიხარული მოლოდინისა – ხვალ მორეულ კონტინენტზე გადაკარგული უმცროსი ვაჟი ესტუმრება.



£

(შარლოტა 68 წლის)

პენსიის დღე. ოდნავ ქარია,  
პროვინციული  
ქალაქისათვის ქარიც კი არის  
რაღაც სიახლე,  
მეზობლები გესტუმრნენ, ხოდა,  
როგორც შიური  
შოუს ნომერს, ისე აფასებთ –  
ათბალიანი  
შეფასების სისტემით – ამინდს,  
მწვანე ჩაის სვამთ...  
ლურჯ კედელზე – ჯგუფური ფოტო  
„რკინის ლედის-თან“,  
მაშინდელი – სკოლა-კოლეჯში  
(ჩაის დაისხამ,  
სხვებსაც უსხამ) ლიტერატურას  
რომ ასწავლიდი,  
დღეს ესაა შენი ცხოვრება.  
ასე ჯდომა და

ლაპარაკი. ზოგჯერ წიგნები –  
კლასიკოსები.  
შენს ფინჯანზე, ფინჯნის კიდეზე,  
ნასმულ პომადას  
აკვირდები, უმაკიაუოდ სახლში  
ყოფნაც კი  
გეძნელება. მოუვლელობას ახლაც  
ვერ იტან...  
ხვალ ჩამოვა უმცროსი შვილი  
კონტინენტიდან.

სრულიად განსხვავებულია პენსიის  
დღე რუსეთში.

მოცემულ ეპიზოდში ბექა ახალიამ  
დაგვიხატა არა პენსიის დღის ნაცნობი  
სევდა, არამედ რუსული „დერუავნიკუ-  
ლი“ სული და ხაზი გაუსვა იმას, რომ  
რუსი, თავისი ბუნებით, დამპყრობელია  
და ასაკის მატება მის ზნეს და ხასიათს  
არ ცვლის.

ლექსის სხვა პერსონაჟებისაგან გან-  
სხვავებით, ავტორი ამ ფრაგმენტში  
ყველაზე უფრო ნაკლებ თანალმობას  
გამოხატავს (უფრო სწორად, საერთო-  
დაც არ გამოხატავს) რუსი ნიკოლაის  
მიმართ და ერთგვარი ცინიზმით და  
მამხილებელი პათოსით მოიხსენიებს  
აგრესორის სიბერის წლებს. პოეტი ქმ-  
ნის აგრესორის ხატს და, ბუნებრივია,  
არ ებრალება იგი. რუსი მოხუცებულის  
ისტორია იმითაც განსხვავდება სხვა,  
აქ ჩამოთვლილი პენსიონერთა ამბისა-  
გან, რომ წლებმა მას ვერც კეთილშო-  
ბილება შემატა და ვერც გრძნობათა  
სისათუთე. ომში მყოფი შვილიშვილე-  
ბის ბედიც არ აღელვებს. ისინი აგრე-  
სიული იდეოლოგიის ტყვებად თავად  
მან, ბაბუამ, აქცია და თუ უკრაინის  
ომში „გმირულად“ დაიხოცებიან, არა-  
უშავს, აიტანს რუსი ნიკოლაი ამას. დე  
იქ მოუკვდეს ორივე შვილიშვილი, რად-  
გან სხვა ხალხების ქსენოფონიური სი-  
ძულვილი ყველა გრძნობას აჭარბებს.

როგორც ითქვა, ბექა ახალიამ რუ-  
სი ნიკოლაის ნეგატიურ კონტექსტში  
დახატვით პირდაპირ და შეუფარავად

გაამუდავნა საღად მოაზროვნე საზოგა-  
დოების დამოკიდებულება მილიტარის-  
ტული და ოკუპანტი ქვეყნის მიმართ.



P

(ნიკოლაი. 77 წლის)

პენსიის დღე. ცოტალა დარჩა  
გაზაფხულამდე.  
ამბობენ, რომ გაზაფხულიდან  
თქვენი არმია  
„მაგ ნაცისტებს“ კისერს მოუგრებს.  
ახლაც გარბიან  
ეგ ლაჩრები თურმე ბრძოლიდან...  
აბა, ლალატი –  
ევროპისკენ ჩუმად ყურება –  
ასე მარტივად  
შერჩებოდათ?! დაიმსახურეს!  
შენი ორივე  
შვილიშვილი იქაა ახლა... ხომ  
აღარავინ  
გყავს, მათ გარდა, მაგრამ თუ რამე,  
დიდი პატივი  
არის მათთვის სამშობლოსთვის  
თავის განირვა,  
ასე ზრდიდი... ამერიკას და  
„გარყვნილ ევროპას“  
აქ რა უნდათ?! უკრაინაა თუ  
კავკასია –  
თქვენ გეკუთვნით! სულ ასე იყო,  
ხოდა, ანი რა  
უნდა მოხდეს, ასე არ იყოს?!

ჰქონდათ მცდელობა  
თქვენგან წასვლის, მაგრამ  
არასდროს ეგ არ გასვლიათ!

თურქული ლირა და ილმაზი სამოც-  
დათი წლის.

თურქი ილმაზის პენსიის დღე გა-  
ცილებით უფრო ტრაგიკულია, ვიდრე  
აქ დასახელებული რომელიმე პერსო-  
ნაჟისა. მისი მზერის არეალი ფანჯრის  
მიღმა არსებული ფერდობია და ფერ-  
დობზე – სასაფლაო. იქ ერთი კვირის  
წინ ვაჟიშვილი დამარსა, თუმც ხმამა-  
ლალი გლოვა არ ძალუძს, ამის მორა-

ლური უფლება არ აქვს, რადგან მისი პიროვნული ტრაგედია ქვეყანაში მომხდარმა უდიდესმა ტრაგედიამ გადაფარა. ამიტომაც მისი შვილი მხოლოდ მასღა ახსოვს. ქვეყანაში უდიდესი მინისძვრა მოხდა – გაუგონარი მსხვერპლით. აბა, რა უფლება აქვს ილმაზს, ვაჟი ხმამაღლა იგლოვოს. ვერავის მოახვევს თავს საკუთარ ტკივილს. ამიტომაც სიკვდილამდე უნდა ითამაშოს და ძველებურად შეიაროს ჩაიხანაში, გული გაიმაგროს და თავი დააჯეროს, რომ მისი ტკივილი სხვებისაგან არაფრით არის გამორჩეული, რადგან დღეს მასავით შვილმკვდარი მამა თურქეთში ათასობითაა.



ჭ

(ილმაზი. 75 წლის)

პენსიის დღე. წუხელი იწვიმა,  
მაგრამ დილიდან  
მზე აცხუნებს, ფანჯრის  
დაბზარულ რაფას ეყრდნობი,  
სახლებს მიღმა მოჩანს ხეები,  
იქით – ფერდობი,  
იმ ფერდობზე სასაფლაოა, ერთი  
კვირის ნინ  
ვაჟიშვილი დამარხე... ცდილობ,  
აღარაფერი  
შეიმჩნიო, ეგლა გაკლია,  
ვინმემ – ამათვის  
სეირია – თქვას, ვერ უძლებსო.  
თუმცა სიმართლე  
ის არის, რომ მართლა ვერ უძლებ...  
დაბლა ქვაფენილს  
გამვლელები მიუყვებიან და  
მინისძვრაზე  
საუბრობენ, გუშინ რომ მოხდა.  
შენი შვილი კი  
ვიდას ახსოვს. სინანული და ოდნავ  
სიბრაზეც  
გეუფლება. დიდხანს მოგინევს  
ასე თამაში,  
ითამაშებ! ჩაიკეტები?! არა,  
პირიქით –

ძველებურად შეივლი დღესაც  
ჩაიხანაში.

... და ბოლოს საქართველო.

ლექსის ავტორმა თხრობა ზესახელ-მწიფოს პენსიონერთა პრობლემებით დაიწყო და ჩვენი, ე.წ. განვითარებადი ქვეყნის მდგომარეობით დაასრულა.

ნათელა – სამოცდაცხრამეტი წლის.

ნაცნობი სურათი და ნაცნობი სოცი-ალური მდგომარეობა. ქალაქური ყოფის რუტინად ქცეული რეალისტური კადრები. საზოგადოებრივ ტრანსპორტში საკუთარი და სხვების პრობლემებით დამძიმებული, მოღუშული სახეების დანახვით გამოწვეული მელანქოლია. ნათელა ბებოს უშედეგო მცდელობა თავისი ხალხის პრობლემების ვერდანახვისა, გულის გაქვავებისა და სხვათა დარდის მარტივად გატარებისა. აღარც რა სიამეა დარჩენილი და დარდისაგან გამოფიტული ადამიანი მექანიკურად ფიქრობს მხოლოდ იმაზე, თუ როგორ გაანაზილოს მცირედი თანხა – „რამდენ რაღაცას უნდა ეყოს შენი გროშები – შენი პენსია?!”



ლ

(ნათელა. 79 წლის)

პენსიის დღე. დილა. მოთოვა.


როგორც ყოველთვის,  
ავტობუსი სავსეა ხალხით, ეს  
მოღუშული  
სახეები მოქმედებს შენზე... ვერ  
მოიშალე  
ასეთების გულთან მიტანა, ზოგჯერ  
ამართლებს –  
შემოსძახებ საკუთარ თავს, რომ  
სულ არ გეხება  
უცნობების პრობლემები და მათ  
სახეებზე  
აღბეჭდილი დარდი და ცდილობ,  
რამე ლამაზი  
ეპიზოდი, ცოტა რომ იყოს შენს  
ცხოვრებაში,

გაიხსენო... მაგრამ მალევე თვალს  
გააპარებ  
რომელიმე მგზავრისკენ, ხოდა...  
მორჩა ზღაპარი!  
მერე ითვლი (ოღონდ მშვენივრად  
იცი, ათასჯერ  
დაგითვლია, თუმცა რას იზამ,  
ნესი-წესია):  
საჭმელს, წამლებს,  
კომუნალურებს... რამდენ რაღაცას  
უნდა ეყოს შენი გროშები – შენი  
პენსია?

ასეთია ბექა ახალიას თვალით და-  
ნახული პენსიონერად ყოფნის სევდა.  
როგორც ვხედავთ, ლექსი ძალიან პე-  
სიმისტურია. პოეტი მითოპოეტური ამ-  
ბების შემქნელად კი არ გვევლინება და  
ფუჭი ოპტიმიზმის დამნერგავად, არა-  
მედ რეალისტური ყოფის ამსახველად.  
გარკვეული შეფარული სარკაზმი, რო-  
მელიც ლექსს ფონად გასდევს, იმის აქ-  
ცენტირებაა, რომ სამანტაც, ჯაკომოც,  
შარლოტაც, ილმაზიც და ნათელაც  
ჩვენი სამყაროს საერთო ადამიანურ  
ტკივილს, საერთო პრობლემას ასახიე-  
რებენ და აზოგადებენ.

ბექა ახალიას „პენსიის დღე“, შესაძ-

ლოა, ნეონატურალისტურ ნაწარმოე-  
ბად გამოაცხადოს ვინმებ. ვოლტერი-  
სა არ იყოს: „ყოველი ჟანრი კარგია,  
გარდა მოსაწყენისა“. ასე რომ, რაიმე  
სახის კლასიფიკაცია სულაც არ არის  
მთავარი. მთავარია პრობლემა, ფიქრი  
იმაზე, თუ რა სათუთი დამოკიდებულე-  
ბა უნდა გვქონდეს მოხუცებული ადა-  
მიანების მიმართ, როგორი თანალმობა  
და თანაგრძნობა უნდა გამოვიჩინოთ.  
რათა თავი მარტოსულად არ იგრძნონ.  
სწორედ ეს არის ბექა ახალიას ლექსის  
აზრობრივი შინაარსი. ამასთანავე, მწე-  
რალმა ერთი და იმავე ასაკის, ერთსა  
და იმავე სიტუაციაში მყოფი ადამიანე-  
ბის ყოფის ასახვით შეძლო მათი ეროვ-  
ნული ხასიათისა თუ სატკივრის, სო-  
ციალური ვითარების (ნათელა), ეროვ-  
ნული ბუნება-ხასიათისა და ფსიქიკის  
(ზოგჯერ გამრუდებულისაც კი – რუ-  
სი ნიკოლა) წარმოჩენა. ყველას ტკი-  
ვილი ერთმანეთისგან განსხვავებული  
და ინდივიდუალურია. საერთო ლექსის  
უმთავრესი იდეული ჩანაფიქრია – კით-  
ხვა, რომელიც ავტორმა დასვა და ასე  
ძალიან გვაწუხებს – რატომ რჩებიან  
მოხუცები მარტო? – კითხვადვე რჩება,  
პრობლემაც – თავისთავად!





## განანა ყიფიანი

### „რომე დამხსნა შეჰირვება“

(ფსიქოლოგიზმი „ვეფხისტყაოსანში“)

ფსიქოლოგიზმი ლიტერატურაში გმირების შინაგანი სამყაროს, მათი აზრების, სურვილების, განცდების ღრმა და დეტალური ასახვაა. იმისთვის, რომ ლიტერატურაში აღმოცენდეს ფსიქოლოგიზმი, აუცილებელია საზოგადოების კულტურის განვითარების საკმაოდ მაღალი დონე. მთავარი კი ამ კულტურაში არის ის, რომ ადამიანის პიროვნება აღიქმებოდეს, როგორც განსაკუთრებული ფასეულობა. ფსიქოლოგიზმი ამავე დროს არის მწერლის გარკვეული შინაგანი მდგომარეობა. მწერალი შედის პერსონაჟთა სულის სილრმეში და მკითხველისთვისაც საცნაური ხდება მათი მოქმედების მოტივაცია. ამ თვალსაზრისით, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ სავსებით უნიკალური მოვლენაა.

ამჯერად მხოლოდ პოემის მთავარი პერსონაჟების – როსტევანისა და თინათინის ღრმა ფსიქოლოგიზმით აღბეჭდილ ქმედებათა ჰერმენევტიკულ ანალიზს შევთავაზებ მკითხველს; ძირითადად ყურადღებას გავამახვილებ თინათინისაგან უცხო მოყმის საძებნელად ავთანდილის გაგზავნის მოტივზე, თუმცა ამ მოტივს რუსთაველი მკაფიოდ არ გამოკვეთს. ამ

შემთხვევაში საქმე გვაქვს მხატვრული გამოსახვის ისეთ ფსიქოლოგიურ ხერხთან, რომელსაც ლიტარატურათმცოდნეობაში „გაჩუმება“, („умолчание“) ენოდება (ფსიქოლოგიზმის ეს მეთოდი XIX საუკუნის მეორე ნახევრის მონაპოვრად ითვლება). ამ მეთოდის – „გაჩუმების“ დროს მწერალი პერსონაჟის ძლიერი ემოციურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამო თავს არიდებს მისი განწყობისა და მოქმედების მოტივაციის მკაფიო გამოხატვას („გაშიფრვას“) – აზრი, სათქმელი თითქოს არ არის დასრულებული, თუმცა მინიშნებულია; ამ დროს კიდევ უფრო იძაბება სიუჟეტი, ძლიერდება ინტრიგა, რაც ააქტიურებს მკითხველის აზროვნებას და იგი უკვე თავად ახდენს გმირის სულიერი მდგომარეობისა და მოქმედების მოტივაციის ანალიზს.

მკითხველს კარგად ახსოეს, თუ რა დროს წაადგა თავზე თინათინის გამოგზავნილი მონა-ზანგი ავთანდილს – მარტო დარჩენილი ჩინებულ ხასიათზე იყო, იმღერდა და იხარებდა, წინა ედგა ერთი ჩანგიო. სწორედ ამ დროს, მოეხსენა – „გიბრძანებსო ტანი ალვა, პირი მანგი“.

უკვე დაწყებულიყო ავთანდილისთვის სანეტარო წუთები; „ადგა და კაბა ჩაიცვა მჯობი ყოვლისა ჭრელისა“; „მჯობი“ ამბობს პოეტი და ჩვენც წარმოგვიდგება თავისი სამოსის წინ წამით შეყოვნებული ავთანდილი – რომელი ჩაიცვას? რომელი და „მჯობი ყოვლისა ჭრელისა!“ ახლა აღარ არის საბრალო ავთანდილი, ახლა „არვისგან რცხვენოდა“, თავისუფლად ნახავს მას, „ვისთა ვამთაგან ცრემლი მრავალჯერ სდენოდა“.

ლალი და უკადრი, „მჯობი ყოვლისა ჭრელისა“ კაბაში გამოწყობილი ავთანდილი თინათინის წინამე წარსდგა. მის-თვის ყველაფერი ნათელშია: ნათელშია თინათინი თავისი მსუბუქი სამოსით, თეთრ ყელზე დაყრილი ნაწნავებით, მოშლილი რიდითა და შავი წამნამებით, მაგრამ აი, ქუში რომ არის, „დაღრეჯით მჯდომარე“, მოწყენილი და სევდიანი, ამას ვერ ამჩნევს. თავად ავთანდილს კი კარგად ხედავს თინათინი, მოზემესა და ანთებულს... „ავთანდილს უთხრა დაჯდომა წყნარად, ცნობითა მშვიდითა“... ავთანდილიც მონის შეთავაზებულ სელზე კრძალვითა და რიდით ჩამოჯდება – „პირის-პირ პირსა უჭვრეტდა სავსე ლხინითა დიდითა...“. უყურებს თინათინი ლხინით სავსე ავთანდილს და გრძნობს, როგორ აფრქვევს გარშემო სასიცოცხლო ძალებს... რა ბედნიერია ავთანდილი... ავთანდილი კი, სელზე კრძალვით ჩამოჯდარი, სუნთქვაშეკრული, მისჩერებია მშვენებას და, მართლაც, ბედნიერებისაგან გარინდულა. როგორც იქნა, თინათინმა ბაგენი გახსნა:

„...ზარი მლევს მე ამისისა თხრობისა, მწადდა არა თქმა, რომლისა ღონე არა მაქვს თმობისა...“ არა! ყური უკეთ უნდა დაუგდოს ავთანდილმა თინათინს, რაღაცაზე ლაპარაკი უჭირს ქალს... „მაგრა იცია მიზეზი შენისა აქა ხმობისა, რად ვზი ქუშად და დაღრეჯით ასრე მიხდილი ცნობისა?“ – ეკითხება თინათინი. რაშია საქმე? ხომ არაფერი გამოეპარა ავთანდილს? ვაჟი დაიბნა. ქალი კი პასუხს ელის... რა უნდა

იცოდეს ავთანდილმა? მან არა თუ ის იცის, „დაღრეჯით“ რად ზის თინათინი, არამედ ისიც ვერ შენიშნა, რომ „დაღრეჯით“ ზის. ამიტომ პასუხი გულახდილი სჯობს: „აზრად არად აღარა მცალს, თავი ჩემი მეგონების, თქვენვე ბრძანეთ, რაცა გიმძიმს, ანუ რაცა გეკურნების!“ ავთანდილი წამიერად მიხვდა, რომ მარტო დარდის გასაზიარებლად არ იხმო თინათინმა, „რაცა გეკურნებისო“ – ტყუილად არ წამოსცდა არაბე-თის სპასპეტს.

თინათინიც მიხვდა, რომ რაღაც მის-თვის გაუგებარი უთხრა ვაჟს. მართლაც და საიდან უნდა იცოდეს ავთანდილმა, რა სჭირს თინათინს? და მიუხედავად ამისა, ქალი უცებ გახალისდა, მოულოდნელად კეკლუც-სიტყვაობაზე გადავიდა. „ქალმა უთხრა საუბარი კეკლუც-სიტყვად, არ დუხტირად“, რატომ გახალისდა წამის წინ ქუშად მჯდომი თინათინი? ეტყობა, რაღაც ისეთი უთხრა ვაჟმა, რომ უეცრად შვება იგრძნო, იქნებ „რაცა გეკურნებისო“ ბოლოს რომ წამოსცდა არაბეთის სპასპეტს?

იტყვის: „თუცა აქანამდის ჩემგან შორს ხარ დანამჭირად! მიკვირს, მოგხვდა წამის ყოფად საქმე შენგან საეჭვი რად, მაგრა გითხრა პირველ ხვალმე, სენი მე მჭირს რაცა ჭირად“ – დასძენს ბოლოს თინათინი.

სენი? სენი და თინათინი? თანაც ჭირად აკიდრებული?

ყველაფერს ელოდა ავთანდილი, ამის მეტს... თინათინი სენს შეუპყრია, მისდა ჭირად, მისდა შესაწუხებლად, ამიტომაა მოწყენით, „ქუშად“, მაგრამ რა ჰქვია ამ სენს?

„გახსოვს, ოდეს შენ და როსტანს...“ – დაინყო მძიმედ ქალმა და ჩვენც უნდა გავიხსენოთ ყველაფერი დაწვრილებით.

●

როსტევანმა ნატვრა აისრულა – ერთადერთი მემკვიდრე ტახტზე დასვა, მართალია, მისი სიტყვა მის სახელმწიფოში კანონი იყო, მაგრამ მაინც ფარული შიში ჰქონდა, ქალს რომ ამეფებდა.

ვინ იცის, რა წინააღმდეგობას შეიძლებოდა წასწყდომოდა. მართალია, ვეზი-რები უსიტყვოდ დაეთანხმნენ, მაგრამ ყველა ერთნაირად ამართლებდა მეფის საქციელს? აკი წასძლია კიდეც სულმა მის უპირველეს ვეზირს, სოგრატს და როსტევანს ახლადგამეფებულ თინათინზე აშკარა აუგი უთხრა:

„დაგიღრუჯია, მეფეო, აღარ  
გიცინის პირიო.

მართალ ხარ; წახდა საჭურჭლე  
თქვენი მძიმე და ძვირიო,  
ყველასა გასცემს ასული თქვენი;  
საბოძვარ-ხშირიო;  
ყოლამცა მეფედ ნუ დასვი! თავსა  
რად უგდე ჭირიო?“

ასე რომ, როსტევანმა ერთი დიდი საქმე მოითავა; სიცოცხლეშივე თავისი ასულის ტახტზე ასვლა იხილა. ეჩქარებოდა როსტევანს ეს ყველაფერი. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ერთი სული ჰქონდა, სანამ ამ ტვირთისგან გათავისუფლდებოდა. მის რჩევა-დარიგებასაც რაღაც უკანასკნელი საქმიანობის ელფერი აძევს. კიდევ ერთი დღე მოილენს სხვებთან ერთად როსტევანი და მეორე დღეს მოიწყენს, ისე მოიწყენს, რომ ეს ყველასთვის საცნაური გახდება.

იმის დარდი, რომ ვაჟი არ ჰყავდა, რომელიც მისგან სამამაცო ზნეს ისწავლიდა, როსტევანს აქამდეც უნდა ჰქონდა განელებული. ყოველ შემთხვევაში, ლხინის მეორე დღეს „დაღრუჯილობის“ მიზეზად არ უნდა ქცეოდა. თინათინის გამეფებამდე როსტევანს ქვეყნის საფიქრალი ჰქონდა. გამეფების შემდეგ კი, როდესაც მიზანს მიაღწია, თავისი დაუნებურად წამოშალა დარდი – დარდი იმისა, რომ მისი მჯობი ვაჟეცი მთელ სამეფოში არავინ იყო, – „ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე წაზარდობითა“ მისთვის ნუგეში არ აღმოჩნდა. იქნებ როსტევანს ეს დარდი რომ არა, სხვა საფიქრალი მოეძალებოდა, რომელიც ასევე დაასევდიანებდა? ხომ არ დასჩემებოდა „ჭირთა უფრო ძნელ“ სიბერეში სელმწიფეს მელანქოლიური განწყობი-

ლებანი, რომელიც ხან „აქ“ და ხან „იქ“ იჩენდა თავს?

წადირობისას ავთანდილის მიერ სამამაცო ზნის აგრერიგად ჩვენებამ როსტევანი ჩინებულ ხასიათზე დააყენა:

„მეფესა ესე ამბავი უჩს, ვითა მღერა  
ნარდისა,

უხარის ეგრე სიკეთე მისისა განა  
ზარდისა,

აქვს მიჯნურობა ამისა, ვითა  
ბულბულსა ვარდისა,

სიცილით ლალობს, მიეცა გულით  
ამოსვლა დარდისა“.

ამ ეტაპზე როსტევანი იოლად გათავისუფლდა გულში ჩასული დარდისაგან, მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა მისი სულიერი შვება. უცხო მოყმის გამოჩენამ ჩააშხამა მეფეს ნადირობით გამოწვეული სიხარული. შეიძლება ითქვას, ნამდვილი უბედურება დაატეხა თავს. როსტევანმა თვალისდახამხამებაში დაკარგა სიხარულით მიღწეული სულიერი წონასწორობა, სასოწარკვეთილმა ამოიძახა: „ვნახეო მიზეზი ლხინთა ლევისა“.

ბოლოს და ბოლოს რა მოხდა?

ვიღაც უცხო, ღრმა სევდა-მწუხარებაში ჩაძირულმა მოყმემ, ყური არ ათხოვა მეფის თხოვნას, მეახლეო. მერე როცა გონისმოსულმა იარაღიანი ხალხის ალყა დაინახა და წასვლა „გაუჭირდა“ – „მონათა ხელი გამართეს მის ყმისა შესაპყრობელად“ – მათრახით გაითავისუფლა თავი; მისთვის ჩვეული ხელის მოქნევა სხვისთვის ჩეხვთა და სიკვდილით დამთავრდა. ყველა მეფეს განარისხებდა და დააღლონებდა ეს ამბავი, მაგრამ არა ისე, რომ ეს სიტყვები წარმოეთქვა: „ვნახეთ მიზეზი ლხინთა ლევისა“. ამით თითქოს როსტევანმა ის განაცხადა, ეს მიზეზი ლხინთა ლევისა არცერთ სხვა მიზეზს არ შეედრება, მათ შორის არც წინასო – „კაცი არ არის, სითგანცა საბრძანებელი ჩვენია, რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცონი ზნენია“, ეს წამდვილი მიზეზია, არ გეგონოთ მისგან ასე იოლად გავთავისუფლდეო:

„ბრძანა: ღმერთსა მოეწყინა

აქამდისი ჩემი შვება,  
ამად მიყო სიამისა სიმწარითა  
დანაღვლება,  
სიკვდილამდის დამანყლულა,  
ვერვის ძალუც განკურნება  
მისვე მადლი! ესე იყო წადილი და  
მისი ნება".

განა რა მოხდა ისეთი, რომ როსტევანმა ასე მწარე დასკვნები გააკეთა – სიკვდილამდე აღარაფერი გამახარებსო. აგერ არაბეთის სპასტეტი სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებს, საერთოდ არ აღელვებს ეს ამბავი, ყოველ შემთხვევაში, შორიდან ასე ჩანს. როსტევანმა კი სწორედ სულიერი წინასწორობა დაკარგა. ვერც იმან დაამშვიდა, თავის თავს რომ გადაუწყვიტა, ღმერთის ნებაა ყოველივეო, ნადირობის შემდგომი ლხინი მოშალა და სასახლეში დაბრუნება ბრძანა; „ზოგთა თქვეს თუ: „მართალია“, ზოგი ღმერთო, უზრახვიდა“.

რას უზრახვიდა ზოგი? რა იგულისხმა პოეტმა ზრახვაში? (თანაც, ღმერთო, მაპატიე, ამას რომ ვამბობო). რა იბუზლუნა დაშლილი ხალხის ნაწილმა? რაში დაადანაშაულა როსტევანი? ამ მომენტს ტყუილად არ აღნიშნავდა რუსთაველი. ე.ი. როსტევანის საქციელს რაღაც უცნაურობა ახლდა. ამ კათხვებზე თავად ავთანდილი გვპასუხობს ცოტა მოგვიანებით, როდესაც ტარიელსა და ასმათს უყვება იმავე ამბავს; შენთან შეხვედრის შემდეგ, – ეუბნება ავთანდილი ტარიელს, – როსტევანს ჭმუნვა შეექნა, თქვენც იცით, ხელმწიფე ნებიერიაო. მაშ ავთანდილიც იმავეს ფიქრობს, რასაც დაშლილი ხალხის ნაწილი?! – ნეტა რა დაემართა ასეთი როსტევანს, ხასიათი რომ გაიფუჭა და ლხინი მოშალა, ახირებაა და მეტი არაფერიო – ხელმწიფე ნებიერიაო.

სხვას რაც უნდა, ის ეფიქრა, როსტევანისთვის კი სიცოცხლემ აზრი დაკარგა:

„მეფე საწოლს შემოვიდა სევდიანი,  
დალრეჯილი,  
მისგან კიდე არვინ შეჰყვა,  
ავთანდილ უჩს ვითა შვილი,

ყველაკაი გაიყარა, ჯალაბი ჩანს  
არ-დაჯრილი,  
გაბედითდა სიხარული, ჩაღანა  
და ჩანგი ტკბილი".

ცოტა ხანში თინათინმა მოაკითხა. მოახსენეს, უცხო მოყმეს გადაეყარა და „დალრეჯით ზის, სჭირსო ფერ-შეცვლილობა“. ქალი მოერიდა მწუხარე მამის შეწუხვებას. ეს კი დაიბარა: „მიკითხოს, ჰკადრე: იყო-თქო აქა ერთითა წამითა“. თინათინი შეფიქრიანებული გაბრუნდებოდა უკან. რაღაც ხანმა რომ გაიარა, როსტევანმა სასიცოცხლო ხმები გამოსცა, ქალი გაახსენდა თავისი, ერთადერთი შვება და ნუგეში:

„...ნეტარ რასა იქმს ქალიო,  
ჩემი ლხინი და ჯავარი, ჩემი  
სოფლისა წყალიო“  
მოლარემ ყველაფერი მოახსენა:  
„უბრძანა, თუ: „ნადი უხმე! უმისობა  
ვით გავძლეო?“  
მოახსენე: „რად დაპერუნდი შენ,  
მამისა სიცოცხლეო?

მოდი, ჭმუნვა გამიქარვე, გულსა  
ნყლულსა მენამლეო,  
გითხრა ჩემი სამიზეზო, მე თუ  
ლხინთა რად დავლეო“. როსტევანმა თინათინს, ყველაფერი დაწვრილებით უამბო, ბოლოს კვლავ თავისი მწარე დასკვნები მოახსენა:

„უცილოდ ღმერთსა მოვსძულდი  
აქამდის მე მხიარული...  
ტკბილნი მისნი წყალობანი ბოლოს  
ისრე გამემწარნეს,  
დამავიწყდეს, რაცა დღენი  
მხიარულსა წამეარნეს,  
ყოვლმან პირმან ვაგლახ მიყოს,  
ვეღარავინ მინეტარნეს,  
სადამდისცა დღენი მესხნენ,  
ვეღარამან გამახარნეს!“

თინათინს უნდა გასჭირვებოდა მამისაგან ასეთი სიტყვების მოსმენა, მაგრამ ახალი საკუთარი განცდების დრო არ იყო, ახლა მას მამისთვის სწორედ ის სიტყვა უნდა ეთქვა, რომელიც დაამშვიდებდა:

„ჰე მეფე! რად ემდურვი ანუ

ლმერთსა, ანუ ბედსა? რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მხედსა? ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?“

მაგრამ ეს სიტყვები ვერ დაამშვიდებს როსტევანს. იგი მთელი არსებით მისცემია დარდს, იგი ისეთ სევდას შეუპყრია, რომლის ბრჭყალებიდან თავდახსნაც არც ისე იოლია. თინათინმა კი ყველა საშუალებით უნდა უშველოს მამას, თუნდაც ეს ტყუილი იყოს, თვალთმაქცობა, მთავარია, ხელმწიფე დამშვიდეს; თინათინი სამოქმედო გეგმას სთავაზობს მამას:

„გაგზავნე კაცი, ყოველგნით მისთა ამბავთა მცნობელი, ადრე სცნობ, არის იგი ყრმა შობილი, თუ უშობელი.“

ეს უკვე მოქმედება. ჯერ ერთი გაურკვევლობის განცდას მოლოდინის განცდა ცვლის. ეს რამდენადმე უფრო იოლი ასატანია. თუ როსტევანისთვის თინათინის ამ სიტყვებამდე არავითარი პერსპექტივა არ არსებობდა, ამის შემდეგ პერსპექტივა ჩნდება – მან შეიძლება შეიტყოს უცხო მოყმის ამბავი. რა ამბავი შეიძლება შეიტყოს როსტევანმა უცხო მოყმეზე? – თუ ძე ხორციელია, რაღაცას მაინც გაიგებს მის შესახებ და ცოტას დამშვიდდება, შეურაცხყოფის გრძნობაც გაუვლის. თუ ეშმა? ამას იგი მანამდეც ხომ ფიქრობდა, ლმერთმა ეშმა გამომიგზავნა საწამებლად, ჩემი მხიარულად ყოფნა მობეზრდაო! ხომ შეიძლება, როსტევანი ამაში უფრო დარწმუნდეს და კიდევ უფრო გაუძლიერდეს სევდა? მას უცხო მოყმის, როგორც ძე ხორციელის, ამბის შეტყობა სურს. თინათინმა მარჯვე ხერხს მიმართა (რომ ეს ნამდვილად ხერხი იყო, ამაში ჩვენ შემდგომა ამბებმა დაგვარწმუნა). მოლოდინის გრძნობამ როსტევანს სევდა შეუმსუბუქა, მისი სულიერი არსებობა გასაძლისი გახადა. ერთი წლის თავზე კი მთლიანად განკურნა. ბოლოს როსტევანი ასკვნის, ნამდვილად ეშმა იყოო,

მაგრამ ეს მას უკვე აღარ აღელვებს: „მეფე ბრძანებს: „მართალი იყო ასული და ჩემი ძეო, ვნახე რამე ეშმაკისა სიცუდე და სიბილნეო, ჩემად მტერად წამოსრული, გარდმოჭრილი ზეცით ზეო, გამიშვია შეჭირვება, არა მგამა ყოლა მეო“. „ესე თქვა და სიხარულით თამაშობა ადიადა. მგოსანი და მუშაითი უხმეს, პოვეს რაცა სადა, დია გასცა საბოძვარი, ყველა დარბაზს შემოხადა, მისი მსგავსი სიუხვითა ღმერთმან სხვამცა რა დაბადა!“

რა გაიგო როსტევანმა თავისი სევდის შესახებ ახალი? მაშინაც ხომ ასე ეგონა, ღმერთმა ეშმა გამომიგზავნაო? რა შეიცვალა? – არაფერი. საქმე ის არის, რომ პირველად ალმოცენებული მწუხარება ფსევდო-მწუხარება იყო და მისი გაქარვება შეიძლებოდა. ეს თინათინმა კარგად იცოდა, იცოდა, რომ ეს აკვიატებული ფიქრი იყო მოხუცი მამისა და თუ მარჯვედ მოიქცეოდა, გაუნელებდა ამ ფიქრს. აკი გაუნელა კიდეც: ერთი წელინადი მოლოდინში ამყოფა და ამით მოარჩინა. ღრმა დეპრესიაში ჩავარდნილი როსტევანის ძალები კვლავ გააცოცხლა და სამოქმედოდ დაძრა. წლის თავზე ყველაფერი წესრიგში იყო. ვეღარანაირი ამბავი უცხო მოყმის შესახებ ვეღარ დაურღვევდა როსტევანს სულის სიმშვიდეს. ყველაფერი გადახარშული იყო რიგიანად. ამ პროცესს თინათინი თვალს ადევნებდა. იგი მისი მამის შვილი იყო, მის გენს ატარებდა და იცოდა, რა შეიძლებოდა, გასჭირვებოდა მის სისხლსა და ხორცს.

თინათინმა კი მოარჩინა როსტევანი უცხო მოყმის სენისაგან, მაგრამ თავად?..

ახლა კი ისევ თინათინსა და ავთან-დილს დავუბრუნდეთ.

ავთანდილი სელის სკამზე მოწინებით

ჩამომჯდარი ყურადღებადაა ქცეული. თინათინი კი მძიმე სათქმელისთვის ემზადება:

„გახსოვს, ოდეს შენ და როსტანს  
მინდორს მხეცი დაგხხოცა,  
ყმა გენახა უცხო ვინმე, რომელ  
ცრემლი მოეხოცა?  
მას უკანით გონებამან მისმან ასრე  
დამამხოცა,  
შენ გენუკვი მონახვასა, კიდით კიდე  
მოლახო ცა“.

მას უკანით გონებამან მისმან ასრე დამამხოცაო... რა დაემართა თინათინს? ასე გონივრულად წარმართა მამის საქმე, ყველაფერი კეთილად დასრულდა. მას ხომ არ უნახავს ის უცხო მოყმე? ნუთუ ეს მხოლოდ ცნობისწადილია? თუ მხოლოდ ცნობისწადილია, რატომ არქევს „სენსა“ და „ჭირს“? რატომ წუხს ამაზე? ხელმწიფურ ცნობისწადილს ხელმწიფურად განაცხადებდა პირდაპირ, ყოველგვარი მიხვეულ-მოხვეულის გარეშე და ჯარისკაცულ დავალებასაც მისცემდა ავთანდილს, არაბეთის სპასპეტს – მაგრამ აქ კი ეუბნება, „შენ განუკევო!..“ მაგრამ თხოვნაც არის და თხოვნაც! იქვე დააყოლებს, კიდით-კიდე მოლახო ცაო – დავალება ნათელია, რადაც უნდა დაუჯდეს, ავთანდილმა უცხო მოყმე უნდა იპოვოს. თინათინისათვის ესაა მთავარი სათქმელი, ავთანდილისთვის კი სხვა რამ აღმოჩნდება მთავარი, იმ „სხვას“ თინათინი მეტად ნაჩეარევად და ამავე დროს მშვიდად გაუმჯღავნებს:

„აქანამდის ნაუბარსა თუცა ვერას  
ვერ გეტყვია,  
მაგრა შორით სიყვარული შენგან  
ჩემი შემიტყვია,  
ვიცი, რომე გაუწყვეტლად  
თვალთათ ცრემლი გისეტყვია,  
შეუპყრიხარ სიყვარულსა, გული  
შენი დაუტყვია“.

შემდგომ ავთანდილი გონზე მოსვლას ვერ ასწრებს, რომ თინათინი უცებ გადადის იმის დასაბუთებაზე, თუ რატომ ავალებს სწორედ მას უცხო მოყმის მოძებნას. ეს დასაბუთებაც მშრალი და

საქმიანია. ყველაფერ ამის უკან ერთა-დერთი სურვილი დგას – აუცილებლად მონახოს უცხო მოყმე.

ახლოს იყოს თუნდაც შორადო – ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვას სთხოვს თინათინი ავთანდილს. თინათინს თავისი დავალების შესასრულებლად სწორედ ისეთი კაცი სჭირდება, ვინც როსტევანის კაცებივით ტყუილა კი არ ივლის ერთ წელიწადს ამბის გაუგებლად, არამედ მთელ ქვეყანას შეძრავს და უკან ხელცარიელი არ დაბრუნდება, ასეთი კი მხოლოდ ავთანდილია, მისი მიჯნური; მაგრამ ავთანდილი ხომ არაბეთის სპასპეტიცაა, ამას თინათინი არ დაგიდევთ, იმდენად მთავარია მისთვის მიზანი – უცხო მოყმის მონახვა თინათინისათვის სასიცოცხლო მოთხოვნილებად ქცეულა:

„შენგან ჩემი სიყვარული ამით  
უფრო გაამყარე,  
რომე დამხსნა შეჭირვება, ეშმა  
ბილწი ასაპყარე“.

ამ „შეჭირვების“ დახსნისა და „ეშმაბილწის“ დასაპყარების შემდეგ თინათინისათვის ცა გაიხსნება. ახლა მის გულს მძიმე ღრუბლები რომ შემოსწოლია, მერე სულ ია-ვარდი აუყვავდა. თანაც ამ იასა და ვარდს ავთანდილი დარგავს საიმედოდ მისი გულის გარშემო:

„მერე მოდი, ლომო, მზესა,  
შეგეყრები, შემეყარე“.

სულის ზეიმის საოცარ სურათს უხატავს თინათინი ავთანდილს, მაგრამ ჯერჯერობით თინათინს არ ეზეიმება, ჯერ „ეშმა-ბილწი“ უნდა ასაპყაროს ავთანდილმა, „შეჭირვება უნდა დახსნას“. ვის გულისხმობს „ეშმა-ბილწში“ თინათინი?

ეშმა-ბილწში რომ იგი უცხო მოყმეს არ გულისხმობს, ეს ნათელია: – „სამსა ძებნე წელიწადსა იგი შენი საძებნარი;

ჰპოვო, მოდი გამარჯვებით,  
მხიარულად მოუბნარი;

ვერა ჰპოვო, დავიჯერებ, იყო  
თუ-რე უჩინარი;

კოკობი და უფურჭვნელი ვარდი  
დაგხვდე დაუმჭნარი“.

„ვერა პპოვებ, დავიჯერებ, იყო თურმე უჩინარიო“ – ე.ი. როდესაც ავთანდილს აგზავნის უცხო მოყმის საძებრად, დარწმუნებულია, რომ იგი ძე ხორციელია. აი, ავთანდილი თუ ვერ იპოვის, მაშინ დაიჯერებს, რომ ეშმა იყო.

თინათინი გაუჩუმდა მამის მცდარ დასკვნებს. მისთვის მთავარი სიმართლე კი არ იყო, არამედ ის, რომ როსტევანი დამშვიდდა, მაგრამ თავად რაღა დაემართა? რა შეჭირვებაა თინათინისთვის უცხო მოყმე? რატომ ვერ დაამშვიდა იგი იმან, რამაც როსტევანი დაამშვიდა? ვის გულისხმობს ეშმა-ბილწი?

თინათინი ეშმას მის სულში ჩამძვრალ უცნაურ ფორიაქს უწიდებს; მან იცის, რომ უცნაური რამ სჭირს, სწორედაც რომ შეჭირვება. თინათინი გონიერი ქალია და იცის, რომ უცხო მოყმის გამოჩენა მისთვის ასე აკვიატებულად სადარდებელი არ უნდა იყოს, მაგრამ ედარდება კი. იგი ისეა შეპყრობილი თავისი უცნაური განწყობილებით, რომ თვლის, რომ ეს ნორმალური სულიერი მდგომარეობა არ არის, რომ ეს მას არ უნდა „სჭირდეს“, რომ მის სულს ეშმა დაუფლებია, ამას ეძახის იგი შეჭირვებას, ამისგან განთავისუფლება სურს, განთავისუფლება კი შესაძლებელია მხოლოდ რაიმე ამბის შეტყობით ამ უცხო მოყმები.

დავუშვათ, რომ ეს მხოლოდ აკვიატებული ფიქრია ამ უცნაურ კაცზე; ხომ შეიძლება თინათინი დღედაღამ ფიქრობდეს მასზე და ეს ანუხებდეს მხოლოდ, მაგრამ ტყუილად ეს ფიქრი არ შეანუხებდა, გამორჩეული შინაარსი რომ არ ჰქონდეს.

დავუშვათ კიდევ ერთხელ, რომ ეს მხოლოდ ხელმწიფური ინტერესია. თინათინს, მეფეს, აინტერესებს, ვინ დაარღვია მისი სახელმწიფოს საზღვარი, რომ ხვალ არ მოვიდეს და უარესი საქმე არ ჩაიდინოს. თინათინი ამაზე უსათუოდ ფიქრობს, მაგრამ მხოლოდ ხელმწიფუ-

რი მშრალი ინტერესით არა. მაშინ ამ ინტერესს უფრო საქმიანი იერი ექნებოდა და არა ფმუნვისა, სენისა.

ამ შევედრისას თინათინი პირდაპირ შველას სთხოვს ავთანდილს. – „ვერა პპოვებ, დავიჯერებ, იყო თურმე უჩინარი“. დავიჯერებო, ახლა კი არა მჯერაო, ჩემს თავს ვერ მოვრევივარ, ძალიანაც მინდა, რომ დავიჯერო, მაგრამ არ მჯერაო. ძე არის ხორციელი, ფიზიკურად არსებობს ბუნებაში, მისი ამბავი უნდა შემიტყოო.

რა შინაარსი ჰქონდა უცხო მოყმეზე ფიქრს?

ეს ფიქრი არ იყო უბრალო ფიქრი, იგი „რაღაცას“ ახლდა და ეს „რაღაცა“ აწუხებდა სწორედ თინათინს. ეს „რაღაცა“ კი იყო შიში – რატომ შეიძლება ეგრძნო „შიში“ თინათინს?

გამოჩენდა ვიღაც უცხო მოყმე, რომელმაც მეტად უცნაური საქციელი ჩაიდინა. ეტყობა, რაღაც არანორმალური ძალის პატრონია – მიფანტ-მოფანტა როსტევანის მონები, იმ როსტევანისა, მისი მამისა და უფლისა, რომელსაც მთელი არაბეთი მორჩილებს. ამ ამბავმა მისი უძლეველი მამა მეტად დააღონა; ლამის სიცოცხლეზე ხელი ააღებინა. უძლეური აღმოჩენდა მის ნინაშე არაბეთის სპასპეტიც. რაღაცნაირი დაუცველობის შიში იგრძნო თინათინმა, ქალური შიში, მერე რა, რომ მთელი არაბეთის მეფეა, უზარმაზარი ჯარი მორჩილებს, მეფე მამაც თავზე ადგას და ავთანდილიც მხარს უმშვენებს; ხომ გამოჩენდა ვიღაც, რომელმაც ყველას აჯობა... თინათინი რომ ტახტზე არ იჯდეს და მამის კალთას იყოს ამოფარებული, ეს ამბავი ალბათ მეორე დღესვე თუ არა, მოკლე ხანში მაინც დაავიწყდებოდა. ახლა კი ტახტის მფლობელია, ეს ქვეყანაც მისი საპასუხისმგებლოა, თავად უნდა იყოს ყველას პატრონი... უცხო მოყმემ თავისი გამოჩენით მოარღვია ის ძლიერი ჯავშანი, რომელშიც გამოკრული იყო ის, მისი მამა და მთელი არაბეთი... ქალის სულში შიში ჩაძვრა. სწორედ ამას გაუჩუმდა რუსთაველი. თინათინი იმასაც

გრძნობს, რომ ეს შიში და ფორიაქი შეიძლება უსაფუძღლოც იყოს, „მუნ შეეშინა შიში, სადა იგი არა იყო შიში“ – როგორც დავით მეფსალმუნე იტყვის, მაგრამ რა ქნას, თუ თავს ვერ ერევა? ამიტომ ეძახის იგი თავის სულიერ მდგომარეობას შეჭირვებას, სენს. ამიტომაა იგი ეშმას საქმე და სწორედ ამ ეშმას, ანუ შიშის მოხსნას სთხოვს ავთანდილს. რითა ეს შესაძლებელი? თინათინს ახლა ურჩევნია, ის უცხო მოყმე ემბა იყოს, ვიდრე ძე ხორციელი, მაგრამ ძე ხორციელი რომ არის? ამიტომ მის შესახებ რაიმეს შეტყობა, გაურკვევლობის ბურუსის გაფანტვა უფრო გამჭვირვალესა და იოლად დასამარცხებელს გახდის მის შიშს. რაიმეს შეტყობა კი იმ უცხო მოყმეზე მხოლოდ ავთანდილს შეუძლია – უნდა გაიმეტოს მიჯნური, უნდა გაუშვას, აი, ამიტომ იპყრობს „ზარი“ ამ ამბის თხრობისას;

უფრო ვრცლად და დაწვრილებით ალარაფერს გვეუბნება რუსთაველი, მხოლოდ ფრაზით – „ეშმა-ბილწი ასაპყარე“ – მიგვანიშნებს არაბეთის ტახტის მფლობელის სულში არსებულ ჭიდილზე, იმაზე, რასაც „პოეტური გაჩუმების“ შემდეგ თავად უნდა მიხვდეს მკითხველი. სწორედ ეს აძლიერებს მხატვრული ნაწარმოების ინტრიგას და ჩვენც თინათინივით მოუთმენმლად ველოდებით ამ ამბის დასასრულს – უცხო მოყმის ვინაობის გაგებას. მანამდე კი ეს დაძაბული მოლოდინი არანაკლებ დაძაბული სიუჟეტური პერიპეტიებით ივსება.

მართალია, თინათინი მძიმე დავალებას აძლევს მიჯნურს, მაგრამ სამაგიეროდ ისეთ ფიცს მისცემს ერთგულებისას, რომ ვკელა დანაშაულს გამოისყიდის მის წინაშე:

„ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ  
შევირთო რაცა ქმარი,  
მზეცა მომხვდეს ხორციელი,  
ჩემთვის კაცად შენაქმარი,  
სრულად მოვსწყდე სამოთხესა,  
ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი.  
შენი მკლვიდეს სიყვარული, გულსა  
დანა ასაქმარი.“

შემდეგ ავთანდილი თავის დიდ ბედნიერებას გაუმსხელს თინათინს:

„მე სიკვდილსა მოველოდი, შენ  
სიცოცხლე გამინამე,  
ვითა მონა, სამსახურად განაღამცა  
ნავე, წა, მე!“

ყველა სათქმელი ითქვა, ყველა მუხტი დაიცალა, ახლა ისინი მხოლოდ ერთმანეთისთვის იყვნენ:

„კვლა შეჰვიცეს ერთმანეთსა,  
დააპირეს ესე პირი,  
გასალდეს და გაამრავლეს, საუბარი  
სიტყვა-ხშირი,  
გაადვილდა, აქანამდის გარდეხადა  
რაცა ჭირი,  
თეთრთა კბილთათ გამოჰკრთების  
თეთრი ელვა ვითა ჭვირი“. მერე მიმავალი ავთანდილი დიდხანს იყურებოდა უკან, თითქოს იბეჭდავდაო თინათინის სახებას, „თვალთა რეტად აყოლებდა“... ის ღამეც თრთოლაში გაატარა.

„ვითა ვერხვი ქარისაგან ირხევის  
და იკეცების,  
რა მიჰლულნის, სიახლევე  
საყვარლისა ეოცების,  
შეკრთის, დიდნი დაიზახნის, მით  
პატიჟი ეოცების“. ასე დაშორდნენ ერთმანეთს თინათინი და ავთანდილი.

სამი წელი გაივლის თინათინისათვის მოლოდინის, შიშის, სინანულის და აი, მის წინაშე სიხარულით ატაცებული შერმადინი დგას – ავთანდილ მოვა წინაშე, გვადრებს ამბავსა ამოსაო. ისე გაბრწყინებულა თინათინი, რომ „მზის უთამამო“ შექნილა...

ავთანდილი მოდის, როგორც იქნა ავთანდილი მოდის, ამბავიც მოაქვს, ალბათ, მაგრამ ეს არ ალმოჩნდება უცებ მთავარი, მთავარი ის არის, რომ ავთანდილი მოდის... შერმადინი?... შერმადინი უნდა დაასაჩუქროს... „მას საბოძვარი უბოძა, მისი ყველაი დამოსა“.

ცოტა ხანს კიდევ ვერ ნახავს თინათინი ავთანდილს, ჯერ როსტევანმა უნდა იჯეროს გული მასთან სმა-ჭამითა და

მუსაიფით. ეს დღეც გაილევა. ავთანდილი თავის საწოლს მიაშურებს... „კვლა საწოლს დახვდა მის მზისა მონა სიტყვითა ბრძენითა, მისლვა ებრძანა, ეამა, თქმა არ ეგების ენითა“.

ავთანდილი თინათინის სამყოფელისაკენ დაიძრა:

„ყმა წავიდა მხიარული, ლმობიერი  
არ გამწყრალი.  
ლომი მინდორს ლომთა თანა  
მოარული, ფერ-ნამკრთალი,  
ყმა სოფლისა ხასიათი,

„ჯავარ-სრული, მრავალ-წყალი“...  
თინათინმა იცის, რომ ავთანდილი სწორედ ასეთი შევა მასთან, სხვაგვარი ვერც წარმოუდგენია... აი, გამოჩენდა კი-დეც, და ისინი კვლავ ერთმანეთის პირისპირ დგანან:

„ყრმა მხიარული წინაშე დასვა  
სკამითა მისითა;  
სხენან სავსენი ლენითა, ორთავე  
შესატყვისითა:  
უბნობენ ლალნი, წყლიანნი არა  
სიტყვითა მქისითა...“

ჯერი მთავარ სათქმელზეც მიდგა.  
თინათინმა რბილად იკითხა:  
„ჰპოვეა, პატიუნი ნახენ ძებნითა  
ვისითა?“

ჯერ თინათინმა არ იცის, ავთანდილი უცხო მოყმით რომაა შეპყრობილი, ავთანდილი ახლა ტოლსწორის პოვნითაა გაბედნიერებული, გასრულებული. არც ის იცის თინათინმა და ვერც ვერასოდეს გაიგებს, რა სიტყვები უთხრა მისმა მიჯნურმა გამიჯნურებულ ტარიელს: „ამა დღემან დამავიწყა, გული ჩემი ვინ დაბინდა; დამიგდია სამსახური მის, იქმნას, რაცა გინდა, შენ გეახლო სიკვდილამდის, ამის მეტი არა მინდა“. ისევ რბილად ისმის თინათინის სიტყვები:

„...ჰპოვეა პატიუნი ნახენ ძებნითა  
ვისითა?“

ჯერ არ იცის თინათინმა, ავთანდილი წასასვლელად რომ ემზადება, ვერა ძალა რომ ვერ დააკავებს ტარიელის საშველად დაძრულს, არადა, თინათინმა ეს ყველაფერი უნდა იცოდეს... ავთანდილი

ლის პასუხიც გაისმა:

„გპოვე ხე, ტანი ალვისა, სოფლისა  
ნელითა რნწყულისა,  
მუნ პირი, მსგავსი ვარდისა, მაგრამ  
ან ფერ-ნაკლულისა“.

თინათინმა ქალური ალლოთი იგრძნო, რომ მისი მიჯნური რაღაც სხვა, მისთვის უცხო სამყაროს ჩართვოდა... „მით ვიწვი, რათგან ჩემებრვე ცეცხლი სწვავს მოუთმინები“ – აგრძელებს ავთანდილი.

არა, ავთანდილი რაღაც გზნებას შეუპყრია, ეს უკვე ნათელია. უცქერის თინათინი ავთანდილს, უსმენს და გრძნობს, როგორ აღარ ეკუთვნის იგი მას, ავთანდილი კი აღარ ჩერდება:

„ნუ მკითხავ, ქება რა გკადრო,  
ჩემგან რა გაგეგონების?  
მისსა მნახავსა ნახული აღარა  
მოეწონების;  
თვალი მჭვრეტელი, ვით მზისა  
ციაგსა, დაელონების;  
ვარდი შექმნილა ზაფრანად, ან  
ია შეიკონების!“

ავთანდილი ახლა მას, როგორც იმ მოყმის ჭირისუფალი, ისე ელაპარაკება, ავთანდილი თინათინს კი არ დაუბრუნდა, უცხო მოყმეს გამოეგზავნა, ემოცი-ქულა თინათინთან...

რამდენი ხანია ელოდა თინათინი ამ უცხო მოყმის ამბავს, ბოლოს იქნებ მინავლდა კიდეც ეს ინტერესი, მერე მხოლოდ ავთანდილის დაბრუნებაზე ოცნებობდა... და აი, დაბრუნდა კიდეც ავთანდილი, იმ უცხო მოყმის ამბავიც ჩამოიტანა, ერთბაშად მოეხსნა ყველა შეჭირვება თინათინს, ამის ბედნიერებასაც იგრძნობდა, მაგრამ... ავთანდილს ახლა წმინდა კაცური საქმე წამოუწყია და ამ საქმესთან თინათინს ხელი არა აქვს, ავთანდილს ტოლსწორი უპოვია, მისი შველა ცხოვრების მიზნად დაუსახავს.

უსმენს თინათინი ავთანდილს და ფიქრობს იმაზე, თუ როგორ ღირსეული პარტნიორისა უნდა გაუწიოს ვაჟს. იგი სხვაგვარად ვერ ეჩვენება ავთანდილს:

„ქალსა რა ესმა ამბავი, მიხვდა

ნადილი ნებისა,  
განათლდა პირი მთვარისა, ვით  
ნათლად ნავანებისა,  
იტყვის: „რა ვუთხრა პასუხი მას  
სათხებლისა თხებისა,  
რა წამალი მისისა წყლულისა  
განკურნებისა?“

ავთანდილს დასამალი აღარაფერი  
აქვს. თინათინმა ამ შეკითხვით გზა გა-  
უხსნა:

„დრო დამიც ჩემგან მისვლისა,  
მითქვამს დადება თავისა,  
მზე შემიფიცავს თავისა, ჩემგან  
მზედ სახედავისა...“

აი, თურმე რა... ახლა ყველაფერი ნა-  
თელია. ავთანდილი კვლავ იმავე გზე-  
ბით აგრძელებს:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი  
ჭირსა არ დამრიდად,  
გული მისცეს გულისათვის,  
სიყვარული გზად და ხიდად,  
კვლა მიჯნურსა მიჯნურისა ჭირი  
უჩნდეს ჭირად დიდად...“

და როგორ დაუნდობლად ისმის მისი

ბოლო სიტყვები:

„აჟა, მაქვსმცა უმისობა ლხინი

არმად, თავი ფლიდად!“

რაღა დარჩენია თინათინს? ეს ყველა-  
ფერი უნდა შეაფასოს... მშვიდად, წყნა-  
რად დაიწყო:

„მზე ეტყვის: „მომხვდა ყოველი ჩემი  
ნადილი გულისა,  
პირველ შენ მოხვე მშვიდობით,  
მპოვნელი დაკარგულისა,  
მერმე, ზრდა სიყვარულისა გაქვს  
ჩემგან დანერგულისა,  
გპოვე წამალი გულისა, აქამდის  
დადაგულისა!

შენ არ-გატეხა კარგი გჭირს

ზენაარისა, ფიცისა.

ხამს გასრულებმა მოყვრისა

სიყვარულისა მტკიცისა,  
ძებნა წამლისა მისისა და ცოდნა

ხამს უიცისა

ჩემი თქვი, რა ვქმნა ბნელ-ქმნილმან,

მზე მიმეფაროს, მი, ცისა?“

აი, ახლა ათრთოლდა წამდვილად თი-

ნათინი სიყვარულით; მაშინ წაუცბათე-  
ვად გამოცხადებულმა გრძნობამ ვერ  
დახატა ქალი-მიჯნური; მაშინ ხელმწიფე  
ლაპარაკობდა და თანაც იმჟამად თინა-  
თინს დიდი შეჭირვება ჰქონდა, სხვა რამ  
ამოძრავებოდა. ახლა, როდესაც მთავარი  
მიზანი აისრულა, „შეჭირვება დაიხსნა“,  
გააშიშვლა წამდვილი ქალური გრძნობა –  
„ჩემი თქვი რა ვქმნა ბნელ-ქმნილმან, მზე  
მიმეფაროს, მი, ცისა?“

ერთბაშად მოეგო გონს ავთანდილი,  
თითქოს პირველად შეიგრძნოო მიჯნუ-  
რი, მიხვდა, რომ ქალისთვის თავისი უნ-  
და მიეგო. უცებ გაეხსნა სიყვარულის  
ჭრილობა, რომელიც იქ, ტარიელთან  
შეხორცებოდა გამოქვაბულში. გმინვა-  
სავით ისმის მისი სიტყვები:

„თუ გეახლო, ერთხელ ვა და რა  
მოგშორდე, ათასჯერვა!“


პირველად ამოისუნთქავდა ამ ხნის  
მანძილზე თინათინი შვებით... ახლა ავ-  
თანდილის წასვლა აღარ გაუჭირდება,  
ახლა მას ავთანდილი, როგორც მიჯნუ-  
რი, ისე ელაპარაკება:

„მაგრა, მზეო, თავი მზესა ჩემთვის  
სრულად დააგვანე!  
სიცოცხლისა საიმედო ნიშანი რა  
წამატანე!“

ქალმან მისცნა მარგალიტნი,  
სრულ-ქმნა მისი სანადელი,  
ღმერთმან ქმნას და გაუსრულდეს,  
ლხინი ესე ანინდელა!“

მერე წავა ავთანდილი, თინათინი  
მზერას აადევნებს, იგი ლალი და უკადრი  
თვალსაც მიეფარება და დარჩება თინა-  
თინი თავისი უცანური თავგადასავლით  
– წუთისოფლის ხლართებით, მიჯნურის  
მტკიცნეული მოპოვებისა და დაკარგვის  
გრძნობით და კიდევ ერთხელ გაუხმიან-  
და გულში ავთანდილისთვის ორი წუთის  
წინ წატევამი:

„საწუთრო კაცსა ყოველსა ვითა  
ტაროსი უხვდების:  
ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა  
რისხვით მოუქუბდების“. 1852



## ჰიუ გარნერი

ჰიუ გარნერი (დაბ. 22 ოქტომბერი, 1913 – გარდაცვ. 30 ივნისი, 1979) – ბრიტანეთში დაბადებული კანადელი მწერალი, ტელე და რადიოსცენარისტი.

1919 წელს მისი ოჯახი ბრიტანეთიდან კანადაში წავიდა ემიგრაციაში, სადაც ისინი დასახლდნენ და ცხოვრობდნენ ტორონტოში, ონტარიოს შტატი.

მონაწილეობდა ესპანეთის სამოქალაქო მმში, საერთაშორისო ბრიგადების რიგებში, ასევე მეორე მსოფლიო ომში, რომლის დროს მსახურობდა კანადის სამეფო საზღვაო ფლოტში.

არის ასამდე ნოველის, ჩვიდმეტი წიგნის და რადიო და ტელესცენარების ავტორი.

**გარდაიცვალა ალკოჰოლიზმით გამოწვეული დაავადებების შედეგად.**

### მემა

მოსაწვევი მისთვის ბიჭს არ მიუ-  
ცია, ბიჭის დედამ მისცა – მისმა ცოლ-  
მა. თითქოსდა ისეთი წვრილმანი იყო,  
მაგრამ ბიჭმა ამის გაკეთებაც კი სა-  
მარცხვინო საქმედ ჩათვალა და თავი  
აარიდა. ალბათ, უკვე ერთი წელი იქნე-  
ბოდა ან შეიძლება ცოტა მეტიც, რაც  
მამა-შვილი ერთმანეთს გაუუცხოვდა  
და ყოველ შემთხვევას, რომელთა გამო  
მათ ერთმანეთთან ურთიერთობა უნდევ-  
დათ, უცნაური სირცხვილისა და უხერ-  
ხულობის ელფერი სდევდა.

ცოლმა დაიკადა, სანამ ბავშვები  
ვახშმის შემდეგ სახლიდან გავიდოდნენ

– ბიჭი ბეისბოლის სათამაშოდ წავი-  
და, მისი უფროსი და კი სკოლის ეზო-  
ში, თინეიჯერ თანატოლებთან ერთად

აქეთ-იქით დარბოდა და იქაურობას  
წივილ-კივილით იკლებდა – და ქმარს  
მხოლოდ მაშინ უთხრა, რომ ჯონის  
აინტერესებდა, ხვალ სალამოს მამამისი  
მას ბოისკაუტების შეკრებაზე ხომ ვერ  
წაჰყვებოდა.

ის იყო დააპირა ეთქვა, რის სკაუტე-  
ბი, რა სკატუები, განა მე მაგის კაცი  
ვარო, რომ უცებ სათქმელი შეცვალა  
და – რა ხდებაო, იკითხა.

„მამებისა და შვილების ბანკეტია“, –  
მიუგო ცოლმა.

„კარგი და, ხომ შეეძლო თვითონ  
ეთხოვა?“

„ხომ იცი, როგორია... მოერიდა, ალ-  
ბათ“.

„მოერიდა?! მოერიდა, საკუთარი მა-

მისთვის ეთხოვა, რომ სადღაც გაჰყო-  
ლოდა?“

„რა ვიცი, ალბათ, შეეშინდა, რომ  
უარს ეტყოდი“, – სცადა ცოლმა შვი-  
ლის გამართლება.

„მოვიფიქრებ“, – უკმაყოფილოდ ჩა-  
იბურდლუნა ქმარმა, თუმცა, კარგად  
იცოდა, რომ ის ბიჭის წინაშე დავალე-  
ბული იყო და, ამასთან ერთად, ფიქ-  
რობდა, რომ ამით შესაძლოა, მათ შო-  
რის აღმართული ბარიერის გადალახ-  
ვაც მოეხერხებინა.

სულაც არ მიუწევდა გული იმ სა-  
ლამოსკენ, რომელიც იმ პროფესიონალ  
მამებთან ერთად უნდა გაეტარებინა,  
თავიანთ შვილებთან „ნაღდ ძმაკაცებს“  
რომ თამაშობდნენ. უკვე ნანახი ჰქონ-  
და, როგორ აბეზრებდნენ თავს და არ  
აძლევდნენ თავიანთ შვილებს საშუალე-  
ბას, საკუთარი ცხოვრებით ეცხოვრათ.  
მათთან ერთად ცურავდნენ, მათ ბეის-  
ბოლის მატჩებზე მსაჯობდნენ და ბავ-  
შვებს მუზეუმის ექსპონატებისა და ზო-  
ოპარკის ბინადარი ცხოველების სახე-  
ლების შესახებ არასწორ განმარტებებს  
აძლევდნენ. უჭირდა ეგეთ ხალხთან ურ-  
თიერთობა, თუმცა ეს ღონისძიება ბი-  
ჭისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ჩან-  
და და, თანაც, მსგავსი რამ წელიწადში  
მხოლოდ ერთხელ ტარდებოდა.

ჯონმა ცოტა სასმელი დაისხა და  
ტელევიზორის წინ მოკალათდა. ფიქ-  
რებში მასა და შვილს შორის არსებულ  
ცივ ურთიერთობას დასტრიალებდა  
თავს; ამაოდ ცდილობდა გაეხსენებინა,  
როდის დაიწყო ეს ყველაფერი. კარგად  
იცოდა, რომ ის ძირითადად სხვა საქმე-  
ებით იყო დაკავებული და ბიჭს ნაკლებ  
ყურადღებას აქცევდა, მაგრამ, მეორე  
მხრივ, თავს იმით იმართლებდა, რომ  
ბიჭი მხოლოდ თორმეტი წლის იყო და  
თავისთვის ყოფნა ერჩივნა.

სვამდა და თან ის დრო ახსენდებო-  
და, როცა ბიჭს ზედმეტად უხეშად ექ-  
ცეოდა, არ ელაპარაკებოდა და მოთმი-  
ნებას კარგავდა. ბრაზნარევი ზიზლით

გაახსენდა, მასწავლებელს რომ დაუ-  
ჭირა მხარი, როცა ის სკოლაში გამო-  
იდახეს და მოახსენეს, რომ მის შვილს  
კითხვაში ცუდი ნიშანი ჰქონდა. მაშინ  
სკოლის დირექტორმა გადაკვრით მი-  
ანიშნა, რომ ბიჭის ჩამორჩენილობის  
მიზეზი შესაძლოა, მათ სახლში არსე-  
ბული დაძაბული ურთიერთობები ყო-  
ფილიყო, რაც მან კატეგორიულად  
უარყო. როცა მასწავლებელმა შესთა-  
ვაზა, ბიჭი კლასში ერთი წლით დაეტო-  
ვებინათ, ის უსიტყვოდ დასთანხმდა –  
ერთი სული ჰქონდა, მათ თავს როდის  
დააღწევდა. გაახსენდა, ბიჭმა როგო-  
რი თვალებით ამოხედა, ქვედა ტუჩზე  
იკბინა და დირექტორის ოფისიდან გა-  
ვარდა. იმ დღიდან მათ შორის არსებუ-  
ლი უფსკრული, როგორც არასდროს,  
ისე გარღმავდა.

ბანკეტის ღამეს სახლში მოსვლა  
ცოტა შეაგვიანდა; რამდენიმე ჭიქა  
გადაჰკრა კლიენტთან ერთად, რომე-  
ლიც სამრეწველო ობიექტს ყიდულობ-  
და. ცოლის მიერ გაცხელებულ ვახშამს  
მარტო მიირთმევდა და თან ცოლს  
ეწუნუნებოდა – ჭამას რა აზრი აქვს,  
თუ კი ბანკეტზე მივდივარო.

„გირჩევნია ჭამო, ამ ღამეს საუკე-  
თესო ფორმაში უნდა იყო“, – არწმუ-  
ნებდა ცოლი.

„ვიქენები, ნუ ღელავ. კლიენტთან  
ერთი ორი გადავკარი. შეგიძლია პირ-  
დაპირ გამოსაფხილზებელში გამიშვა“.

აბაზანა მიიღო, წვერი გაიპარსა და  
საუკეთესო პიჯაკში გამოეწყო. მარ-  
თალია, ბოისკუტების რაზმის ხელ-  
მძღვანელები საშინლად სძულდა, მაგ-  
რამ ბიჭის გულისთვის უნდოდა, კარგი  
შთაბეჭდილება მოეხდინა. პიჯაკი და-  
უპატარავდა, პერანგის საყელო კისერ-  
ზე უჭერდა. ეს იმის ბრალი იყო, რომ  
მთელი დღე სამუშაო მაგიდასთან იჯ-  
და და ფეხით ალარსად აღარ გადიო-  
და. ომიდან რომ დაბრუნდა, გამხდარი  
და კუნთმაგარი ბიჭი იყო. ახლა უკვე  
შუახნის მამაკაცია, ჩასუქებული და სი-

მელოტისკენ წასული.

ჯონი ქვედა სართულზე ჩავიდა და ბიჭს სასტუმრო ოთახში ელოდებოდა. ცოლის მიერ დაძალებულ ვახშმამდე მიღებული სასმელი გაუნელდა; ამიტომ, საგზაოდ ერთი დიდი ჭიქა კიდევ დაისხა. მეორე სართულიდან ისმოდა დედა-შვილი, როგორც ყოველთვის, ბიჭის თმის დავარცხნის გამო როგორ ჩხუბობდნენ. ასეთი რამ ხშირად ხდებოდა, მაგრამ ამას დედა-შვილს შორის ურთიერთობა არასდროს დაუქაბავს.

ბიჭი ქვევით ჩამოვიდა. ტანზე ფლანელის ორეული და პიჯაკი ეცვა.

„შენი სკაუტის უნიფორმა სად არის, ჯონი?“ – ჰერთხა ბიჭს მამამ

„თუ არ გვინდა, ვალდებულები არ ვართ ვატაროთ“, – მიუგო ბიჭმა.

„სანაძლეოს დავდებ, სხვას ყველას ეცმევა“.

ბიჭმა მხრები აიჩერია.

„თავი დაანებე, ჯონ. უნიფორმა იმიტომ არ აცვია, რომ მხოლოდ მისი ნახევარი აქვს“, – საქმეში ჩაერია ცოლი.

ჯონმა ვერ გაიხსენა, რა ეცვა ბიჭს ბოისკაუტების საღამოზე.

„მთლიანი რატომ არ აქვს?!“ – გაბრაზებით იკითხა ქმარმა. – „ჩვენც შემნეობაზე ხომ არ ვართ? მგონი, მთლიან უნიფორმაზე რამდენიმე დოლარის დასარჯვა არ უნდა გვიჭირდეს“.

„კი ბატონო, მაგრამ გასულ შობაზე ჰოკეის ფორმა და შაშხანა რომ უყიდე, კიდევ სხვა რამის თხოვნა მოერიდა. შარვალი აქვს, ქამარიც და პერანგიც; ერთადერთი ყელსახვევი აკლია“.

„მოერიდა, რომ ეთხოვა! ამ სახლში სხვას ვერაფერს გაიგონებს კაცი. საერთოდ რა ხდება ამ ოჯახში? ღმერთმა იცის, მეზობლები ჩემზე რას ფიქრობენ“.

„რა არის აქ გასაპრაზებელი?“ – თქვა ცოლმა. – „სულ მალე მთლიანი უნიფორმაც ექნება. ამ ღამეს ის დიდად ნამდვილად არ სჭირდება“.

„უნიფორმები არც ჯიმი ეგნიუს და

არც დონ რობერტსონს არ ეცმევათ“, – ბიჭი მამის დამშვიდებას შეეცადა.

მამას ბრაზი მოერია იმის გაფიქრებაზე, რომ ბოისკაუტების რაზმის ხელმძღვანელს შეიძლება ის ძუნწად ჩაეთვალა, რადგან ბიჭს უნიფორმა არ უყიდა. ალბათ, თავის ასისტენტებს ეტყოდა კიდეც: „პატარა ჯონი პერსელის საქმე ვერ უნდა იყოს კარგად. უკვე ოთხი თვემა, რაც ის ჩვენთან დადის და უნიფორმა ჯერ კიდევ არ აქვს“. ჯონს მადა დაეკარგა, როცა ბოისკაუტების რაზმის ხელმძღვანელები წარმოიდგინა – ის ორი ახმახი დედიკოს ბიჭი მოკლე შარვლებში რომ დარბოდნენ და ხის მჭრელებს რომ თამაშობდნენ.

„მისმინე, ჰელენ, ღვთის გულისათვის, ხვალვე წაიყვანე ბავშვი ქალაქში და უყიდე ბოისკაუტის დანარჩენი ტან-საცმელი. არ მინდა იმ გამოთაყვანებულებმა, ეკლესიაში რომ დადიან, იფიქრონ, რომ ბიჭისთვის ტანსაცმლის ყიდვა მენანება“.

ეგონა, ამის თქმაზე მის შვილს სახე გაუბრნებინდებოდა, მაგრამ ჯონი კარებში იდგა და უაზროდ იყურებოდა. ზუსტად ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, როცა ის დედ-მამის ჩხუბს უყურებდა ან როცა მთვრალ მამას შვილთან, როგორც „კაცს კაცთან“, დალაპარაკების საღერღელი ეშლებოდა.

სახლიდან რომ გავიდნენ, ჯონმა გაიგონა მისმა ქალიშვილმა როგორ მოაძახათ, – „მადლობა ღმერთს, რომ ამ საღამოს მაინც დაგვანებებენ თავს!“, რასაც დედა-შვილის ხმამაღალი სიცილი მოჰყვა. ამ სიტყვებმა ჯონი ფრიად გააღიზიანა, რადგან კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ მსგავსი რამ საკმაოდ იშვიათი მოვლენა იყო.

ქუჩაში რომ გავიდნენ, კაცმა ბიჭისკენ მზერა მალულად გაპარა და გული სიამაყით აევსო. ყველა იმას ამბობდა, რომ შვილი მამის ალიკვალი იყო, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. თანაც, ორივეს ერთნაირი სახელი ერქვათ. მა-

მობა ხომ ცხოვრების გვირგვინი იყო, ის, რაც, ალბათ, ბიბლიაშიც იგულისხმა იმ კაცმა, ვინც ხელახლა უნდა შობილიყო. ამას კი ფიქრობდა, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ მისი ასეთი გულისამაჩუყებელი სენტიმენტალობა, არც მეტი, არც ნაკლები, სასმელის ბრალი იყო.

ბიჭი გვერდით მიჰყევებოდა, ჯიბეებში ლრმად ხელებჩაყოფილი, ახლაც კი რომ იცავდა იმ დისტანციას, რომელიც მათ აშორებდათ. მამას უნდოდა ბიჭი საუბარში გამოეწვია, მაგრამ ისეთი ვერაფერი მოიფიქრა, რაც უსიცოცხლოდ და ყალბად არ გაიუღერებდა. მამამ იცოდა, რომ სადღაც უნდა არსებულიყო ის სიბრტყე, სადაც მამა-შვილის ინტერესები უნდა გადაკვეთილიყო. ნეტაც სცოდნოდა, ეს სიბრტყე სად იყო. ბიჭი კმაყოფილი ჩანდა, რომ მამის გვერდით სიჩუმეში მიაბიჯებდა და საკუთარ ფიქრებში ისე გაერთო, რომ ვერც კი შეამჩნია, ეკლესისკენ მიმავალ გზას როგორ დაადგნენ. სკოლის ეზოს რომ მიუახლოვდნენ მამამ ბიჭს ჰერთსა, სოფთბოლის საქმე-ები როგორ მიდისო.

„კარგად. გუშინ „ვეფხვები“ დავა-მარცხეთ“.

„რა ანგარიშით?“

„თხუთმეტით რვა“. „

„რა მაგარია?! შენ თუ აიღე ქულა?“

„ერთი ქულა, ჯიმი ეგნიუს მეორე ბაზაზე გასვლის დროს“. „

„მაგარია! ბევრი მოთამაშე გამოთი-შე?“

„არა!“

ჯონი მიხვდა, რომ მან ისიც კი არ იცოდა, რომელ პოზიციაზე და რომელ გუნდში თამაშობდა მისი შვილი. შეიძლება „კარდინალებში“ ან „ესკიმოსებ-შიც“ კი. შეეცადა, მეხსიერებაში აღედგინა, რა ეხატა ბიჭს მაისურის წინა მხარეს, მაგრამ ვერ გაიხსენა.

„კიდევ რამდენი თამაში დაგრჩათ?“

„ორი თამაში ჩვეულებრივი ცხრილით, ერთი „ესკიმოსებთან“ ხვალ საღამოს და ერთიც – შაბათს „კარდინალებთან“.“

ესე იგი მისი გუნდი არც „ვეფხვებია“, არც „ესკიმოსები“ და არც „კარდინალები“. მამა ამაოდ ცდილობდა ლიგის დანარჩენი გუნდების სახელების გახსენებას. სახლში რომ დაბრუნდებიან, შეეცდება, შეუმჩნევლად გაარკვიოს, რა ანერია ბიჭის მაისურს.

ეკლესიამდე დარჩენილი გზა ისე გაიარეს, რომ არც ერთს ხმა არ ამოულია.

სამრევლოს ეკლესიის შესასველთან ლვთისმსახურისასაყელოიანი ახალგაზრდა კაცი შეეგებათ, რომელმაც თავი დიაკვინად, ბატონ რედპათათ გააცნო.

„ჩემი სახელია ჯონ პერსელი“, – თქვა ბიჭის მამამ და ლიმილით ჩამოართვა ხელი დიაკონს.

„გამარჯობა. ჯონს ვიცნობ, ქალბატონ პარსელსაც და თქვენს ქალიშვილ ჯონასაც, მაგრამ თქვენი გაცნობის სიამოვნება, მგონი, აქამდე არ მქონია“. „დიახ, ასეა“.

ჯონმა თავი, ცოტა არ იყოს, დამცირებულად იგრძნო, როცა აღმოაჩინა, რომ მის ოჯახს თურმე ცალკე ცხოვრება ჰქონია. ისინი, რა თქმა უნდა, ეკლესიაში საკმაოდ ხშირად დადიოდნენ, თვითონ კი საერთოდ არა. როცა ჰერთსავდნენ, ეკლესიაში თუ დადიხარო, „მას შემდეგ, რაც არმიასთან ერთად მარშით შევედი, აღარ ვყოფილვარო“, – პასუხობდა ჯონი.

გაცნობის შემდეგ ახალგაზრდა დიაკვანმა აღარ იცოდა, საუბარი საითკენ წაეყვანა. ის უცებ ბიჭს მიუბრუნდა და ჰერთსა: „ცურვის საქმე როგორ მიდის, ჯონ?“

„ძალიან კარგად, ბატონო რედპათ“

„თქვენი შვილი ოდესმე დიდი მოცურავე გახდება“, – თქვა დიაკონმა.

„დიახ, ვიცი“, – მიუგო ჯონმა. ის კი იცოდა, რომ ბიჭი ორ კვირაში ერთხელ თავიანთ უბანში მდებარე კოლეჯის საცურაო აუზზე დადიოდა, მაგრამ თავში არასდროს მოსვლია, რომ მისი შვილი შეიძლება გამორჩეული მოცურავე ყოფილიყო. როგორც ჩანს, ის საკუთარ

შვილს სხვა ყველაზე ნაკლებად იცნობდა.

საუბარი ბოიკაუტების რაზმის ხელმძღვანელის გამოჩენამ შეაწყვეტინათ, ანონილი სათვალიანი კაცის, რომელსაც ბოისკაუტის პერანგი და ხავის შარვალი ეცვა.

„ბატონო პერსელ, გაიცანით, ბატონი ბობ ვული, ბოისკაუტების რაზმის ხელმძღვანელი“, — თქვა მისტერ რედპათმა.

„გამარჯობა“, — მიესალმა ჯონი ახალმოსულს. ჯონმა შეამჩნია, რომ კაცს მკერდის მარცხენა მხარეს მეორე მსოფლიო ომის ორდენის ლენტები უმშვენებდა და მიხვდა, რომ ის ქვეყნიდან არასდროს გასულა.

ხელის ჩამორთმევისას კაცმა ჯონს გამომცდელი თვალით შეხედა.

„უკაცრავად, კარგად ვერ გავიგონე თქვენი სახელი“. — მიუგო ჯონმა და ღიმილი ბაგეზე შეაცივდა.

„ოჰ, რა თქმა უნდა, ჯონი პერსელის მამა!“

ჯონმა ზრდილობიანად დაუკრა თავი და თან გაიფიქრა, რომ ბოისკაუტების რაზმის ხელმძღვანელი ზუსტად ისეთი იყო, როგორიც მას წარმოედგინა.

„ბატონო პერსელ, მე ერთი ფრიად არასასიამოვნო მისის შესრულება მინევს“, — თქვა ბოისკაუტმა, პერანგის ჯიბიდან ბილეთების დასტა ამოაძვრინა და ორი ბილეთი ჯონს გაუწოდა. „სულ სამი დოლარისაა“, — დააყოლა მან და დიაკვანს გაუცინა.

ჯონმა გადაწყვიტა, თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს ყველაფრის საქმის კურსში იყო. მან ჯიბიდან საფულე ამოიღო. „სამი დოლარი! ჯონის ამაზე ნაკლებ ფასად ბურლესქ შოუზე წავიყვანდი“. — დიაკვანს და სკაუტების გაუცინა.

დიაკვანს და სკაუტების რაზმის ხელმძღვანელს ზრდილობიანად ჩაეცინათ, თუმცა, ჯონმა შეამჩნია, მათ ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად რო-

გორ გადახედეს. ჯონმა ბოისკაუტების რაზმის ხელმძღვანელს ფული გაუწოდა და ბილეთები ჯიბეში ჩაიდო.

„ზევით აპრძანდით, ბატონო პერსელ“, — თქვა რედპათმა გაცილებით უფრო ცივი ტონით.

როდესაც ჯონმა ირგვლივ მიმოიხედა, ნახა, რომ ბიჭი სადღაც გამქრალიყო. ის საბანკეტო დარბაზის კიბეებს მარტო აუყვა. საქმაოდ დიდი ოთახი იყო, რომელსაც, სავარაუდოდ, საკვირაო სკოლისთვის იყენებდნენ. ოთახში სიწმინდეების სურნელი იდგა. ფსალმუნთა წიგნების და ლაქის თითქმის მივიწყებულმა სუნმა ჯონი იმ დღეებში დააბრუნა, როცა ის ბიჭების გუნდში მღეროდა.

ოთახის შუაში, სახერს ჯოჯგინებზე შემდგარი ორი გრძელი ხის მაგიდა გაეშალათ, რომელზეც ქაღალდის სუფრა იყო გადაფარებული. მაგიდა ორმოცდაათ კაცზე იყო გაწყობილი. კედლებზე ბოისკაუტების ხელით ნაკეთი სხვადასხვა ექსპონატი ეკიდა, ხოლო იატაკის ერთ კუთხეში კარავის და კოცონის იმიტაცია მოეწყოთ, რომლის ირგვლივ, სავარაუდოდ, გვერდით მდებარე ეკლესიის სასაფლაოდან მოტანილი ხელოვნური ბალახი დაეგოთ.

ჯონმა თავის შვილს მოჰკრა თვალი. ბიჭი თავის ორ ამხანაგსა და მათ მამებთან ერთად კედლებზე ჩამოკიდებულ ფოტოებს ათვალიერებდა. როგორც კი ჯონი შვილის გვერდით გაჩნდა, ბიჭმა ის თავის კომპანიას მოაშორა და სხვა ექსპონატების სანახავად წაიყვანა.

„შენ თუ გაქეს რამე გამოფენილი, ჯონ?“ — ჰკითხა მამამ შვილს.

„მხოლოდ კრიების ნიღაბი. შარშან რომ გავაკეთე, ის“. — მხოლოდ კრიების ნიღაბი! არასდროს უნახავს ბიჭს ნიღაბზე ემუშავოს, თუმცა ბუნდოვნად ახსოვდა, ჯონი სარდაფში რაღაცას რომ აკეთებდა.

„მოდი, აბა, ვნახოთ“, — შესთავაზა მამამ. ბიჭმა იგი მაგიდას შემოატარა და დიაკვანის გადაწყვიტა, თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს ყველაფრის საქმის კურსში იყო. მან ჯიბიდან საფულე ამოიღო. „სამი დოლარი! ჯონის ამაზე ნაკლებ ფასად ბურლესქ შოუზე წავიყვანდი“. — დიაკვანს და სკაუტების გაუცინა.

და მოპირდაპირე კედელთან მიიყვანა. ისინი ხის ნიღბის წინ შეჩერდნენ. ნიღბაზე წითელ-ყვითელ ფერებში იყო შეღებილი, თვალების და პირის ადგილას ხვრელები იყო ამოჭრილი. ჯონის ასეთი რამების ბევრი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ბიჭის ნამუშევრით განცვიფრებული დარჩა. მიხვდა, თუ რამდენი შრომა დასჭირდებოდა მის შექმნას და, ამავე დროს, ღრმა სინაცულის გრძნობა გაუჩნდა იმის გამო, რომ მას შვილისთვის არც კი უკითხავს, რას აკეთებდა იგი სარდაფში მთელი საღამოების განმავლობაში.

„მისმინე, ჯონ, ეს ძალიან მაგარია! მართლა ძალიან მაგარია!“ – აღმოხდა მამამისს და შვილს მხარზე ხელი მოუთაუნა.

„ვერასდროს ვიფიქრებდი, მსგავსი რამების კეთება თუ შეგეძლო. ეს ხის ერთი მთლიანი ნაჭრისგან გამოკვეთე?“

„არა. ორი ნაჭერი მივაწებე ერთმანეთს.“

„და სად იშოვე? ხეზე გეკითხები“. „ბატონმა რობერტსონმა მომცა. ფორმის მიცემაში ის დამეხმარა, დანარჩენი კვეთის სამუშაო კი თითქმის მარტომ შევასრულე“. „ბატონი რობერტსონი ვინ არის?“

„დონის მამა. შენ იცნობ დონ რობერტსონს“. „ოჰ, რა თქმა უნდა!“ – სინამდვილეში, ის ერთმანეთისგან ვერ არჩევდა იმ გოგო-ბიჭებს, რომლებიც მათთან სახლში დადიოდნენ. „ის მაღალი ქერათმიანი ბიჭი უნდა იყოს, ჯონისთან ერთად შაბათობით კინოში რომ დადის“, – გაიფიქრა ჯონმა.

მათ ორი ბიჭი მიუახლოვდა თავიანთ მამებთან ერთად. ისინი მამა-შვილს გვერდით ამოუდგნენ და ნიღბას აღტაცებით დაუწყეს თვალიერება. ის იყო, ჯონს მათთვის უნდა ეთქვა, ეს ჩემი ბიჭის ნამუშევარიაო, რომ პატარა ჯონი მათ სასწრაფოდ გაეცალა.

„ნამოდი, მამა, აქ დენი მეპეიფის

სურათია, მთამსვლელის მედალი რომ მიიღო, იმისი“, – სხაპასხუპით წარმოთქვა ბიჭმა. ჯონი შვილს ოთახის ბოლოში გაჰყვა. ის მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ მის შვილს მის გამო რცხვენოდა. ჯონი ვითომ ფოტოს უყურებდა, სინამდვილეში კი ფიქრობდა, ისეთი რა გააკეთა, რომ ბიჭი მის გამო თავს ასე გრძნობდა. უცებ გონებაში მოგონებები გაუცოცხლდა – ქუჩაში მოულოდნელად ჯონის და მის მეგობრებს რომ შეხვდა და შვილი მამას მხოლოდ ხელის უხალისოდ აწევით რომ მიესალმა. ისიც გაახსენდა, სკოლის ეზოში რომ მივიდა, რათა ენახა, ბიჭი ბურთს როგორ თამაშობდა და მთელი თამაშის განმავლობაში ბიჭი მის იქ ყოფნას განზრახ როგორ არ იმჩნევდა.

ვახშამზე, ჩვეულებისამებრ, ქათმის სუპ-პიურე და მუხუდო ჩამოარიგეს, რასაც, როგორც ყოველთვის, ბოისკაუტების რაზმის ხელმძღვანელის, დიაკვნისა და ბიჭების სპიჩები მოყვა. ეს სპიჩები შიდა საოჯახო ხუმრობებით იყო გაჯერებული. ვახშმის დროს ჯონი მის ხელმარჯვნივ მჯდომ ერთ-ერთ მამას დაუახლოვდა და საკმაოდ გვინ მიხვდა, რომ ზედმეტად ბევრს და საკმაოდ ხმამაღლა ყბედობდა. აშკარად ვახშმამდე მიღებულმა ალკოჰოლმა და დარბაზში არსებულმა სიცხემ იმოქმედა. რაღაც მომენტში ჯონმა თავი ძლივს შეიკავა, რომ ბოისკაუტების რაზმის ხელმძღვანელისთვის სამშობლოს სამსახურის-თვის მიღებული ლენტების გამო არ დაეცინა. ჯონი მამას საერთოდ არ ელაპარაკებოდა, თავი გვერდით მჯდომი ბიჭისკენ ჰქონდა მიტრიალებული და რაღაცაზე გაცხარებით ესაუბრებოდა. ისინი სპიჩერების ხუმრობებზე იცინოდნენ და კონსპირაციულად ჩურჩულებდნენ ისე, რომ ჯონს ყურადღებას საერთოდ არ აქცევდნენ.

ჯონისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა, როცა სპიჩერების სიტყვებიდან გაიგო, რომ ბევრი მამა თურმე საზაფხულო ბა-

ნაკას ხშირად სტუმრობდა და უიქენდებზე გამართულ ლაშქრობებშიც კი იღებდა მონაწილეობას. ადრე ჯონს რატომ-ლაც ეგონა, რომ ბიჭებთან ერთად მხოლოდ ბოისკაუტების რაზმის ხელმძღვანელი და მისი ასისტენტები დადიოდნენ. უცებ თავი უცხოდ იგრძნო და თვალი მაგიდასთან ერთ მწკრივად ჩარიგებულ მშობლების სახეებს გააყოლა, თითქოს ცდილობდა გაეგო, მათაც მსგავსი შეგრძნებები ხომ არ აწუხებდათ. ყველა მამას სახეზე ეწერა, რომ აქ შინაური იყო.

დიაკვნის ისტორიებისგან უკვე ლამის გული ერეოდა. კიდევ კარგი, ლვთისმსახურმა თავისი გამოსვლა დაასრულა და დაჯიდლოებების დაწყებამდე ხუთწუთიანი შესვენება გამოაცხადა. ბიჭები და მათი მამები მაგიდებიდან ხმაურითა და სკამების ბრახუნით წამოიშალენ. მამამ დაინახა, ჯონი, მის გვერდით მაგიდასთან მსხდომ ბიჭებთან ერთად, კიბისკენ როგორ გაიცა. ჯონმა ხალხის მასაში გზა გაიკვლია, დარბაზიდან გარე კიბის ბაქანზე გავიდა და სიგარეტს მოუკიდა. მის უკან კარი გაილო და ბაქანზე მამაკაცი გამოვიდა.

„შიგნით, ცოტა არ იყოს, ჩახუთულია“, – თქვა კაცმა.

„დიახ, და არა მხოლოდ“, – მიუგო ჯონმა

კაცს გაეცინა.

„ასეთ ღონისძიებაზე პირველად ვარ“.

„მეც“.

„კარგია, თორემ, მეგონა, ერთადერთი მე ვიყავი ასეთი“.

„მე პერსელი მქვია – ჯონ პერსელი“, – თქვა ჯონმა და თანამოსაუბრეს თავისუფალი ხელი გაუწოდა.

„მოხარული ვარ თქვენი გაცნობით, ჯონ. მე ჩარლი მერდოკი ვარ – ლორი-მერის ქუჩაზე მდებარე „მერდოკ რედი-ოუ ენდ ეფლაიენსიდან“.

„რა თქმა უნდა! ნამყოფი ვარ თქვენთან“.

„თქვენ რას საქმიანობთ?“

„მე „სონდერს, გორდონ და კომპანიაში“ ვარ, უძრავი ქონების და სამრეწველო შემფასებლებთან“.

მერდოკმა სიგარეტს მოუკიდა. იდგენენ და ბოისკაუტებზე და მათ მიერ მოწყობილ მსგავს ვახშებზე საუბრობდნენ. როგორც აღმოჩნდა, მათ ამის შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია ჰქონდათ. საუბარში გაირკვა, რომ ქალაქში საერთო მეგობრებიც ჰყოლიათ. შემდეგ მერდოკმა თქვა: „შესაძლოა, ეს ამისთვის მთლად შესაფერისი ადგილი არ იყოს, მაგრამ მანქანაში ერთი ბოთლი დასალევი მაქვს. წინააღმდეგი ხომ არ ხართ, ერთი ყლუპი რომ გადავკრათ, სანამ უკან დავბრუნდებით და მოვისმენთ, როგორ აღმოჩნდა დიაკვანი ელკ ლეიკის კუნძულზე გარიყული და როგორ წაილო ქარიშხალმა გასულ ზაფხულს ბოისკაუტების რაზმის უფროსის კარავი?“

„ნამდვილი მაშველი ხართ!“ – მიუგო ლიმილით ჯონმა.

მამები მერდოკის მანქანასთან მივიდნენ, რომელიც სასაფლაოს კედელთან იყო გაჩერებული. მერდოკმა წვრილმანი ნივთების საცავი უჯრიდან ერთი პინტა ვისკი ამოილო და თან უკანა სავარძელზე დაუწყო რაღაცას ძებნა.

„აქ, სადღაც, ჯანჯაფილის ელის პატარა ბოთლი უნდა მქონდეს. აი, ვიპოვე!“

მერდოკი სავარძელზე გასწორდა და ელის ბოთლს გაწაფული მოძრაობით სახურავი წააძრო. ორივემ სამ-სამი კარგა მოზრდილი დოზა რომ მიიღო, მერდოკმა თქვა:

„სჯობს უკან დავბრუნდეთ. დროზე თუ არ შევალთ, ჩემი ბავშვი უეჭველად დედამისთან ჩამიშვებს“.

დარბაზში რომ შევიდნენ, დაჯილდოება უკვე კარგა ხნის დააწყებული იყო და, სანამ თავ-თავიანთ ადგილებს დაუბრუნდებოდნენ, ყველამ მათ გააყოლა მზერა. რომელიმე ბიჭის სახელს რომ ამოკითხავდნენ, ის და მისი მამა

ერთად ადიოდნენ კათედრაზე, სადაც ბოისკაუტების რაზმის ხელმძღვანელი მამას მედალს გადასცემდა, ეს უკანასკნელი კი ამ მედალს შვილს აძლევდა.

მამამისი თავის ადგილს რომ დაუბრუნდა, შვილმა მას შეშინებული სახით შეხედა და მისგან რაც შეიძლება შორს გადაჯდა. ცდილობდა, მის მოპირდაპირე მხარეს მსხდომ ბიჭს და მის მამას მიტმასნოდა.

ჯონი სკამზე იჯდა და ყურადღებით აკვირდებოდა იმას, რაც კათედრაზე ხდებოდა. როცა ბიჭები და მათი მამები მაგიდიდან დგებოდნენ, კუთვნილ ჯილდოებს იღებდნენ და ისევ თავთავიანთ ადგილებს უბრუნდებოდნენ, ჯონი თავისთვის იღიმოდა. მალე ვისკიმ მოქმედება დაიწყო და ის უფრო გააქტიურდა, ყოველი დაჯილდოებული მამა-შვილის მაგიდასთან დაბრუნებას მსურვალე ტაშით ხვდებოდა. სცადა მეზობელს გახუმრებოდა, ეს ყველაფერი იმ დაჯილდოებებს მაგონებს, ბუკინგემის სასახლეში რომ იმართებაო, მაგრამ ამ უკანასკნელმა ტუჩთან თითო მიიტანა და ჩუო, სიტყვა გააწყვეტინა. რაღაც მომენტში შეეცადა მერდოკის მზერა დაეჭირა, მაგრამ ყოფილი თანამეინახე სადღაც, სხვაგან იყურებოდა.

ბოისკაუტების რაზმის ხელმძღვანელის ასისტენტმა ჯონ პერსელის გვარი ამოიკითხა. ჯონი ფეხზე წამოდგა და ოდნავ გასაგონად წაიბურტყუნა: „ორივე აქ ვართ!“ რამდენიმე ბიჭმა ჩაიხითხითა, ზოგ მამას კი გაეღიმა. ჯონი ჩქარი წაბიჯით წავიდა კათედრისკენ, ისე, რომ მამამისს არ დალოდებია. მამამისიც უკან მიჰყვა. მისკენ მომზირალ სახეებს რომ ჩაუარა, ყველას ერთად გაულიმა. უცებ ოთახში ყველაფერი ერთმანეთში აიზილა და ჯონს მოეჩვენა, რომ ყველა, ვინც მაგიდასთან იჯდა, თითქოს ერთი უზარმაზარი გაოცებული ღიმილით იღიმოდა. მან ამ ღიმილს ღიმილითვე უპასუხა. ახლა დარბაზში მყოფი ყველა მამა მისთვის ძალიან ახ-

ლობელი იყო. არც ისეთი ცუდები ყოფილან, როცა გაიცნობდი.

კათედრის კბეზები ასვლისას, ბოისკაუტების რაზმის ხელმძღვანელმა მას დამცინავი ღიმილით შეხედა, დაკვანს კი უხერხულად გაეღიმა და აუდიტორიისკენ შებრუნდა. ბოისკაუტების რაზმის ხელმძღვანელი ჯონს მიუახლოვდა და შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ბატონო პერსელ, მოხარული ვარ და მაქვს პატივი, თქვენს შვილს, ჯონ პერსელს გადავცე მაშველის სერტიფიკატი და ასევე ეს სამკერდე ნიშანი ხელით ნაკეთი ნამუშევრისთვის. ძალიან იშვიათია, როცა ჯონისთანა ყმანვილი მაშველის სერტიფიკატს იღებს და დარწმუნებული ვარ, თქვენ ძალიან ამაყობთ მისით“.

ჯონმა თავი დაუქნია და გმადლობთო, ძლივს ამოილულულა. შვილს შეხედა და ამ ღროს მის ნინოთახი დატრიალდა, მაგრამ როგორდაც წონასწორობა შეინარჩუნა. „ინებე, ჯონი!“ – თქვა მან და ბავშვს სერტიფიკატი და სამკერდე ნიშანი გადასცა. ცხოვრებაში უფრო ამაყი არასდროს ყოფილა. განცდილი სიამაყისა და ბედნიერებისგან მამამ შვილს ხელი ჩაჰკიდა, აუდიტორიისკენ მიბრუნდა და ბავშვის ხელი ისე, როგორც მსაჯი ანევნებს კრივის მატჩში გამარჯვებულს, მაღლა ასწია.

მაგიდასთან მსხდომ აუდიტორიას სიცილი წასკდა. ჯონი ბოისკაუტების რაზმის ხელმძღვანელისკენ შებრუნდა, რომელიც ყველანაირად ცდილობდა, არ გალიმებოდა, მაგრამ ეს მაინც ვერ მოახერხა. ბიჭმა მამას ხელიდან გაუსხლტა, სასწრაფოდ თავის სკამს დაუბრუნდა და თავი ღრმად ჩაქინდრა.

ჯონი კათედრიდან ფრთხილად დაეშვა და საკუთარი ღირსების სრული შეგრძნებით მაგიდისკენ გაემართა. ის იყო, მაგიდისთვის გვერდიდან უნდა შემოვლო, რომ ოდნავ შებარბაცდა და მაგიდას წამოედო. შეჯახებისგან სახერხ ჯოჯგინაზე დაწყობილი ხის

ფიცრები ადგილიდან დაიძრა და, რომ არა იქვე მსხდომი მამები, ძირს ჩამო-ცვივდებოდა. მაგიდაზე მდგარი ყვავი-ლებიანი ვაზა და რამდენიმე თევზი ია-ტაკს დაენარცხა და დაიმსხვრა.

ჯონმა იმ მამებს, იატაკიდან ყვავი-ლებს რომ კრეფდნენ, ბოდიში მოუხადა, ზედმეტად ფრთხილი ნაბიჯებით თავის სკამამდე მიალნია და დაჯდა. პატარა ბი-ჭები მას გაოცებული უყურებდნენ, თუმ-ცა მათ მამებს მთელი ყურადღება კა-თედრისკენ ჰქონდათ გადატანილი. ჯონი შეეცადა მომხდარისთვის იუმორით შეე-ხედა და შვილს თვალი ჩაუკრა, აქაოდა ბოლოს და ბოლოს ყველაფერი კარგად დამთავრდა. ბავშვი ჩუმად სლუკუ-ნებდა და პიჯაკში გახვეული გამხდარი მხრები უცახცახებდა. უცებ საკუთარი ულირსი საქციელის გამო ჯონს საშინ-ლად შერცხვა. ძალიან უნდოდა შვილი მუხლებზე დაესვა და დაემშვიდებინა, როგორც მაშინ, როცა მისი შვილი პა-ტარა იყო. ამის ნაცვლად, შეეცადა თა-ვი ხელში აეყვანა, ტურქი გამოიმწვევად მოქუმა და მზერა კათედრაზე მდგომი ადამიანებისკენ მიმართა. შეხვედრა რომ დასრულდა, ჯონი დარბაზიდან ყველაზე ადრე გავიდა. მან ქუჩაში დაახლოებით ორმოცდაათი იარდი გაიარა და სასაფ-ლაოს კედლის ჩრდილში დადგა.

ბიჭმა კიბე სწრაფად ჩამოირბინა და მამამისისკენ გამოიქცა. მამას რომ გა-უსწორდა, უცებ შეჩერდა და მას ხელი მკლავზე მოჰკიდა.

„მაპატიე, ჯონ“, – უთხრა ჯონ-მა შვილს და ხელები მხრებზე მოხვია. „ცოტა არ იყოს, სულელურად მოვი-ქეცი, მაგრამ ცუდი მართლა არაფერი მომხდარა. ორ-სამ დღეში ალარავის ემახსოვრება“.

ბიჭმა მამას აცრემლებული თვალე-ბით ახედა და მუდარის ტონით უთხრა:

„თავი დამანებე, მამა, გთხოვ!“

„მომისმინე, ჯონ, ძალიან ვწუხვარ. არ მინდოდა შენთვის გული მეტკინა. მომისმინე, გეტყვი, რას გავაკეთებთ – ხვალ ქალაქში ნავალთ და ბოისკაუტის სულ ახალთახალი ტანსაცმლის მთლი-ან კომპლექტს გიყიდი“.

„ბოისკაუტებთან სიარულს აღარ ვა-პირებ!“

„რა თქმა უნდა, აპირებ. მომისმი-ნე, შენ უკვე მაშველის სერტიფიკატი გაქვს და...“

„ის იქ დავტოვე. აღარ მჭირდება“.

„მაგრამ, ჯონ, მომისმინე...“

„თავი დამანებე, მამა, გთხოვ!“ – ტი-რილით თქვა ბიჭმა, მამას ხელიდან და-უსხლტა და ქუჩაზე სირბილით დაეშვა.

„ჯონ! დამელოდე. ჯონ! მომისმინე, მე მინდა, რომ...“

ბიჭი უკვე ნახევარი კვარტლის მო-შორებით იყო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გარბოდა. მამა უკან მისდევ-და. იცოდა, დევნას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ არ უნდოდა ბიჭი ამ მდგომარე-ობაში გაეშვა.

„რატომ მოვიქეცი ასე?“ – ჰკით-ხა მან საკუთარ თავს, მაგრამ პასუხი ვერც გონებიდან და ვერ გულიდან ვერ მიიღო. ნუთუ მასა და მის შვილს შო-რის მუდამ იყო რაღაც, რისი გაგებაც არცერთ მათგანს არ შეეძლო?“

„არა“, – უთხრა მან საკუთარ თავს, „არა, ეს შენი ბრალია, ეს ყოველთვის შენი ბრალი იყო“.

გაქცეული ბიჭის სილუეტი უკვე შორს, ორი კვარტლის იქით მოჩანდა და სულ მალე თვალთახედვის არედან საერთოდ გაქრებოდა.

ბიჭს რომ მისდევდა, თავში ერთა-დერთი ფიქრი უტრიალებდა – ნუთუ საკუთარ შვილთან დაახლოებას ოდეს-მე კიდევ შეძლებდა?

ინგლისურიდან თარგმნა  
ზურაბ სონდულაშვილმა

## საკი



ნამდვილი სახელი და გვარი – ჰექტორ ჰიუ მანროუ (დაბ. 18 დეკ. 1870 წ. – გარდაცვ. 14 სექტემბერი, 1916 წ.). ლიტერატურული ფსევდონიმი – „საკი“. ბრიტანელი მწერალი და დრამატურგი. იგი თავის მახვილგონივრულ და ხშირად შავი იუმორით სავსე ნოველებსა და პიესებში დასცინის „ედვარდიანული“ ეპოქის საზოგადოებას და კულტურას. ბრიტანეთში იგი უფრო ფართოდ არის ცნობილი, როგორც შესანიშნავი ნოველების ავტორი. მას ხშირად ადარებენ ამ უანრის ცნობილ ოსტატებს – თ.ჰენრის და დოროთი ჰარკერს. იგი არის ავტორი ვრცელი პიესისა „თვალით დანახული გადატრიალება“, ისტორიული ნაშრომისა „რუსეთის იმპერიის აღზევება“, ერთადერთი რომანისა „ალისა უესტმინსტერიდან“, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკურ პაროდიას ცნობილ წიგნზე „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“. დაწერილი აქვს აგრეთვე რამდენიმე მოთხოვნა ფენტეზის უანრში.

## მისის პეკლტაიდის ნება და სურვილი იყო, ვეფხვი მოუკლა. განა იმიტომ, რომ უცებ მისი მოკვლის შინმა ნამოუარა ან იმიტომ, რომ ამის შემდეგ ინდოეთი უფრო უსაფრთხო და ჯანსაღი ადგილი გახდებოდა, ვიდრე ის ქალბატონს დახვდა, ანუ ერთ სულ მოსახლეზე გარეული ნადირის წილის ერთი ერთეულით ნაკლები. მიზეზი მისი ასეთი უცაბედი აღტკინებისა, ნიმროდის კვალს გაჟყოლოდა, უდავოდ, იმ ფაქტით იყო გამოწვეული, რომ ცოტა ხნით ადრე ლუნა ბიმბერტონმა, ალჟირელ ავიატორთან ერთად, თვითმფრინავით თერთმეტი მილი იყ-

რინა და მას შემდეგ სხვა სალაპარაკო არაფერი ჰქონდა; ასეთ რამეს მხოლოდ პირადად მოპოვებული ვეფხვის ტყავი და პრესისთვის განკუთვნილი ფოტოების უხვი ნადავლი თუ გადაფარავდა. მისის პეკლტაიდს გონიებაში უკვე ცხადად ჰქონდა წარმოდგენილი სადილი, რომელსაც, ლუნა ბიმბერტონის საპატიოსაცემოდ, საკუთარ სახლში, კარზონ სთრითზე მოაწყობდა, სადაც წინა პლანზე ვეფხვის ტყავის ხალიჩა და მის ირგვლივ გამართული საუბრები იქნებოდა. უკვე ისიც კი ჰქონდა მოფიქრებული, ლუნა ბიმბერტონს დაბადების დღეზე საჩუქრად ვეფხვის კლანჭის

გულსაკიდს როგორ მიართმევდა. სამყაროში, სადაც ძირითადად შიმშილი და სიყვარული ბატონობს, მისის პეკლტაიდი გამონაკლისი გახლდათ; მისი ქმედებები და მოტივაცია მეტწილად ლუნა ბიმერტონისადმი სიძულვილით იყო გაპირობებული.

გეგმის განხორციელებას გარემოებებმაც შეუწყო ხელი. მისის პეკლტაიდი ათას რუპიას დაპირდა მათ, ვინც მას ვეფხვის ზედმეტი რისკისა და ძალისხმევის გარეშე მოკვლაში დაეხმარებოდა; საბედნიეროდ, ისე მოხდა, რომ მეზობელი სოფლის მოსახლეობამ სიამაყის გრძნობით განაცხადა, რომ საპატივცემულო წინაპრებით ცნობილი მათი სოფელი მხეცის სტუმრობის საყვარელი ადგილი გამხდარიყო, რომელსაც, ასაკთან ერთად, თანდათან დაუძლურების გამო გარეულ ცხოველებზე ნადირობისთვის თავი დაენებებინა და მადის დასაკმაყოფილებლად უფრო წვრილ შინაურ ცხოველებზე გადასულიყო. ათასი რუპის შოვნის პერსპექტივამ სოფლის მაცხოვრებლებს ნადირობისა და კომერციული ინსტიტები გაუღვიძა; ადგილობრივი ჯუნგლების საზღვრებთან დღედაღამ ბავშვები მორიგეობდნენ, რათა, იმ შემთხვევაში, თუ მხეცი სანადიროდ ახალ ადგილებში წავლის გადაწყვეტდა, რაც ნაკლებად სავარაუდო იყო, იგი უკან მოებრუნებინათ. ვეფხვი რომ ისევ თავისი ჩვეული ადგილით დაკმაყოფილებულიყო, იქვე, ახლოს, წინასწარგანზრახული დაუდევრობით ნაკლებად ღირებული რამდენიმე თხა დააბეს. ერთი რამყველას ადარდებდა, ვაითუ უცხოელი ქალბატონებისთვის დანიშნული ნადირობის დღის დადგომამდე მხეცს სიბერისგან სული გაეფრთხო. სამუშაო დღის ბოლოს მინდვრებიდან ჯუნგლების გავლით თავიანთ ბავშვებთან ერთად შინისკენ მიმავალმა დედებმა სიმღერა შეწყვიტეს, რათა ჯოგზე მონადი-

რე პატივცემული მხეცისთვის მშვიდი ძილი არ დაეფრთხოთ.

და, აი, დიადი ლამეც დადგა, ულრუბლო და მთვარიანი. ხელსაყრელ ადგილზე შერჩეულ ხეზე ბაქანი მოეწყოთ; ბაქანზე მისის პეკლტაიდი და მისი დაქირავებული კომპანიონი, მის მებინი მოკალათდნენ. თხა, რომელიც განსაკუთრებული დაუოკებელი კიკინის ნიჭით იყო დაჯილდოვებული, ისეთით, წყარი ლამეში ნახევრად ყრუ ვეფხვის ყურადღებასაც რომ მიიპყრობდა, საჭირო მანძილზე დააბეს. მხეცის მომლოდინე ჩვენს მონადირე ქალბატონებს თოფები საგულდაგულოდ შეენიღბათ და დროს პასიანსის გაშლაში კლავდნენ.

„საფრთხეში ხომ არ ვიგდებთ თავს?“ – მიმართა თავის კომპანიონს მის მებინმა.

მის მებინს გარეული მხეცი ნაკლებად ადარდებდა. მას უფრო მეტად იმის ეშინოდა, მისთვის გადახდილი გასამრჯელოს სანაცვლოდ, თუნდაც ერთი ატომით მეტი ღირებულების სამსახურის გაწევა არ მოეთხოვათ.

„სისულელეა“ – მიუგო მისის პეკლტაიდმა; „ძალიან ბებერი ვეფხვია. ძალიანაც რომ მოინდომოს, აქ მანც ვერ ამოხტება“.

„თუ ბებერი ვეფხვია, მასში, ალბათ, ნაკლები უნდა გადაგეხადათ. ათასი რუპია დიდი ფულია“.

ლუიზა მებინს, ზოგადად, ფულის მიმართ მზრუნველი უფროსი დის მსგავსი დამოკიდებულება ჰქონდა. ფულის ნარმოშობას ან კუპიურას მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. მისი ენერგიული ჩარევის წყალბით მოსკოვის სასტუმროში მრავალი რუბლი გადაურჩა ზედმეტი გასამრჯელოს სახით ფლანგვას, ხოლო ფრანკები და სენტიმები მას ინსტინქტურად ემორჩილებოდნენ, რომლებიც სხვა შემთხვევაში, ალბათ, წინდაუხედავად გაიფანტებოდნენ ნაკ-

ლებად თანამგრძნობი ხელებიდან. მის მებინის ფიქრები ვეფხვის ნარჩენების საბაზრო ღრეულების გაუფასურების ირგვლივ ტრიალებდა, როცა სცენაზე თავად ვეფხვი გამოჩნდა. როგორც კი მხეცმა დაბმულ თხას მოჰკრა თვალი, უმალ მიწაზე გაწვა; როგორც ჩანს, იმიტომ არა, რომ განზრახული ჰქონდა იქ არსებული რომელიმე სამალავით ესარგებლა. ალბათ, უნდოდა, ცოტა სული მოეთქვა, სანამ გადამწყვეტ იერიშე გადავიდოდა.

„მგონი, ავად არის“, – ხმამალლა აღნიშნა ლუიზა მებინმა ჰინდის ენაზე იმ ადგილობრივი წინამძღოლის გასაგონად, რომელიც მეზობელი ხის ქვეშ იყო ჩასაფრებული.

„ჩუმად!“ – თქვა მისის პეკლტაიდმა და იმავე წამს ვეფხვი ზანტად დაიძრა თავისი მსხვერპლისკენ.

„მისმინე, მისმინე!“ – ალელვებით განაგრძო ქალბატონმა მებინმა; „თუ ის თხას ხელს არ ახლებს, მაშინ მასში არაფერი არ უნდა გადავისადოთ“ (სატყუარა ზედმეტია).

თოფმა ხმამალლა დაიქუხა და უზარმაზარი ქლალ-ყავისფერი მხეცი ცალ მხარეს გახტა, ამოტრიალდა და სული განუტევა. იმავე წამს, ადგილზე ალელვებული ადგილობრივები შეგროვდნენ და ეს სასიხარულო ამბავი ყვირილით და გნიასით თავიანთ სოფელში ჩაიტანეს, სადაც მათმა თანასოფლელებმა, გამარჯვების ნიშნად, ტამტამებს შემოჰკრეს. მათი გამარჯვება და სიხარული მისის პეკლტაიდის გულშიც ასახა; კარზონის ქუჩაზე დაგეგმილი სადილი განუზომლად ახლოს ჩანდა.

პირველად ლუიზა მებინმა მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ თხის სასიკვდილო აგონია, რომელშიც ის ახლა იტანჯებოდა, ტყვიისგან მიყენებულ სასიკვდილო ჭრილობას გამოეწვია, ვეფხვს კი თოფით მიყენებული ზიანის არანაირი კვალი არ ეტყობოდა. ცხადი იყო, რომ ვეფხვისთვის განკუთვნილი

ტყვია თხას მოხვდა, თვითონ ვეფხვს კი თოფის უცაპედი გასროლის ხმაზე გული გაუსკდა, რაც, რა თქმა უნდა, ასაკობრივმა მიხრნილობამაც დააჩქარა. მისის პეკლტაიდი შეწუხდა და არც თუ უმიზეზოდ, მაგრამ, ასე იყო, თუ ისე, ის გულში ზეიმობდა, რომ მკვდარი ვეფხვის ლეშს დაესაკუთრა; რაც შეეხება სოფლის მაცხოვრებლებს, თავიანთი კუთვნილი ათასი რუპიის მიღებით გახარებულებმა, კიდევ ერთხელ დაადასტურეს ის ამბავი, რომ წადირი ნამდვილად ქალბატონმა მოკლა. მის მებინს დაქირავებული თანამზრახველის როლი ერგო. ამიტომაც იყო, რომ მისის პეკლტაიდი კამერების წინ დამშვიდებული გულით პოზიორობდა, ხოლო მისი ტრიუმფის ამსახველი ფოტოები ყოველკვირეული გამოცემა „ტექსას უიკლი სწრაფოთი“-დან უურნალ „წოვოე ვრემია“-ს ორშაბათის ილუსტრირებულ დამატებაში მოხვდა. აი, ლუნა ბიმბერტონი კი მთელი კვირების განმავლობაში ჯიუტად ამბობდა უარს ილუსტრირებული გამოცემების წახვაზე; მისი წერილი, რომელშიც ის მიღებული საჩუქრისთვის, კერძოდ კი ვეფხვის კლანჭისგან დამზადებული გულსაკიდისთვის მადლობას იხდიდა, თავშეკავებულობის ნიმუშად გამოდგება. მან სადილ-წვეულებაზეც უარი თქვა; ალბათ, არსებობს რაღაც ზღვარი, რომლის იქით თავშეკავებულობაც სახიფათო ხდება.

ვეფხვის ტყავის ხალიჩამ კარზონ სტრიტიდან მეინორ ჰაუზში გადაინაცვლა, სადაც ის საგრაფომ სათანადო შეაფასა და ალტაცებაში მოვიდა. ასე რომ, ყველამ შესაფერის და მართებულ მოვლენად ჩათვალა, როცა მისის პეკლტაიდი საგრაფოში მოწყობილ კოსტუმირებულ მეჯლისზე დიანას სახით წარდგა, თუმცა, ამავე დროს, ის არ წამოეგო კლოვისის მაცდუნებელ წინადაღებას, მონანილება მიეღო პირველყოფილი ადამიანების ცეკვებისად-

მი მიძღვნილ წვეულებაში, სადაც დამ-  
სწრე საზოგადოება მათ მიერ ბოლო  
დროს მოკლული გარეული ცხოველის  
ტყავით უნდა შემოსილიყო.

„გაქუცულ კურდღლის ტყავებში  
გახვეული, კაპიშონიან საძილე ტომა-  
რაში მძინარე ფუნჩულა ჩვილს უფრო  
დავემსგავსები“, – აღიარა კლოვისმა,  
„თუმცა ჩემი ტანი რუსი მოცეკვავის  
ფიგურას არაფრით ჩამოუვარდება“, –  
დასძინა მან და დიანას პროპორციებს  
ბოლმანარევი მზერა მიაპყრო.

„როგორ იხალისებს ყველა, თუ გა-  
იგებენ სინამდვილეში რაც მოხდა“, –  
აღნიშნა ლუიზა მებინმა მეჯლისიდან  
რამდენიმე დღის შემდეგ.

„რას გულისხმობ?“ – ჩუმი ხმით  
ჰკითხა მისის პეკლტაიდმა.

„თუ როგორ ესროლე თხას და ში-  
შისგან სული როგორ გააფრთხობინე  
ვეფხვს“, – მიუგო მის მებინმა და დამ-  
ცინავად ჩაიხითხითა.

„ამას არავინ დაიჯერებს“, – თქვა  
მისის პეკლტაიდმა და სახის ფერი რამ-  
დენჯერმე შეეცვალა.

„ლუნა ბიმბერტონი დაიჯერებს“,

– სწრაფად უპასუხა მის მებინმა. ამის  
გაგონებაზე მისის პეკლტაიდს სახე  
მომწვანო თეთრი გაუხდა.

„შენ, რა თქმა უნდა, არ გამცემ, ხომ  
არა?“ – ჰკითხა მას მისის პეკლტაიდმა.

„ერთი საზაფხულო კოტეჯი ვნა-  
ხე. ძალიან მინდა, რომ ვიყიდო“, – ისე,  
სხვათაშორის ჩაილაპარაკა მის მებინ-  
მა. „ექვსას ოთხმოცი ღირს, საკუთრე-  
ბის უპირობო უფლებით. საკმაოდ კარ-  
გი ფასია, მაგრამ ფული არ მაქვს“.

ლუიზა მებინის ლამაზი საზაფხულო  
კოტეჯი, რომელსაც მან სახელად „გა-  
რეული ცხოველები“ დაანათლა და ბა-  
ლი, რომელშიც ზაფხულობით წითელი  
შროშანები ყვავიან, მისი მეგობრების  
გაოცებისა და აღტაცების საგანია.

„საოცარია, როგორ ახერხებს ამას  
ლუიზა“, – აღნიშნავს ყველა ერთხმად.

მისის პეკლტაიდს კი მსხვილ გარე-  
ულ ცხოველებზე ნადირობა აღარ იზი-  
დავს.

„იმდენად დიდია გაუთვალისწინე-  
ბელი ხარჯები, რომ...“ – წუწუნებს ის  
ცნობისმოყვარე მეგობრებთან.

ინგლისურიდან თარგმნა  
**ზურაბ სონდულაშვილმა**

